

# საერთო მეფეთი

№02 (186) • 18-24.I, 2012 წელი • ოთხშაბათი • www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com • შპსი 1 ლარი



**`yvel aferi iqneba  
droul ad da kargad...~**



**mi xeil saakaSvil i  
gigi ugul avas wi naaRmdeg  
Setevas iwyebs?**

**მანუა ნიკოლაძე:**

**ocnebas erTi saocari  
Tviseba aqvs \_ is maradiul ia!**

**ჰანტანო ხარინიანიძე:**

**Worebi asineTas kantoridan da  
cru gangaSi ivaniSvil is karze  
zviadisturi skandal is Sesaxeb**

**თინო ხილაშვილი:**

**mixeil saakaSvil ma is kata gamoTxara,  
romel mac avl abris rezidenziaSi  
mj domi virTxa unda Sellamos**

**ლევან ქვიციანიძე:**

**Cven arCevnebi arCevnebamde  
unda movigoT!**

**მარიამ მათიკოშვილი:**

**gamoricxul ia, biZina ivaniSvil is  
faqtori qarTvel ma xal xma romel ime  
partias Tavisi pol itikuri  
interesebiTvis gamoayenebinos**

**ზაინა ნიკოლაძე:**

**visi mogzavni I ia saakaSvil i  
da ra daval ebiT?!**

**თინო მათიკოშვილი:**

**vin iqneba mesame Zal a?**

**ანანო დავლიანიძე:**

**erovnul i moZraobis ekl iani gza  
el oda axal mgzavrs da es mgzavric  
gamoCnda \_ biZina ivaniSvil i**

**ზინაიდი ქვიციანიძე:**

**rodis da ra formiT aamuSaveben  
ivaniSvil is moqal aqebis aRsadgenad  
advokatebi sarezervo gegma `g--s?**

თბილისში ზეპირადი  
შესაძლებლობების  
მქონე პირთა პენსია  
10 ლარით შემცირდა

„ხალხი პარტიის“ ლიდერის კობა დავითაშვილის განცხადებით, თბილისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პენსია 10 ლარით შემცირდა. როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე „ხალხის პარტიის“ ლიდერმა კობა დავითაშვილმა განაცხადა, „ხალხის პარტის“ დაუკავშირდნენ შეზღუდული შესაძლებლობების პირის ოჯახის წევრები და აცნობეს, რომ ანგარიშის პენსია შემცირებული აიღეს, რაც გადამოწყობის შემდეგ დადასტურდა.

„ინვალიდების პენსია დღეს შეადგენს 70 ლარს, როდესაც ასაკით პენსიონერების პენსია 100 ლარით განისაზღვრება. ასეთია დისპროპორცია და მეტიც, თუკი თბილისში ინვალიდებს, რომლებსაც მოაკლეს ეს 10 ლარი და ჯანდაცვის პოლისებს დაპირდნენ, დანარჩენ

საქართველოში ინვალიდები სექტემბერში ვერ მიიღებენ მომატებულ პენსიას და ვერც ჯანდაცვის პოლისებს“, – აღნიშნა დავითაშვილმა და დასძინა, რომ ეს ბოლო წვეთია იმ ხანგრძლივი და მრავალწლიანი დიკრიმინაციური პოლიტიკისა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება ინვალიდების მიმართ ატარებს.

„ხალხის პარტიის“ ლიდერმა ხელისუფლებას ინვალიდების დისკრიმინაციის შეწყვეტისაკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ინვალიდების ასაკით პენსიონერებთან გათანაბრება უნდა მოხდეს.

მისი თქმით, გაუგებარი და უსამართლოა, როდესაც ადამიანს, რომელსაც ჰქვია ინვალიდი და არის შრომისუნარი, აძლევენ ბევრად ნაკლებ პენსიას, ვიდრე ადამიანს, რომელსაც შრომის უნარი კვლავ აქვს.

სტუდენტები საპარტიო  
შრომის ხოლმეს აპრობატორები  
სტუდენტური მოძრაობა „ლაბორატორია 1918“

სტუდენტური მოძრაობა „ლაბორატორია 1918“, საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირებთან ერთად ქვეყანაში მოქმედ შრომის კოდექსს აპროტესტებს და მას „მონობის კოდექსს“ უწოდებს.

როგორც გუშინ მეტროსადგურ „რუსთაველთან“ გამართულ აქციაზე მოძრაობის წევრმა სტუდენტებმა განაცხადეს, ამ კანონის 37-ე და 38 მუხლები დასაქმებულის დამონების, მისი ნებისმიერი მიზეზით დათხოვისა და დათხოვის მიუკერძოებელი მანიპულირების საშუალებას იძლევა.

„ჩვენ მიუღებლად მიგვიჩნია კოდექსი, რომელიც არ იცავს ადამიანის ფუნდამენტური უფლებას – ღირსეული შრომის უფლებას“, – აცხადებენ სტუდენტები.

როგორც მათ აღნიშნეს, ევროკავშირმა თუ მსოფლიო შრომის ორგანიზაციამ არაერთხელ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, შეეცვალა მოქმედი შრომის კოდექსი, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს, არ შეესაბამება ევროპის სოციალურ ქარტიას და ქვეყნის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს, თუმცა ეს ამ დღემდე არ განხორციელებულა.

გუშინ გამართული აქცია პირველი იყო, აღნიშნული მოთხოვნით სტუდენტების საპროტესტო აქცია მომავალში სისტემატორ სასაბაზო მიიღებს.

medianusi-

ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით ქართულმა თეატრალურმა სამყარომ ოთარ მეღვინეთუხუცესის 80 წლის იუბილზე აღნიშნა. აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში გამართულ საღამოს, ბიძინა ივანიშვილი და მისი მეუღლე დაესწრნენ. წარმოდგენის დაწყებამდე, ბიძინა ივანიშვილმა და ეკატერინე ხვედელიძემ ურთიანობის ტემს კომენტარი მისცეს.

**ბიძინა ივანიშვილი:** დიდი მადლობა, რომ მომეცით საშუალება, მიმელოცა ჩვენი საყვარელი მსახიობისთვის 80 წლის იუბილზე; მე არ შეეფასებ ბატონი ოთარის მსახიობურ ოსტატობას. მას ყოველთვის ეჭვია სწორი პოზიცია, რასაც ხშირად ვერ ახერხებს ინტელიგენციის დიდი ნაწილი საქართველოში. მინდა გავიხსენო დიდი ილიას სიტყვები, რომელიც ძალიან მომთხოვნი იყო ქართველებისადმი და ინ-

საქმე. ეკას აღუდგინეს მოქალაქეობა, ჩემზე ჯერ ფიქრობენ, შესაბამისად პროცესები რომ არ გაჩერდეს, ეს ნაბიჯი იყო საჭირო და დროულად გადაკეთებულ განცხადება. მე ვთვლი, რომ როგორც ეკას შემთხვევაში, ისინი იძულებული გახდნენ სამართლებრივ მინდორზე დაბრუნებულიყვნენ და აღუდგინეს მოქალაქეობა, ასევე იძულებული იქნებიან, უფრო სწორად, იძულებული გახდება ერთი კაცი, მრავლობითში არ უნდა ვსაუბრობდეთ, რომ დამიბრუნოს მოქალაქეობა.

მე საკმაოდ კარგი გარემოცვა მყავს. რატომღაც ხშირად მოდის ეს ხმები, რომ ვიღაცები რაღაცებს მაწყვეტილებენ. მე ესეთი კაცი არა ვარ. 10 წლიდან დამოუკიდებლად ვაფიქსირებ. 12 წლისა უკვე მეზობელ ქალაქებში დავდიოდი სამუშაოდ სკოლის არდადეგებზე. ვლუბლობ იმას რაც მომწონს, ვერაფერ ვ-

ნონმდებლობით შეზღუდული აქვს გარკვეული უფლებები, რომ მონაწილეობა მიიღოს საპარლამენტო არჩევნებში. ეკა კი სრულწლოვანია. შესაბამისად, პარტიას სათავეში ჩაუდგება ეკა ხვედელიძე-ივანიშვილი (აქ გარემოცვის ნლობა-არნლობა არაფერ შუაშია), ჩემი გვარია საჭირო, მე ასე ვთვლი, რამდენა-

დღესაც პრინციპულია, მიზანდასახულობითა და საქმისადმი თავდადება. მე მგონია, რომ „ქართული ოცნება“ ნებისმიერ შემთხვევაში გაიმარჯვებს. მას ყოველ დღე მოაქვს გამარჯვება ჩვენთვის და ყველაზე დიდ გამარჯვებას არჩევნების დღეს მოვიპოვებთ. მე ყველაფრისთვის მზად ვარ. თავიდან არავინ არფე-



# „yvel aferi iqneba droul ad da kargad...~

ტელიგენციას გულისხმობდა. საკმარისი არ არის კაცი დიდი მეცნიერი იყოს, ამასთან იგი სწორი კაციც უნდა იყოს. მეცნიერში იგულისხმებოდა ყველა დარგში წარმატებული ინტელიგენტი. ილიასთვის საკმარისი არ იყო, ადამიანი თავის დარგში ყოფილიყო დიდი, ამასთან იგი ერისკაციც უნდა ყოფილიყო. ამასთან კარგი კაციც უნდა ყოფილიყო. ასეთი არის ჩემთვის ბატონი ოთარ მეღვინეთუხუცესი, იგი არამარტო კარგი მსახიობია, არამედ ყოველთვის ახერხებდა სწორი პოზიცია დაეჭირა ჩვენი ქვეყნის, სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე. მე მთელი გულით ვულოცავ ბატონ ოთარს 80 წლის იუბილზე და ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

რაფერს ვერ გადამაწყვეტინებს. ყველა გადაწყვეტილება, რომელსაც ვლუბლობ, აბსოლუტურად გააზრებულია, ბოლო სიტყვას მე ვამბობ და კარგად ვიცი, რა უნდა გადაკეთო.

მე ვფიქრობ, რომ ეს განცხადება (ეკა ხვედელიძის მიერ პარტიის ჩამოყალიბება), რომელიც გადაკეთდა, არის დროებითი, ამიტომ ამაზე არ ვაწყობთ სამომავლო გეგმებს, რადგან არ ვფიქრობთ, რომ ეს ასე დარჩება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ვაძულებთ ერთ კაცს, კანონიერ-

დაც მოსახლეობას სწორება აქვს ჩემს ვარსებ. და სხვა პიროვნება არასოდეს განიხილებოდა. რა თქმა უნდა, მე ვიქნები პარტიის თავმჯდომარე და პირველი ნომერი.

**მაკატარინა ხვედელიძე-ივანიშვილი:** მე პოლიტიკაში დღეს არ მოვედი. მოვედი ჩემს მეუღლესთან ერთად. როგორც ჩემმა მეუღლემ განვიმარტა, ეს იყო ოჯახური გადაწყვეტილება და ჩვენ მზად ვიყავით, გარკვეულ მომენტში გარკვეული პასუხისმგებლობა ავგელო საკუთარ

რი იცოდა, მაგრამ ყველანი ვსწავლობთ. მე გვერდით ისეთი მეუღლე მყავს, იმედია სახელმწიფოს დღევანდელი ხელისუფლება ისეთი კანონს ვერ მიიღებს, რომ ჩემს მეუღლეს აუკრძალოს რჩევა მომცეს, ან გარკვეულ მომენტში გადაწყვეტილების მიღებაში დამეხმაროს. ასე რომ, მე არაფრის შემინია და ყველაფრისთვის მზად ვარ.

**ბიძინა ივანიშვილი:** მე ერთ პატარა განცხადებას ვაგაკეთებ ჩემი მხარდამჭერებისადმი და არა მარტო მათთვის; ხშირად ისმის საყვედურები, რომ დაბალი აქტიურობა ჩვენი გუნდიდან, პირადად ჩემკენ არის ეს საყვედურები, მინდა დაეაწყნარო საზოგადოება და აუხსნან, რომ ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი გააზრებული და დაგეგმილი მქვს, ყველაფერი იქნება დროულად და კარგად. და კარგად იქნება არა მარტო ჩემი მხარდამჭერებისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის. ასე რომ დავულოდით. ნუ შეეცდებით პარალელი გააკეთოთ იმ კაცთან, რომელიც ისტორიულად ღარბის და აგრძელებს უფრო აქტიურ ფორმაში შექმნას ფასალური შეხედულებები, რომ აღმანერებელია და ყველაფერს აკეთებს საქართველოს ასაღორძინებლად, რეალურად კი საქართველოში



თავზე. დღეს დადგა ისეთი მომენტი, ჩემს მეუღლეს უზღუდავენ აქტიურ პოლიტიკურ მოქმედებას, შესაბამისად, მე ვაგაკეთებ ჩემი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ყველაფერს, რაც კარგი იქნება ჩემი ოჯახისა და ქვეყნისათვის. მგონი, ყველაფერი გამოგვივა, რადგან საქართველოს ისტორიის ფურცლებზე ქალბატონების მოღვაწეობას თუ გადავავლებთ თვალს, დამეთანხმებით, რომ ქალბატონები ყოველთვის გამოირჩეოდნენ და გამოირჩევიან

იმის მეთაურად არ კეთდება, რაც უნდა კეთდებოდა. ოღონდ ისე გვაწვდიან, რომ თითქოს მართლა თვითონ აკეთებდეს. არადა სწორედ მისი პოლიტიკის შედეგია, რომ მხოლოდ მეთაური კეთდება. ამავდროულად მუდმივად ილანძლება და იწყებუბა ტელევიზიებიდან. მე იმის შემინია, რომ კიდევ არ გააოცოს მსოფლიო და გინებაც არ დაიწყოს ტელეეკრანებიდან და ღამეს რომ დღე მოჰყვება, ვეცდები თვითონ არ მიიწეროს და დაიბრალოს.

**„საერთო გაზეთი“**  
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილია  
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“  
მის: თბილისი, ალფაშენაშვილის 164;  
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97  
რეგისტრაციის № 202375349

**გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.**  
შესაძლოა, ავტორის პოზიციას არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.  
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოკვეთიდან ერთი ჰვირის ვადაში.  
შემოსული მასალა ავტორებს არ უბრუნდება.  
☑ 38 ნომრით აღიწერილია სარედაქციო მასალა.

მასტანბ ხარჩილავა

ეტყობა, სადღაც, რომელიღაც სტრუქტურასთან, შეიძლება, სულაც რომელიმე გაზეთთან ჭორების შემთხვევითა სპეციალური ჯგუფი არსებობს, რომელიც ზემოდან მიღებული დაკვეთა-დავალებას შემდეგ ამა თუ იმ პიროვნებაზე ჭორებს იგონებს და მერე ხალხში ავრცელებს.

არ ვიცი, რა დამსახურების გამო გამომარჩიეს, მაგრამ ფაქტია, ცოტა ხნის წინათ ჩემზეც გამოაცხვეს ერთი უცნაური ჭორი, რომლის შესახებაც პირველად ერთმა ჩემმა მეგობარმა მაცნობა.

ცოტა აცაბაცა საუბარი იცის ამ ჩემმა მეგობარმა და თავიდან ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა.

სამეგრელოს, ზვიადისტებს და 400 000 დოლარს კი ახსენებდა, მაგრამ ისე არეულად და ბუნდოვნად, რომ ვერ გავიგე, რისი თქმა უნდოდა და საგაზეთო ნომერში ჩასაღები მასალის კითხვა გავაგრძელე.

**ჩემი მეგობარი უცხო ანგარიშს — რა იყო, კაცო, ვითომ ვერ ხვდები, რაზე გელაპარაკები? ბიძინა ივანიშვილს სამეგრელოს რეგიონი შენთვის ჩაუბარებია, ამ საქმისთვის 400 000 დოლარიც გამოუხვია და ზვიადისტების გავრცელებულ განცხადებას შენთვის დაუბრუნებია. ბიძინა ივანიშვილს მოუყვანიხარ თურამ ბატონ ბიძინასთან და მისი რეკომენდაციით გააქვითა თურამ ეს საქმე!**

იმდენად უნიჭოდ და უტყუარად იყო მოხლანდული ეს ჭორი, სიცილი ამიტყდა.

განსაკუთრებით 400 000 დოლარის და ვია ზუხაშვილის ხსენებამ გამახალისა.

საქმე ის არის, რომ ვია ზუხაშვილს და მე არავითარი მეგობრობა და ნაცნობობა არ გვაკავშირებს, ერთი-ორჯერ თუ მივესალმებოდით ერთმანეთს შორიდან. ეს არის და ეს.

ჰოდა, ასეთი კაცი რატომ გამიწევდა რეკომენდაციას და რატომ „ჩამაბარებდა“ სამეგრელოს ზვიადისტებთან ერთად? მი-თუმეტეს, რომ მიუხედავად ჩემი ღრმა პატივისცემისა ზვიადისტების მიმართ, ზვიადისტი არასოდეს ვყოფილვარ.

გითხარით, ჭორის შეთხზვასაც ნიჭი უნდა-მეთქი. ჭორში სიმართლის თუნდაც ერთი მარცვალი თუ არ არის, ასეთი ჭორი თოვლივით უკვალოდ ქრება.

ამ ჭორში სიმართლის მარცვალი კი არა, მარცვლის მეთასხედიც კი არ იყო მართალი და ამდენად, ამ ჭორისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია და არც იმის ძიება დამიწყია, საიდან და ვისგან შეიძლება წამოსულიყო ეს სისულელე.

რამდენიმე დღეში „პრაიმ ტაიმის“ ჟურნალისტმა დამირეკა და ზუსტად ის ჭორი მომიყვა, რაც ჩემმა მეგობარმა მიამბო, ოღონდ მცირედენი „შესწორებებით“ — 400 000 დოლარის ნაცვლად

# Worebi asineTas kantoridan da cru gangaSi ivaniSvil is karze zviadisturi skandal is Sesaxeb

## amboben, biZina ivaniSvil s Tavis saaxl obl o wreSi uTqvams, im tragikul dros saqarTvel oSi rom vyofil iyavi, aucil ebl ad zviad gamsaxurdias gverdiT davdgebodio

300 000 დოლარი სახელდებოდა, ხოლო ზუხაშვილის ადგილას ირაკლი ტრიპოლსკი იყო „ჩასმული“ შუამავლად.

რა იყო, რას გადაეკიდნენ ჭორის ავტორები ხან ზუხაშვილს და ხან ტრიპოლსკის, ამდენ მეგრულში ერთი მეგრული გვარის „შუამავალი“ ვერ მონახეს, რომ ჭორს ცოტადენი დამაჯერებლობა მაინც ჰქონოდა?

ჟურნალისტს საქმის ნამდვილი ვითარება შეძლებისდაგვარად აუხსენი და იმანაც ჩემი კომენტარის ტექსტი უცვლელად

შირებული ტექნიკური საკითხების გარეგნულად დაგზმარებული.

კილაძესთან შეხვედრისას, რომელიც სულ რაღაც ხუთი წუთი გრძელდებოდა, საერთოდ ერთი სიტყვა არ თქმულა ზვიადისტებთან დაკავშირებით.

ცხონებულ გუგე ცანავას, რომელიც ნამდვილად იყო თავგამოდებული ზვიადისტი, შეიძლება მართლაც ჰქონოდა რაღაც პროექტი ზვიადისტებთან დაკავშირებით, მაგრამ მე რატომ „მიმბა“ ამ ამბავს კილაძემ?

ალბათ, იმიტომ, რომ ახლა საქმეს ასე სჭირდება და ჭორი როგორმე სინამდვილედ უნდა გასაღდეს?

ცრუმოწმობა ჰქვია იმას, რასაც ქალბატონი კილაძე აკეთებს, ცრუ

პატარაკაციშვილის დალატით, პატარაკაციშვილის გაყიდვით ბევრმა აიწყო ტკბილი და თბილი ცხოვრება.

თქვენც მათ რიგებში ხომ არ ჩაეწერეთ, ქალბატონო ელისო და იმ დროს დაგროვილი „კაპიტალიტი“ — „კომპრომატებით“ ხომ არ აპირებთ უზრუნველყოფილი აწმყოსა და კიდევ უფრო უზრუნველყოფილი მომავლის ამენებას?

\* \* \*

მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ზვიად გამსახურდიასთან და ზვიადისტებთან ჩემს დამოკიდებულებაზე ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ჩემი დამოკიდებულება მის მიერ განხორციელებული სამინაო თუ საგარეო პოლიტიკის მიმართ საკმაოდ მწვავე და კრიტიკული იყო, თუმცა კრიტიკა არასოდეს გადაზრდილა მტრულ და აგრესიულ დამოკიდებულებაში.

ვისაც გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოქვეყნებული ჩემი პუბლიკაციები წაუკითხავს, დამეთანხმება, რომ მე არ მივეკუთვნებოდი იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც მხოლოდ დიტირამებისა და ხოტბა-დიდების აღვლენით იყვნენ დაკავებული გამსახურდიას მისამართით და ჩემი აზრით, ძალიან ცუდ სამსახურს უწევდნენ ამით.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც გითხარით, გამსახურდიას თანამებრძოლი და მეზობლე არასოდეს ვყოფილვარ, მას შემდეგ, რაც რუსთაველზე პირველი ტყვეა გავარდა და სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყო, ერთ-ერთმა პირველმა მე დავეკმე „პუტჩისტების“ დანაშაულებრივი საქციელი.

ამის თქმა მაშინ ადვილი არ იყო, მსგავსი რაღაცების გამო ადამიანებს პირ-

დაპირ ქუჩაში ხვრეტდნენ. შემდეგ იყო სამეგრელოს დალაშქვრა „მხედრონის“ და სხვა ბანდფორმირებულების მიერ, რაზეც ჩემი უკიდურესად პრინციპული პოზიცია არაერთ წერილში გამოვხატე.

**გავინაც და დღესაც ვივლი, რომ ვინც ზვიად გამსახურდიას დააბნო, მან დააბნო მთლიანად საქართველო, ფშქვშუ გათელა მისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება.**

პირადი ამბიციებით, შურით, ამპარტავნებით და უგუნურობით შეპყრობილმა, დალატისა და ქვეუღანობისკენ მიდრეკილმა ქართველთა ერთმა ნაწილმა საკუთარი სამშობლო დაიპყრო და გააპარტახა.

იმ დროს დაწვებული ომი და დაპირისპირება, ვფიქრობ, დღემდე არ დამთავრებულა და, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს არ დამთავრდება.



ლად კი დატოვა, მაგრამ ჩემს კომენტარს ქალბატონი ელისო კილაძის კომენტარიც მიაყოლა.

**მოგახსენებათ, ქალბატონი კილაძე აბოლ ხანაში მოგონებებში გადაგვარდნით და უამბავსოვლიან იმით „ჩემებავს“ იმეზავა, რომლებიც ირიბად თუ პირდაპირ არსებული ხელისუფლების ფისქვილზე ასხამს წყალს.**

ეტყობა, კილაძემ თავისი ჯადოსნური სკივრი ბადრი პატარაკაციშვილის შტაბში მუშაობისას გაძეგა „კომპრომატებით“ და საიმედოდ შეინახა — ვინ იცის, სად და როდის გამოადგებაო.

რაღა სუკის არქივი და რაღა „ინდემწარმე“ კილაძის სკივრი — რა გინდა, სულ და გულს, შიგ არ იყოს.

— უამრავი ხალხი მოდიოდა ჩვენთან და ყველას ვერ დავიმახსოვრებდი, მაგრამ ვახტანგ ხარჩილავა ნამდვილად მახსოვს. გუგე

ცანავამ მოიფანა ჩვენთან და მაშინაც გუგე ცანავას და ვახტანგ ხარჩილავას მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება სამეგრელოს რეგიონში ეწ. ზვიადისტების შემოკრება უნდა ყოფილიყო, — ბრძანებს ქალბატონი ელისო.

გუგე ცანავამ, ჩემმა მეგობარმა და ახლობელმა, ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული, მართლაც მთხოვა ერთხელ კილაძესთან გავყოლოდი და გაზეთის გამოცემასთან დაკავ-

მოწმობა კი უდიდეს სატყუარაგან ყველაზე უდიდესი და სათაკლო სატყუარაა.

გუგე ცანავა, ეს უწესიერესი და უპატიოსნესი ადამიანი, ნამდვილი პატრიოტი და ნამდვილი ქართველი, დღეს ცოცხალი არ არის და ამიტომ იძულებული ვარ, მე გავცე პასუხი მის ნაცვლად ქალბატონ კილაძეს: — ქალბატონო ელისო, ცოცხლებს რომ არ ინდობთ, გასაგებია, მაგრამ მიცვალებულის ხსონას მაინც არ უნდა სცეთ პატივი? და კიდევ ერთი კითხვა: — რისთვის იყავით თქვენ ბადრი პატარაკაციშვილის შტაბში და რისთვის გიხდი-

ინტერნეტ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში  
[www.saertogazeti.net](http://www.saertogazeti.net)  
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე  
**საერთო გაზეთი**



რა რაოდენობის თანხები გამოიყო სახალწლოდ თბილისის ბიუჯეტიდან და რა მოლოდინი აქვს ოპოზიციას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით „საერთო გაზეთს“ „რესპუბლიკელი“ **თინა ხიდაშელი** ესაუბრა.

— თუ გაქვთ ინფორმაცია, რა დაუჯდა თბილისის ბიუჯეტს სახალწლო ღონიძიებების აღნიშვნა?

— ზუსტად არ ვიცი, რა დაუჯდა ქალაქის მერიას 2012 წლის შემობრძანება. ეს პროცესი არაა ერთი საბიუჯეტო წყაროდან. შესაძლოა, აჭარაში კონცერტი პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, მთავრობის ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. 2004 წლიდან მოყოლებული ვიბრებით, ბიუჯეტში გაიწეროს ყველა ის ხარჯი, რომელიც მასშტაბური ღონისძიებების გამართვისთვის გაიხარჯება. თუმცა ხელისუფლება ამას არ აკეთებს, რადგან რთულ სიტუაციაში აღმოჩნდება. თბილისში თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაახლოებით, 12 მილიონამდე დაიხარჯა. მარტო ნახევარი მილიონის გიგი უგულავამ შოკოლადი იყიდა და ნახევარ მილიონ ლარზე მეტი ფეიერვერკისთვის გამოიყო. განათება დედაქალაქში მილიონამდე დაჯდა, რომელშიც არ შედის ელექტროენერჯის ხარჯი და განათებისთვის მერიამ დამატებით უნდა გადაიხადოს. 300 000 ლარი დაჯდა ე.წ. სახალწლო სოფელი პარლამენტთან. რკინის ვეხირები კი რომელიც ორანიზატორებმა კონცერტისას გამოიყენეს 200 000 ლარამდე. თბილისის კონცერტის ტრანსლაცია 182 000 ლარი დაჯდა. ტრანსლაციების უფლება კი „პორიზონტ ტვ“-ს ერგო, რომლის მმართველი დავით გერსამიაა. ტრადიციულად, ხელისუფლება სწორედ ამ კომპანიას უკვეთავს ყველა ღონისძიების ორგანიზებას.

საქმე როცა ასეთ მასშტაბურ ღონისძიებებს ეხება, სახელმწიფო კვლევას ატარებს, გეგმავს საზოგადოების განწყობას, მის შთაბეჭდილებას, მაგრამ საქართველოში ასე არ ხდება. სააკაშვილს არ აინტერესებს, რას ფიქრობს ხალხი, მთავარია, მთავრობა კმაყოფილია.

— ხელისუფლებამ არჩევნებისთვის მზადება უკვე დაიწყო. თქვენ როდის, რა ფორმით, აპირებთ საარჩევნო კამპანიის დაწყებას?

— კოალიციის ფარგლებში ვაპირებთ აქტივობას. ამიტომ გეგმა გვქონდა ადამიანებისთვის შეგვენარჩუნებინა სახალწლო განწყობა, არ გვინდოდა მუდმივად პოლიტიკაზე



თარ თავზე ირგებდა, დღეს პირველი შემთხვევაა, როცა პრეზიდენტი კანონპროექტებს სხვისთვის ადგენს. ესაა ყველაზე კარგი ინდიკატორი. მიხეილ სააკაშვილმა დაინახა, მისი მმართველობის დასასრული. ძალიან მნიშვნელოვანია დასავლეთის განწყობაც. დღეს მთელი მსოფლიო აპროტესტებს პუტინის მმართველობას. თუმცა პრინციპულ სხვაობას ვლადიმერ პუტინსა და სააკაშვილს შორის ვერ ვხედავ. დღეს აქტუალურია შეკითხვა — მიშა პუტინია?

ბისა“ და „თავისუფალი დემოკრატებისგან“ განსხვავებით?

— საქართველოში ბიძინა ივანიშვილი მთავარი პოლიტიკური ფიგურაა. მისი გავლენის გათვალისწინებით იქმნება ის პროცესი, რომელშიც ჩვენ ვმონაწილეობთ. მისი როლი გასაზღვრულია, ის არის საქართველოში პროცესების გამოღვივების მთავარი მონაწილე. ივანიშვილი, როგორც დასავლელი პარტნიორები ამბობენ, დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში მთავარი დისკურსია.

— წინასწარჩვენოდ ხელისუფლებამ პოლიტიკურ პარტიებს დაფინანსების კუთხით სერიოზული შეზღუდვები დაგიწესათ. ამ პირობებში რას აპირებთ?

— დაფინანსების საკითხი „რესპუბლიკურმა პარტიამ“ მწვავედ ვიწვინეთ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, როცა დაფინანსება მნიშვნელოვნად შევკვიცივდა. ამიტომ საქართველოს მასშტაბით 64 ოფისიდან დიდი რაოდენობა დავხურეთ და მხოლოდ 8 ფუნქციონირებდა. თუმცა რა კანონიც არ უნდა მიიღოს სააკაშვილმა, ზუსტად იმდენ ფულს დავხარჯავთ, რაც საჭირო იქნება სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასასვლელად.

— თუმცა თქვენს ფინანსურ ხარჯ-თარიღებს უკვე კონტროლის პალატა გააკონტროლებს?

— გააკონტროლონ. ჩვენ კონტროლის პრობლემა არ გვაქვს. მთავარია, კანონი არ დავარდლოთ. იდგენ და აკონტროლონ. სწორედ ამ კონტროლით მიხეილ სააკაშვილმა ის კატა გამოთხარა, რომელმაც ავლაბრის რეზიდენციაში მჯდომი ვირთხა უნდა შეჭამოს. „კანონები, რომელიც უნდათ ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენონ, სწორედ საკუთარი თავების შესაჭმელ კატას გამოთხარაინ.

— საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, ყველა თანხმდება, რომ კოდექსში სერიოზული ხარვეზები ჯერ კიდევ არსებობს. ასეთ პირობებში შესაძლებელია თავისუფალი არჩევნების ჩატარება?

— მიხეილ სააკაშვილი საქართველოში თავისუფალ არჩევნებს არ ჩაატარებს. დღეს უკვე ხალხის განწყობა შეცვლილია, ჩვენ არჩევნებამდე უნდა ვეცადოთ საზოგადოების ეს განწყობა საარჩევნო ყუთებამდე მივიტანოთ. არსებობს ზღვარი, რომელსაც თუ საარჩევნო კანდიდატი გადალახავს, შედეგს ვერანაირი გაყალბება ვერ შეცვლის. ამიტომ ჩვენი ამოცანა ამ ზღვრამდე მისვლაა.

მირანდა ნაბახტაშვილი

# მიხეილ სააკაშვილი მისი კატა გამოტარა, რომელმაც ავლაბრის რეზიდენციაში მჯდომი ვირთხა უნდა შეჭამოს

საუბრით ყოფილიყვნენ დაკავებული, ამიტომ, როცა ქვეყანა მილიანად დაბრუნდება ჩვეულ რეჟიმში, დაიწყებთ საარჩევნო კამპანიას, ასე იანერის ბოლოსთვის, ვგარაუდობთ.

კამპანია იქნება მრავალფეროვანი, საინტერესო და მიმზიდველი საზოგადოებისთვის. პრინციპულად განსხვავებული, ვიდრე აქამდე ყოფილა.

— თქვენი პარტია კოალიციის ფარგლებში აპირებს არჩევნებში მონაწილეობას. არაერთხელ გვინახავს ოპოზიციის ერთობა, მაგრამ რეალური შედეგი არასოდეს დამდგარა. რა იქნება გარანტორი, რომ ისტორია აღარ განმეორდება?

— დღეს პრინციპულად განსხვავებული მდგომარეობაა. გადაწყვეტილია ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი. არანაკლებ მნიშვნელოვანია შიშის ფაქტორი, რომელიც სააკაშვილმა ბოლო სამი თვის განმავლობაში აჩვენა. ვხუმრობ ხოლმე, საქართველოს პარლამენტი უკვე ბიძინა ივანიშვილის სახელობისაა, რადგან დღედაღამ ფიქრობენ, რა წინააღმდეგობა გაუწიონ ივანიშვილს. სააკაშვილი საქართველოს კონსტიტუციას ყოველთვის საკუ-

რამდენიმე დღის წინ, დაახლოებით, 15 წუთი დაუთმო სააკაშვილმა რუსეთის პრემიერ-მინისტრზე საუბარს. თუ მის საუბარში სიტყვა პუტინს ჩაენაცვლებოდა სააკაშვილით, გამოგვივა, რომ მიხეილ სააკაშვილიც თავიდან ბოლომდე იფიქვს ლაპარაკობს, რასაც პუტინი.

— კოალიციის მუშაობაში როგორი იქნება ბიძინა ივანიშვილის როლი. მას არ გააჩნია პოლიტიკური პარტია „რესპუბლიკელი“



## 3 გვ.

რასაც ახლა ვამბობ, თუ ეს არის ზეიადისტობა, კი ბატონო, მეც ზეიადისტი ვყოფილვარ.

საერთოდ, ეს ტერმინი „ზეიადისტი“, ჩემი აზრით, ძალიან არასწორად და ხელოვნურად შეზღუდულ ფორმებში იხმარება.

**პისაც საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა რამდენ უღირს, ცოტ-ცოტათი ყველანი ზვიადისტები არიან, მათ შორის იხინიც კი, პინც უმაცრებისა და უზუნუ-რების წყალობით, იარაღით ხელში იბრა-პოდნე გამსახურდიას წინააღმდეგ, თუხაცა მოგვიანებით პისკოდნე-პნ, რომ გამსახურდიას წინააღმდეგ კი არაა, საკუთარი თავის და საკუთარი ძმების წინააღმდეგ იბრაპოდნე სინამდვილეში.**

დიდი თემაა ეს და წერილის ფორმატის გამო ამ თემაზე აქ

# Worebi asineTas kantoridan da cru gangaSi ivaniSvil is karze zviadisturi skandal is Sesaxeb



ვრცლად და ამომწურავად ვერ ვისაუბრებ, თუმცა ვიტყვი ერთს: ქართული სახელმწიფო დღემდე ვალშია ადამიანთა იმ კატეგორიის წინაშე, რომლებსაც ზვიადისტებს ვეძახით და რომლებსაც ერთდღერთი დანაშაული მიუძღვით ქვეყნის წინაშე: ბოლომდე უერთგულეს ზვიად გამ-

სახურდიას და, აქედან გამომდინარე, ბოლომდე უერთგულეს საქართველოს. ეს ადამიანები, რომლებსაც უამრავი უბედურება და განსაცდელი დაატყდათ თავს, ქართული სახელმწიფოსგან დიდი პატივისცემის, დიდი თანაგრძობის და თანადგომის ღირსნი

არიან, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ოცი წელი გავიდა იმ ტრაგიკული მოვლენებიდან, დღემდე არაფერი გაკეთებულა მათი რეაბილიტაციისთვის.

რაც შეეხება სამეგრელოს, ტყუილად ჰგონიათ ვიდაცებს, რომ სამეგრელო მხოლოდ ზვიადისტებით არის დასახლებული. საჭიროა მხოლოდ მათი დამახე-ბა, გაერთიანება, ერთ ლაშქრად შეკვრა და ხელისუფლებას დიდი პრობლემები შეექმნება.

**იმაღი უნდა გაგიტყდეთ, გატონებო: სამეგრელოშიც იმაღი ზვიადისტია, რამდენიც არის გურიში, იმამეთში, კახეთში ანუ საქართველოს ნებისმიერ რაიონში.**

შეიძლება ცოტათი მეტი ან ცოტათი ნაკლები.

**და ბოლოს: კიდევ ერთხელ ვაცხადებ — არაფერი მაქვს საერ-**

**თუ ამ სუბელურ ჭორ-თან, ილიოტაშის მიერ მოწინააღმდეგე ილიოტაშისთან, რომელიც სინამდვილეში ჩამს წინააღმდეგ კი არაა, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ არის მიმართული.**

ამბობენ, ბიძინა ივანიშვილს თავის სახლობელ წრეში ასეთი სიტყვები უთქვამს იმ ტრაგიკულ დროს, როცა ზვიად გამსახურდიას ებრძოდნენ, მე რომ საქართველოში ვყოფილიყავი და ის შესაძლებლობა მქონოდა, რაც დღეს მაქვს, აუცილებლად ზვიად გამსახურდიას გვერდით დავდებოდი და ყველაფერს ვიღონებდი იმისთვის, რომ არ მომხდარიყო ის, რაც მოხდა.

შეიძლება სწორედ ეს სიტყვები გახდა ზემოთხსენებული ჭორის შეთხზვის საბაბი, მე კი, უბრალოდ, ჭორის მასალად და სიუჟეტის ფრაგმენტად გამოიყენეს.

გვესაუბრება „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი ლუკა კურტიანიძე

ბატონო ლუკა, გაჩნდა რელიგიური შანსი ქართველებმა ქართული ოცნება ავიხდინოთ, თუმცა ამას თან ახლავს სიძნელები. რა ბერკეტები არსებობს იმისთვის, რომ ქართული ოცნება ოცნებად არ დარჩეს?

უპირველეს ყოვლისა ყველა ადამიანს მინდა ქრისტიანობა და ახალი წელი მივულოცო, ვუსურვო ბედნიერება, ურთიერთშესძენა, მადლის დაფასება. ადამიანი უნდა იყოს მადლით სავსე — ეს არის ყველაზე მთავარი. მადლი და მადლიერება უდიდესი ძალაა ადამიანისთვის. რაც შეეხება შეკითხვას, ერთი რამ ზუსტად ვიცი — ეს არის ბრძოლის გავრძელება, რომელსაც ერისა და სამშობლოს მოყვარული ადამიანები წლებია ეწევიან. ქართული ოცნება შემთხვევით არ დაბადებულა. თუ საქართველოში ისეთი ვითარება იქნებოდა, რომ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები პოლიტიკაში არ ჩაერთვებოდნენ, მაშინ არც „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბების აუცილებლობა გაჩნდებოდა. მაგრამ სიტუაცია იყო ასეთი, რაც 26 მაისის სისხლიანი დღით დასრულდა. ეს იყო ალბათ ერთ-ერთი ბოლო წვეთი, რის გამოც ეს მოძრაობა შეიქმნა. ამ ყველაფერს სათავეში, ის ადამიანი ჩაუდგა, რომელმაც ძალიან დიდი ხნის მანძილზე უდიდესი მადლი დააგროვა თავისი მოქმედებით, სიკეთით. როდესაც ადამიანს სამშობლო ეკარგება (ეს მისი სიტყვებია), მაშინ სხვა დანარჩენი მეთაურის ხოვან პლანზე გადადის. ამიტომ, უამრავი პროფესიის ადამიანს გაუჩნდა იმედი, რომ ქართული ოცნება იქნება ის ძალა, რომელიც მართალმბრძოლ, მართალ-ოპოზიციურ ძალას, მართალ ადამიანებს, მართალ საზოგადოებას გააერთიანებს და ერთობლივი ბრძოლით მივალწევთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ 21-ე საუკუნეში ისეთი პოლიტიკური საზოგადოება ჩამოყალიბდება, რომელიც ქვეყნის გადარჩენისთვის იბრძოდება. ასე შესახება ქართული ოცნება. ადამიანმა, რომელიც ამ ყველაფერს სათავეში უდგას თავისი ცხოვრებით, საქმით და არა სიტყვით დაამტკიცა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. ამ ადამიანის მჯერა. აქამდე გვეყვანენ პოლიტიკოსები, რომლებიც ლაპარაკის გარდა აღარაფერს აკეთებდნენ. ამიტომ გაჩნდა დიდი იმედი, რომ ქართული ოცნება სწორი მემართლებით რომ წარიმართოს, ამისთვის მართლმა საზოგადოებამ მას მართალი გზა უნდა აჩვენოს.

როგორ ფიქრობთ, მართალ გზაზე რა ფორმით უნდა მივიდეთ, როგორ მოვიპოვოთ გამარჯვება — არჩევნებით თუ ქუჩის აქციებით?

ჩვენ არ გვინდა სასაფლაო, ისედაც მრავლად გვაქვს დაღუპულები.

პი, ბატონო ჩვენ მხარს დაჭერით არჩევნების გზით სიარულს, ჩვენ არჩევნები არჩევნებად უნდა მოვიგოთ, მხარს ვუჭერთ მთავარი.

საკმაოდ რთულად ზომ არ მიმდინარეობს „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბების პროცესი?

რა თქმა უნდა. ქართული ოცნების ჩამოყალიბება ძალიან მტკივნეულად მიდის. ჯერ სახელმწიფო არაა ნორმალურად ჩამოყალიბებული. აქედან გამომდინარე, როდესაც ჩამოყალიბებულ სახელმწიფოში საზოგადოება თუ პარტია

ყალიბდება, ეს, რა თქმა უნდა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამიტომ, უმტკივნეულოდ არაფერი მოხდება. 26 მაისის შემდეგ ყოველგვარი პოლიტიკური დღილი ჩაკლეს. იყო პერიოდი, როდესაც ვითომ ოპოზიციურმა ძალებმა ხელისუფლებასთან ერთად კრიტიკა და ბრძოლა დაგვიწყეს.

26 მაისის ბრძოლა პი არ დასრულდა, არამედ ეს იყო ბოლო წვეთი, რატომ ბრძოლას ახალი კალა შემატებოდა.

მაშინ ვთქვა, რომ შემოდგომაზე აუცილებლად ჩამოყალიბდებოდა ძალა, რომელიც გამაერთიანებელი, სერიოზული ძალა იქნებოდა ამ რე-



# Cven ar Cevnebi i ar Cevnebande unda movi go T!



მართეთ სოსო ჯაჭვლიანთან და მერაბ შათირიშვილთან ერთად. რას ემსახურებოდა ეს აქცია?

— იცით, ყველაზე მთავარი რა არის? — მადლი და მისი დაფასება. უმაღლური ადამიანი ცოლა. მადლი ნიშნავს არამართლ იმას, რაც პირადად განიცადე, არამედ რაც შენს სამშობლოზე სიკეთე გაკეთებულა — ესაა ვადლებულება, ის უდიდესი მადლი, რომელიც ამ ადამიანმა და მისმა სიტყვამ გააჩინა.

მს საფორუმოსთვის ბავაპითი იმიტირებ, რომ სწორად

საფორუმოსთვის ბავაპითი იმიტირებ, რომ სწორად სარგებდა მს ადამიანი. გარდა ამისა, ამ აქციით სიბოლოურად დაგვაკავშირეთ ორი მკობა — დავით აღმაშენებლის და დემანდელი სამება, რომელიც მისი უდიდესი გადარჩენის კალაა, რაშიც ბიძინა ივანიშვილის დიდი ფვლილია.

სამების აღმშენებელმა ადამიანმა გააჩინა იმედი, რითაც შეიძლება მომავალი თაობისთვის დიდი ისტორია შეიქმნას. ეს ორი ბუმბერაზი ადგილი სიცოცხლის ფასად დაკავშირეთ ერთმანეთს. ეს იყო ამ იდეის დედა-აზრი. ღმერთია მოწმე, რომ ამ აქციის უკან მხოლოდ სამშობლოს გადარჩენის, მადლიერების დაფასების სურვილი იდგა. ბევრი მეკითხება — ბიძინა თუ შეგხვდათ ამის შემდეგ. შე, დალოცვილისშ-

ვილო, ამას რა მნიშვნელობა აქვს. ივანიშვილმა უკვე იმდენი ნაბიჯი გადმოდგა თავისი სიკეთეებით, რომ ჩვენ ვერაფრით გავუწერებთ მას. ამიტომ ადამიანი თუ გიყვარს, მისთვის თუ იბრძვი, გაკეთებული საქმე არ უნდა დაამადლო. პირიქით, შეიძლება სადღაც კუთხეში იყო და საერთო საქმისთვის მოქმედებდე, ეს უფრო დასაფასებელია. ამ ღირსებით ვართ და ვიბრძვით, რათა ივანიშვილის მიერ გაჩენილი იმედი დავიცვაოთ, თუნდაც სიცოცხლის ფასად.

ინტერნეტში „საერთო გაზეთი“  
www.saertogazeti.net  
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე  
საერთო გაზეთი

— ალბათ დამეთანხმებით, რომ მხოლოდ 2-3 კაცის თავდადება არ კმარა. დღევანდელ რეალობაში არსებობს ჯანსაღი საზოგადოება, რომელიც სიცოცხლის ფასად თავგანწირვისთვისაა მზად?

— რა თქმა უნდა, გეთანხმებით. ეს იყო მესამე აქცია — მანამდე ხელმოწერების შეგროვება და ანაბრების შეტანის აქცია განხორციელდა. ამის პრეცედენტი მსოფლი-

ოში არ არსებობს იმიტომ, რომ საზოგადოების დამოკიდებულება მილიარდების მიმართ დადებითი არ არის.

მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, ამ ადამიანმა იმდენი შთაბეჭდილი, თანხის უბრალოებით, რომ სრულიად საზოგადოებას თანხი შეაფარა. იგი არა მარტო საპატივცემულო გახდა, არამედ ყველას თანხი შეაფარა, ამათ რიცხვს განვსაზღვრავთ მკვ.

ეს აქციები ნაკლებად იყო. ყველა საქმე, რომელიც სამშობლოს გადარჩენისთვის კეთდება, საერთო საქმისთვის ნაკლებია, რომელიც იცხება და ერთობის შემთხვევაში უდიდეს ძალას წარმოადგენს, რომელიც ნებისმიერ წინააღმდეგობას გაანადგურებს. ამიტომ, არ არსებობს ძალა, რომელიც ერთხელ იბადება. წვეთ-წვეთ, ნაკლებ-ნაკლებ ყველა თავისებურად გააძლიერებს ამ საერთო იდეას, რაც შეუქცევადი პროცესი იქნება. რთულად, თუმცა ეს პროცესი დაწყებულია. უამრავი გადამკვეთი გზებია, რომელმაც ეს ძალები უნდა გააერთიანოს. ამ ბრძოლაში ყველა უნდა გაერთიანდეს, თუნდაც შეცდომილი ადამიანი.

არაბის ამჟამ უფლება საფორუმოს სიყვარული-სთვის შევლომოდ ადამიანს უთხრას — არ გაქვს უფლება საფორუმოსთვის იბრძოლო. ამის უფლება ყველას აქვს. ყველა ვინც სინანულით მოინანია და თავისი შეცდომა დაინახა, მას უფრო მეტი შუქი, ვიდრე ბუღალტრისგან უნდა მიეღოს. უფრო მეტი უნდა მიეღოს.

ბად დაუშვია. საფორუმოსთვის ბრძოლა ყველას შუქია. ყველაზე მთავარია — საზოგადოებამ არ უნდა დაიწყოს დაყოფა — მე შენზე უკეთესი ვარ, შენზე უკეთესი ვარ და შენზე უკეთესი ვარ. ეს არის საზოგადოების დაშლის გზა. მე რა ვიცი, შენ რა ვიცი, ის რა ვიცი, ეს არის საზოგადოების დაშლის გზა. მე რა ვიცი, შენ რა ვიცი, ის რა ვიცი, ეს არის საზოგადოების დაშლის გზა.

მერე რა, მე ვაფასებ ამისთვის, შენს გაკვალულ გზაზე გამოვედი და შენ უნდა დამიფასო იმიტომ, რომ ეს გაკვალული გზა მოვიწინე და შენს გვერდით ვდგავარ. ამიტომ უნდა მოხდეს გაერთიანება, ერთობა, რაც მართალ გზაზე მივდივართ. მართალი გზა სამშობლოს გადარჩენაა. კიდევ ერთი მინდა აღვნიშნო — მე ლუკა კურტიანიძე, სოსო ჯაჭვლიანი, მერაბ შათირიშვილი, გურამ ფირცხალავა და სხვები ვართ იმ გუნდის წარმომადგენლები, რომელთაც გვეძლევა ერთმანეთი და მზად ვართ მივიღო ჩვენი გამოცდილებით, ცოდნით, განათლებით ამ რეჟიმს შევებრძოლოთ და ქართულ ოცნებას მილიარდ დღეებზე გვერდით.

ვინც 26 მაისს საზოგადოებას, მივლეს ერს თავგანწირვა ანახა, სისხლის დაღვრამდე იბრძოლა, უკან არ დაიხია, არცერთ პოლიტიკურ ძალას უფლება არ აქვს მათ სამშობლოს სიყვარულზე შეედავოს და თქვას — ისინი ამ ბრძოლაში არ გამოგვაადგებიანო.

თავარი შევლიკი



რა შანსები აქვს სახელისუფლებო შეზღუდვების მიუხედავად ოპოზიციას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე? „საერთო გაზეთის“ პოლიტოლოგი რამაზ სავარძლიძემ ესაუბრა.

– ხელისუფლებამ ოპოზიციას დაფინანსების კუთხით სერიოზული შეზღუდვები დაუწესა. როგორ ფიქრობთ, ასეთ სიტუაციაში რა შანსები აქვს ოპოზიციას არჩევნებში მონაწილეობისთვის?

– დაახლოებით 85 წლიდან, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობა გააქტიურდა, იმ პერიოდში არათუ ტელევიზიაში, გაზეთში, არამედ უბრალო ფურცელზეც კი ვერ დაბეჭდავდით რაიმეს სერიოზული კონტროლის გარეშე. საუბარი იმაზე, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას რაიმე დაფინანსების წყარო ჰქონოდა, ზედმეტია. ამავე დროს კომუნისტების ხელში იყო ყველა ადმინისტრაციული რესურსი. შესაბამისად, ეროვნულ მოძრაობას არ ჰქონდა დაფინანსება, პიარისთვის შედარებით დაბალი რესურსი, მაგრამ დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად, საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობით მოვიდა. ასე რომ, საუბარი იმაზე, თითქოს დაწესებული ფინანსური შეზღუდვების მიუხედავად, არჩევნებში გამარჯვება შეუძლებელია, მართებულად არაა.

– ბიძინა ივანიშვილი არჩევნებში მონაწილეობას კოალიციის სახელით აპირებს. რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა მისი მხრიდან?

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გადაწყვეტილება მიმწიფდა მამის, როცა ივანიშვილს პარტია არ ჰქონდა ჩამოყალიბებული, პრინციპში არც ახლა აქვს. მას სჭირდება პოლიტიკაში მოსახლეობად პოლიტიკური პარტიის, შესაბამისად, მისი ნაბიჯი გამართლებულია. თუმცა კოალიციაში შემავალი პარტიები ვერ შექმნიდნენ სერიოზულ პოლიტიკურ რეიტინგს, მთავარი ფაქტორი კოალიციის მუშაობაში ბიძინა ივანიშვილია.

– როგორ წარმოგვიდგენათ კოალიციის მუშაობაში ივანიშვილის როლი. მას ხომ არ გააჩნია პოლიტიკური პარტია?

– პარტია ალბათ, მისი მეუღლის ხელმძღვანელობით შეიქმნება. „ქართულ ოცნებაში“ ვინც თავი მოიყარა, ფაქტობრივად, ქართული ინტელიგენციის ნაღები. ვერცერთი პარტია ვერ დაიკავებდა ასეთი ინტელიგენციის პარაფს. ეს ხალხი აქამდეც ხომ არსებობდა, მაგრამ არცერთ სხვა პარტიასთან არ მიესულებოდა.

– მათ არ ჰქონდათ სათანადო ფინანსური რესურსი, რაც ივანიშვილს გააჩნია?

– არა მგონია, ფული გადაწყვეტი იყოს. სხვა თუ არაფერი, ხელისუფლებას ჰქონდა სათანადო ფინანსები. არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც, ნდობა პოლიტიკური ლიდერის მიმართ. არსებობენ პოლიტიკური ფიგურები, ვისაც მთელი რიგი მიზეზების გამო ინტელიგენცია არ ენდობა. თუმცა ბიძინა ივანიშვილი სარეგულბოს უნიკალური ნდობის ფაქტორით. ნებისმიერი სხვა პოლიტიკური ფიგურა



ლის მომხრე გაერთიანებებს, რომელთა გზას ბიძინა არ ემხრობა, ფაქტობრივად, პოლიტიკურ სივრცეში ანგარიშგასწავლად მხოლოდ „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ რჩებიან.

– საუბრობენ იმაზეც, რომ ივანიშვილს სჭირდება, როგორც საშინაო, ასევე საგარეო დიპლომატია და არჩევ-

# „respubliki ebsa- da Tavisufal demokratebs- arCevnebze piaris kuTxiT seriozul i probl emebi hgondaT, ivaniSvil i mxol od maT resurss Tu daeyrdnoba probl emebi Seeqmneba

რომ ჩამდგარიყო „ქართული ოცნების“ სათავეში და ივანიშვილის თანამოაზრეები პირველ ემელონებში ყოფილიყვნენ, ასეთი მხარდაჭერა არ ექნებოდათ და არც ინტელიგენცია შეუერთდებოდა.

– რამდენად მნიშვნელოვანია ივანიშვილმა ნდობის რესურსი სათანადოდ, დროულად და მიზანმიმართულად გამოიყენოს?

– ამ ყველაფერზე ყველაფერი განემატება, რა თქმა უნდა, ივანიშვილის მხარდაჭერაც მისი პარტია და ივანიშვილის განხორციელება. მაგრამ ივანიშვილის პარტია არც ახლა აქვს. მას სჭირდება პოლიტიკაში მოსახლეობად პოლიტიკური პარტიის, შესაბამისად, მისი ნაბიჯი გამართლებულია. თუმცა კოალიციაში შემავალი პარტიები ვერ შექმნიდნენ სერიოზულ პოლიტიკურ რეიტინგს, მთავარი ფაქტორი კოალიციის მუშაობაში ბიძინა ივანიშვილია.

– რამდენად მნიშვნელოვანია ივანიშვილმა ნდობის რესურსი სათანადოდ, დროულად და მიზანმიმართულად გამოიყენოს?

– ამ ყველაფერზე ყველაფერი განემატება, რა თქმა უნდა, ივანიშვილის მხარდაჭერაც მისი პარტია და ივანიშვილის განხორციელება. მაგრამ ივანიშვილის პარტია არც ახლა აქვს. მას სჭირდება პოლიტიკაში მოსახლეობად პოლიტიკური პარტიის, შესაბამისად, მისი ნაბიჯი გამართლებულია. თუმცა კოალიციაში შემავალი პარტიები ვერ შექმნიდნენ სერიოზულ პოლიტიკურ რეიტინგს, მთავარი ფაქტორი კოალიციის მუშაობაში ბიძინა ივანიშვილია.

ნი ისეთ პარტიებზე გააკეთა, რომლებიც საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით დასაველეთან ასოცირდებოდნენ. იზარებთ ამ მოსაზრებას?

– ვიზარებ ამ არგუმენტსაც, თუმცა ვითვალისწინებ იმ ვერსიასაც, დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად, რაც ქართულ პოლიტიკურ მენიუში ივანიშვილმა შემოიტანა, სხვა არჩევანი აღარც ჰქონდა. თუმცა „ლეიბორისტები“ არ იქნებოდა ცუდი, ინგლისური რომ დაეხვეწათ.

– თავიდანვე ივანიშვილი და ნათელაშვილი მკვეთრად გაემიჯნენ ერთმანეთს. რით ხსნით ამ ფაქტს?



– ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური პიარის გასაკეთებლად კარგი იქნება თუ დაიხმარს უცხოელ სპეციალისტებს, ცხადია, ადგილობრივებთან ერთად.

– როგორ ფიქრობთ, რატომ დადო ფსონი ივანიშვილმა „რესპუბლიკელებს“ და „თავისუფალ დემოკრატებს“?

– თუ გავითვალისწინებთ ივანიშვილის დამოკიდებულებას მიმდინარე ოპოზიციური პარტიების მისამართით, რომლებიც სათანადოდ კრიტიკული არ არიან ხელისუფლების მიმართ და რევოლუციური მეთოდებით ხელისუფლების შეცვ-

– „ლეიბორისტებმა“ ივანიშვილის პრიტიკა პოლიტიკაში გამოჩინა, რაც ივანიშვილისთვის საკმაოდ მძიმეა. ანგარიშგასწავლად მხოლოდ „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ რჩებიან.

– საუბრობენ იმაზეც, რომ ივანიშვილს სჭირდება, როგორც საშინაო, ასევე საგარეო დიპლომატია და არჩევ-

– ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური პიარის გასაკეთებლად კარგი იქნება თუ დაიხმარს უცხოელ სპეციალისტებს, ცხადია, ადგილობრივებთან ერთად.

– როგორ ფიქრობთ, რატომ დადო ფსონი ივანიშვილმა „რესპუბლიკელებს“ და „თავისუფალ დემოკრატებს“?



ბან ხელისუფლების საფინანსოვლოდ, თუმცა მოქმედებენ მათ სასარგებლოდ.

– როგორ ფიქრობთ, პროცესების განვითარებაში რა როლი ენიჭება სამოქალაქო საზოგადოებას? ექსპერტთა ნაწილი ამბობს, რომ საქართველოში საერთოდ არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოება.

– სამოქალაქო საზოგადოებას ორგანიზაციები აქვს: ვიწრო და ფართო. ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა თემატიკაზე მუშაობენ. მათ დაფინანსებაზე, როგორც წესი, ხელისუფლება თავს არ იწუხებს და არასამთავრობოები უცხოური გრანტებით მუშაობენ. უცხოელი კი იმ თემებს უკვეთავს, რაც მას აინტერესებს.

– ხელისუფლების მტკიცებით, ივანიშვილი რუსულ თამაშს თამაშობს. ეს გარემოება ხომ არ იმოქმედებს ივანიშვილის იმიჯზე არჩევნების პერიოდში?

– იმომხდობს დადებითად. ის, რითიც რუსეთი აწინააღმდეგებს საქართველოს – თავისუფლების დაცვით, ეროვნული ღირებულების დაცვით, ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვით, ეს ყველაფერი არ არის რუსული თამაშის ნაწილი.

– როგორ შეაფასებთ ეკატერინე ხვედელიძის ნაბიჯს პოლიტიკაში. სწორი ტაქტიკაა ივანიშვილის მხრიდან?

– სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ქართული ანდაზის პერიფრაზს გვაკეთებ – „ის ურჩენია მამულსა, რომ ღელა სჯობდეს მამას“. საინტერესო ნაბიჯია. ვნახოთ, რა ნიჭი აღმოაჩნდება ხვედელიძეს. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ გამოუცდელია, ძალიან ბევრი პოლიტიკოსი ვიცი, რომლებიც დიდი ხანია პოლიტიკაში არიან, მაგრამ შედეგისთვის ვერ მიუღწევიათ.

– როგორ შეაფასებთ ეკატერინე ხვედელიძის ნაბიჯს პოლიტიკაში. სწორი ტაქტიკაა ივანიშვილის მხრიდან?

– სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ქართული ანდაზის პერიფრაზს გვაკეთებ – „ის ურჩენია მამულსა, რომ ღელა სჯობდეს მამას“. საინტერესო ნაბიჯია. ვნახოთ, რა ნიჭი აღმოაჩნდება ხვედელიძეს. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ გამოუცდელია, ძალიან ბევრი პოლიტიკოსი ვიცი, რომლებიც დიდი ხანია პოლიტიკაში არიან, მაგრამ შედეგისთვის ვერ მიუღწევიათ.

მირანდა ნაბახტაშვილი

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში  
[www.saertogazeti.net](http://www.saertogazeti.net)  
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე  
**საერთო გაზეთი**

**ირანში ბირთვულ პროგრამაზე**  
მომხმარებელი ფიზიკოსის მკვლევარმა  
ქვეყნიანმა დააჩვენა

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ბირთვულ პროგრამაზე მომუშავე ფიზიკოსის, აჰმად როშანის მკვლელობაში ეჭვმიტანილი რამდენიმე ადამიანი დააკავეს. შესაბამისი განცხადება ადგილობრივ მედიასთან საუბარში ირანის პარლამენტის სპიკერმა ალი ლარჯანმა გააკეთა.

მისი თქმით, მიმდინარეობს გამოძიება და მკვლელობის დეტალების დადგენა.

ამის პარალელურად ბრიტანული „სანდი ტაიმსი“ ისრაელურ წყაროზე დაყრდნობით, ავრცელებს ინფორმაციას, რომ ზემოხსენებული ფიზიკოსის მკვლელობა ისრაელის სპეცსამსახურების მიერ იყო ორგანიზებული.

გამოცემის ცნობით, ოპერაცია რამდენიმე თვის განმავლობაში იგეგმებოდა. გაზეთის წერს, რომ ფიზიკოსის მკვლელობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ისრაელის მიერ ირანის ბირთვულ ობიექტებზე თავდასხმის მომასწავებლად.

**შალვა ნათელაშვილმა**  
აივან ღვთისმშობლის  
პოლიტიკური ქილერი უნდა

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა „ხალხის პარტიის“ ლიდერს კობა დავითაშვილს „პოლიტიკური ქილერი“ უწოდა.

როგორც დღეს პარლამენტის შენობის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, ის პოლიტიკური ქილერების განცხადებებზე კომენტარებს არ აკეთებს.

„ჩემი აზრით, კობა დავითაშვილი პოლიტიკური ქილერი“ – აღნიშნა ნათელაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ „ხალხის პარტიის“ ლიდერმა კობა დავითაშვილმა განაცხადა, რომ შალვა ნათელაშვილი ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგო განცხადებებით მხოლოდ იმით გამოდის, რომ ივანიშვილმა ის თავის კოალიციაში არ მიიწვია.

„მედიანოუსი“

**გვესაუბრება პოლიტოლოგი  
ჰამლეტ ჭიკაშვილი.**

– ბატონო ჰამლეტ, როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, ირანის წინააღმდეგ და აშშ-ის და დასავლეთის ქვეყნების მონაწილეობით ომის საფრთხე იქნება. დიპლომატიის ენაზე სალაპარაკო აღარაფერი აქვს ირანსა და აშშ-ს?

– საყოველთაოდ ცნობილია, რომ აშშ-ი და ისრაელი დაჟინებით აცხადებენ, რომ ირანი წლების განმავლობაში ურანის გამდიდრებას აქტიურად ეწევა ატომური ბომბის შესაქმნელად და ცდილობენ, თითქოს, შეაჩერონ იგი.

სინამდვილეში ირანსა და აშშ-ს შორის დაპირისპირება 30 წლის წინ იღებს სათავეს, როცა ირანში ისლამური რევოლუცია მოხდა და ირანი ისლამური რესპუბლიკა გახდა.

აშშ-ი ირანს ებრძვის ეკონომიკური სანქციებით უკვე რამდენ

# mSvi doba el anZea~ Tu Caivl i mtkvar Tan xei vans~?!

ნამშრომლობს „ჰამასთან“ და „ჰესბოლასთან“. ეს ორგანიზაციები კი, მოგვხსენებთ, კატეგორიული წინააღმდეგნი არიან აშშ-ის პოლიტიკისა ახლო აღმოსავლეთში. და ისრაელის პირდაპირ მტრებად მიიჩნევიან.

რაც შეეხება სანქციებს. ეკონომიკური შეზღუდვები ირანს სერიოზულ კრიზისს შეუქმნის, რადგან გაყიდული ნავთობიდან შემოსული თანხები ბიუჯეტის 60 პროცენტს შეადგენს.

მიუხედავად ამერიკის „აკრძალვისა“, ამ სანქციებს მხარს ვერ დაუჭერს ჩინეთი, რადგან იგი ირანის ნავთობით, ასე ვთქვათ,

გავარდეს იქ, ეს იქნება სპარსეთის ყურეში სერიოზული სამხედრო კონფლიქტის დასაწყისი. სპარსეთის ყურე კი ჩვენგან არც ისე შორსაა.

– გამოდის, რომ ომის საფრთხის წინაშე რეალურად ვდგავართ?

– ერთი წუთით. თუკი სპარსეთის ყურეში ერთი გასროლა მოხდა, მეორე აუცილებლად ირანის ბირთვული რეაქტორების დაბომბვა იქნება. ასე რომ, ირანის წინააღმდეგ ცხადდება ფართომასშტაბიანი ომი.

– თქვენ რუსეთი არ გიხსენებთ. როგორ იქნება მისი, როგორც ირანის მხარდამჭერი სახელმწიფოს პოზიცია ამ კონფლიქტში?

– თუკი აშშ-ი თავის სამხედრო ქვეითებს ირანის ტერიტორიაზე გადასხამს, როგორც რუსული პრესა იუწყება და ახმოვანებს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დამოკიდებულებას, რუსეთი ირანს სამხედრო ტექნიკით და ჯარით დაეხმარება.

რუსეთის მხარის ინფორმაციით, ირან-აშშ-ისრაელის მოსალოდნელი სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში საქართველო აშშ-ის მხარეს იქნება, რაც ნიშნავს, რომ საქართველო გამოდის ირანის წინააღმდეგ.

რუსეთი მიიჩნევს, რომ სომხეთის ტერიტორიაზე არსებული მისი კუთვნილი 102-ე სამხედრო ბაზა ჩინში აღმოჩნდება. რადგან ამ ბაზასთან მხოლოდ საჰაერო გზით კავშირდება. გასული წლის აპრილში საქართველომ გადაუკეტა დერეფანი რუსეთის სომხეთისკენ მიმავალი სამხედრო ტვირთებისთვის.

ლები. ამჟამად, როცა ჩვენ ვსაუბრობთ, სირიის სიახლოვეს რუსეთის ავიამზიდი „კუნეცოვი“ დგას, დატვირთული სამხედრო გამანადგურებელი ძალებით. ერთი სიტყვით, რუსეთი ცდილობს მზადყოფნაში შეხვედეს ირანის წინააღმდეგ საომარ სიტუაციას.

მოკლედ, როგორც გურიაში იტყვიან, „მშვიდობა არის ელანდე“.

– საქართველო თავით გადაეშლება ამ კონფლიქტში? თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონო ჰამლეტ?

– გაანია, დასჭირდება თუ არა საქართველოს აეროდრომები აშშ-ს ამ კონფლიქტის დროს, რადგან ვარაუდობენ, რომ ირანის ირგვლივ არსებული სამხედრო-საჰაერო ბაზებიდან მოხდეს ირანის დაბომბვა, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყენონ არაფერ იცის, რა მოხდება. განვიხილოთ და ვთქვათ, თუ საომარი კონფლიქტი მართლაც დაიწყო ირანის წინააღმდეგ, რა მოხდება, რომელი ბაზები დასჭირდებათ, რას დაბომბავენ და რას მოიმოქმედებენ, კონკრეტული პროგნოზირება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ისეთი სიტუაციაა, ორი ავაზა რომ ერთმანეთთან დასატაკებლად პირისპირ იდგეს და ნაპერწკალი სჭირდებოდეს ერთმანეთს ბრჭყალებით დაეძვრონ.

– ე.ი. ბირთვული ომის საშიშროება არსებობს?

– 80-მილიონიანი ირანი უბრალო ძალა არ არის, მით უფრო, რომ ხალხი მორალურად მზადაა, როცა იქნება აშშ-ი დაესხება თავს, რადგან შეერთებული შტატების რიტორიკა ირანის მი-

შეგრძნება იმ კუთხით, რომ ეს ქვეყანა მუშაობს ურანის გამდიდრებაზე სამშვიდობო მოსაზრებებით, ეკონომიკის ასაღორძინებლად, ჯანდაცვის კუთხით და ა.შ.

ჩვენი ეროვნული სიამაყე კი ერთია – ვიყილოთ დიდი შავი ჯიბი ნომრით 777, ვჭამოთ ბევრი, დავადლოთ ცოლ-შვილი და ბევრი ფული მოვპაროთ სახელმწიფოს. ეს არის ჩვენი ეროვნული ლტოლვა. ირანელი სოფლის კი მთავარია, გაანდეს დიდი და ძლიერი ქვეყნის შვილობის შეგრძნება. ამდენად, ამ ერთან ჭიდილი ილი ირ არ არის, როგორც ეს ამერიკელებს ჰგონიათ.

– ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ ჩვენი ეროვნული კოლორიტი დედა-მდინარე – მტკვარი შეიძლება თურქებმა „წაიღონ“.

– ამის შესახებ თურქეთის მთავრობის დეკლარაციის წევრს განუცხადებია საქართველოს პარლამენტში. მას უთქვამს, რომ არ მიესალმება ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს თურქეთში პირობების შექმნას თვითმკვრის, თურქულად კურას მიმართულების შეცვლას. ეს ეკოლოგიური თვალსაზრისით, თურქეთისთვის არ იქნება სახარბიელო.

პროექტის მიხედვით, რომელზეც, სავარაუდოდ, თურქული მხარე წლების განმავლობაში მუშაობდა, რადგან ასეთი სერიოზული პროექტები უცებ არ იქმნება, მტკვარი დასავლეთის მაგივრად წავა აღმოსავლეთის მიმართულებით. ნაცვლად კასპის ზღვისა, შავ ზღვაში ჩაედინება.

– ე.ი. მტკვარი აღარ იქნება თბილისში?!

– არათუ თბილისში, საქართველოს ტერიტორიას საერთოდ აღარ გაივლის. ეს არ არის მხოლოდ ცარიელი სიტყვები. ასე იქნება ეს იმ პროექტის მიხედვით, რომელიც თურქულმა მხარემ შეიმუშავა. მაგრამ ვგზობთ, რომ თავი დავენებოთ და მტკვარსაც „შეველიოთ“, ჩვენი ქვეყანა უდიდესი ეკოლოგიური საფრთხის წინაშე დგება. ამაზე ისაუბრეს ქართველმა გარემოს დამცველებმა, მაგრამ მათ ყურს არავინ უგდებს.

– თქვენ გგონიათ, ამას დასთანხმდება საქართველოს ხელისუფლება?

– მე არაფერი არ მგონია. 28 დეკემბერს „ნეზავისიმი“ გაზეთში დაბეჭდა სტატია „ტურცია რაზვარაჩივაეტ კურუ“. იმ სტატიის მიხედვით, სააკაშვილს ჰქონია საუბარი თურქეთის პრემიერ-მინისტრთან. რაზე შეთანხმდნენ, არაფერ იცის, მაგრამ რადგან თურქებმა მოამზადეს პროექტი, ეს ნიშნავს, რომ მათ მიეცა დასტური პროექტის განხორციელებაზე. რომ არ მოხდეს, საჭიროა ერის ერთიანი ნება. ქართულმა საზოგადოებამ ხმა უნდა აძლიოს, თორემ ერთ სიღმერაში რომ არის „ჩაივლი მტკვართან ხევიანსო“, ჩაივლი მხოლოდ ხევიანსო, რადგან აღარ იქნება მტკვარი.

**ირანდა კალანდაძე**



ნიმე წელიწადია. ახლახან აშშ-ის ძალისხმევით გაეროს უშიშროების საბჭომ დააწესა ახალი ეკონომიკური ბლოკადა ირანის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ჩანს, ამან არ დააკმაყოფილა აშშ-ი და რამდენიმე დღის წინ მოუწოდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს გაემკაცრებინათ სანქციები ირანის წინააღმდეგ. ობამამ არა მხოლოდ დასავლეთის ქვეყნებს, არამედ იაპონიას, ჩინეთსა და სამხრეთ კორეას პირდაპირ მოსთხოვა ირანის წინააღმდეგ მოქმედება ეკონომიკური თვალსაზრისით.

– რატომ იაპონიას, ჩინეთს და სამხრეთ კორეას?

– ეს ქვეყნები ირანიდან „იკვებებოდნენ“ ნავთობით, ე.ი. არ უნდა შეიძინონ ირანის ნავთობი, შეუქმნან ეკონომიკური პრობლემები, რომ „გადაათქმევიანონ“ ირანს ურანის გამდიდრების მცდელობა ბირთვული ბომბის საწარმოებლად.

– მაგრამ ირანმა რამდენიმეჯერ განაცხადა, რომ არ აშხალებს ბირთვულ ბომბს.

– ამას წინათ ირანის ხელმძღვანელობამ თქვა, რომ გამდიდრეს ურანი 20 პროცენტამდე, რაც პირდაპირ არის მიმართული ამ სახელმწიფოს საერთო განვითარებაზე, მათი განათლების ღონეზე, მედიცინისა და მეცნიერების წინსვლაზე, და დღეს ირანი ცდილობს მიადწიოს ურანის გამდიდრებას 90 პროცენტამდე.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ ირანი სასტიკად ეწინააღმდეგება ამერიკის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში. იგი აქტიურად თა-

საზრდობს; სანქციების მოწინააღმდეგე იქნება რუსეთიც. ასე რომ, გაეროს უშიშროების საბჭოს ორი მუდმივი წევრი სანქციების წინააღმდეგაა და როგორ გადაწყდება აშშ-ის მიერ დასმული საკითხი – დადებითად თუ უარყოფითად, ეს 23 იანვარს გახდება ცნობილი.

ჩემი ვარაუდით, ევროკავშირის სანქციების დაწესებაზე დადებით რეზოლუციას მიიღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ აპმადინეჯადის განცხადებით, გადაკეტება ორმუხის სრუტე. ამ სრუტეში ახლო აღმოსავლეთიდან მთელ მსოფლიოში მიედინება ნავთობის 40 პროცენტი. ორმუხის სრუტის გადაკეტვა მთელ მსოფლიოში ნავთობის კრიზისს გამოიწვევს. რაც ნიშნავს, რომ თუ დღეს 1 ბარელი ნავთობის ფასი, ვთქვათ, 100 დოლარია, გახდება 200 ან მეტი დოლარი, ეს კი ნიშნავს ფასების ზრდას ყოველგვარ პროდუქტზე და საერთოდ, ვოჯოხეთურად გამჟირდება ცხოვრება.

ვევლაფერს რომ თავი დავენებოთ, ძალიან დამძიმდება ისედაც მძიმე ქართული ეკონომიკური ყოფაცხოვრება.

– ბატონო ჰამლეტ, აქვს ირანს ორმუხის სრუტის გადაკეტვის უფლება?

– წარმოიდგინეთ, რომ არა აქვს, რადგან ეს სრუტე არის არა ირანის კუთვნილი, არამედ საერთო ტერიტორია. აშშ-ი და ინგლისი კატეგორიულად აცხადებენ, რომ არ გადააკეტებენ ირანს ორმუხის სრუტეს. სწორედ ამიტომ გადასხეს იქ სამხედრო-საჰაერო ძალები. ერთი თოფი რომ



იცით თუ არა, რომ ბაზისთვის საჭირო ნავთობპროდუქტებს სომხეთი ირანისგან იღებს? ომის შემთხვევაში ირანი ამას ვეღარ მოახერხებს.

მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებით, რუსეთს უკვე მოხიზვებული ჰყავს თავისი ფლოტი შავ ზღვაში. ეს გემები უკვე დგას საქართველოს ტერიტორიული წყლების სიახლოვეს. საომარ მზადყოფნაში იმყოფება რუსეთის კასპის ზღვის ფლოტილიაც და ხმელთაშუა ზღვაში არსებული რუსეთის საზღვაო ძა-

მართ კარგა ხანია ცნობილია. ირანის მოსახლეობა მზადყოფნაშია ყველას საკადრისი პასუხი გასცეს, ვინც თავდასხმას მოინდომებს.

გახსოვთ თქვენ ერატან ომი 8 წელიწადი რომ მიმდინარეობდა. მაშინ ირანმა გაუძლო ერატანს შემოტევებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს მსოფლიოს 50 ქვეყანა ეხმარებოდა.

რიგითი ირანელი სოფლის ატომური ენერჯია არის მოვარეზე გაფრენა, კოსმოსის დაპყრობა. მათ აქვთ ეროვნული სიამაყის





ნავთობპროდუქტების ბიზნესი, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე სარფიან ბიზნესად ითვლება, საქართველოში მთლიანად ხელი-სუფლების მაღალ ემულონებს აქვთ მონოპოლიზებული.

მოძრაობა „ივერიელების“ ხელმძღვანელი **ლევან კოჭლავაძე** აცხადებს, რომ დღეს საქართველოს ნავთობის ბაზარს 4 ნავთობკომპანია აკონტროლებს. ესენია: „ვისოლი“, „ლუკოილი“, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ და „გალფი“. თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი აღარ მალავს, რომ მას ამ სფეროში გარკვეული ინტერესები გააჩნია და კერძოდ, „გალფის“ ბენზინგასამართი სადგურები მას ეკუთვნის. კეზერაშვილი რატომ-ღაც არაფერს ამბობს „ლუკოილზე“, არადა, „უნი გრუპი“, რომლის სახელიც კეზერაშვილის სახელთან ასოცირდება სწორედ ამ ნავთობკომპანიის პოპულარიზაციას ეწეოდა, რაც თავის მხრივ, ბევრ რამეზე მეტყველებს. რაც შეეხება „ვისოლს“ და „სოკარ ჯორჯიას“, თუ მთარულ ხმებს დაუფერებთ – მიხეილ სააკაშვილის ოჯახის საკუთრებაა. „ვისოლში“ პრეზიდენტის ძმის დავით სააკაშვილის ინტერესები დეკს, ხოლო „სოკარ ჯორჯიას“ პრეზიდენტის დედა გიული აღასანია აკონტროლებს.

კეზერაშვილმა შეისყიდა სამი ისეთი სერიოზული კომპანია, როგორებიც იყო „ეკო“, „სენტა“ და „მაგნატი“, რომელთა ბაზაზეც ჩამოყალიბდა „გალფი“. ამ კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ლა-



მა ფასმა კიდევ უფრო მოიმატა, იგივე იტალიაში ბენზინგასამართ სადგურზე ერთი ლიტრი ბენზინი 1,5 ევრო (3 ლარზე მეტი) ღირს და რანაირად შეიძლება საქართველოში 2,27 თეთრი ლირდეს. ევროპაში ბითუმად ასაღები ფასი მინიმუმ, 2,8 ლარი მაინც იქნება. ამას ემატება ტრანსპორტირებისა და განბაჟების თანხები. ტრანსპორტირება ტანკერით უნდა მოხდეს, რადგან თურქეთთან სარკი-

სამართ სადგურზე ერთი ლიტრი ბენზინი თურმე 90 თეთრი ღირს, ასაღები საბითუმო ფასი კი 60 თეთრი ყოფილა. ამ ქვეყნიდან საწვავის ტრანსპორტირება რკინიგზით ხდება და ჩვენი წყაროს განცხადებით, ყველა ხარჯის გათვალისწინებითაც, საქართველოში ერთი ლიტრი აზერბაიჯანული საწვავი ლარნახევარზე მეტი არ უნდა ღირდეს, ხოლო თურქმენული კიდევ უფრო იაფი უნდა იყოს. მას არც იმის სჯერა, რომ „გალფი“ „სოკარისგან“ ნაყიდ საწვავს 2 თეთრის სხვაობით ყიდის. გამორიცხულია, კომპანიამ ასეთ დაბალ მოგებაზე იმუშაოს, ყველა ბენზინგასამართი სადგური სულ მცირე 10-დან 20 თეთრამდე მაინც იგებსო. სწორედ ამიტომ აქვს ნაცვლიტას საწვავის სფერო მონოპოლიზებული და კონკურენტს არ აჭაჭანებს, რადგან თავისუფალი კონკურენტის პირობებში საწვავის ფასი აუცილებლად დაიწვეს.



# ნავთობის გართული მარფია

ნიგზო მიმოსვლა საქართველოს არ აქვს (რკინიგზა კი ტრანსპორტირების ყველაზე იაფი საშუალებაა – მ.ს.), რაც საწვავის ფასს მნიშვნელოვნად ზრდის.

ჩვენი წყარო არ გამორიცხავს, რომ ევროპიდან მართლაც შემოქონდეთ მცირე პარტიებით საწვავი, რათა თურქმენეთიდან იმპორტირებულ უხარისხო საწვავში შეურიონ. საქართველოში საწვავი ძირითადად აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან შემოდის, მითუმეტეს რომ უხარისხობის გამო თურქმენული საწვავი აზერბაიჯანულთან შედარებით გაცილებით

რაც შეეხება საწვავის ხარისხს, ეს კიდევ ცალკე საუბრის თემაა. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ევროპის იმ ქვეყნებში, საიდანაც საწვავის იმპორტზე ლაპარაკობენ ქართველი „მენავერები“ მძლავრი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები ევროსტანდარტის საწვავს გამოიმუშავენ. იქ დაბალი ხარისხის საწვავის რეალიზაციის უფლებას არავენ მისცემს. აზერბაიჯანში კომუნისტების დროს აშენებული ქარხნების გადაიარაღება არ მომხდარა. ჩვენი რესპონდენტისთვის, რომელიც გარკვეული პერიოდი აზერბაიჯანში ბიზნესსაქმიანობას ეწეოდა, ერთ-ერთ იქაურ ნავთობმწარმოებელს უთქვამს, ევროსტანდარტის საწვავი რომ ვაწარმოოთ, აუცილებელია, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც ორი მილიარდი დოლარი დაგვიჯდება. რაში გვჭირდება ახლა ხარჯების გაწვევა, როცა დაბალი ხარისხის საწვავს ისედაც უპრობლემოდ ვასაღებთ კავკასიის ქვეყნებში.

აზერბაიჯანულ საწვავს ასე თუ ისე მაინც არა უშავს, თურქმენულმა საწვავმა კი თურმე თავბელი აწვევლინა მძლავრებს. რამდენიმე წლის წინ კომპანია „ვისოლმა“ პლასტიკური ბარათები გამოუშვა, რომლის მეშვეობითაც 5%-იანი ფასდაკლებით შეეძლო ვითომდა აზერბაიჯანული დიზელის საწვავის შეძენა ამ კომპანიის ბენზინგასამართ სადგურებზე. სინამდვილეში კი თურქმენულს ყიდდნენ. ეს პლასტიკური ბარათები ძირითადად ე.წ. მარშრუტის მძღოლებს შეასაღეს, ჩაასხმევინეს მიკროავტობუსებში უხარისხო საწვავი და როგორც კი ყინ-

დედაქალაქის მუნიციპალურ ავტობუსებსაც საწვავით „ვისოლი“ ამარაგებს. წესით ბითუმად მიწოდებული საწვავი, მითუმეტეს თუ ტენდერში გამარჯვებაზე გვაქვს საუბარი, ბენზინგასამართ სადგურებთან შედარებით გაცილებით იაფი უნდა ღირდეს. წყაროს ცნობით „ვისოლი“ შპს „თბილისის ავტობუსს“ ბენზინგასამართი სადგურის ფასით (ერთი ლიტრი 2,1 ლარი) აწვდის. როგორ ათვთებენ აქ ფულს და რა „ატკატები“ ხდება, სხვა საკითხია.

ცხადია, სააკაშვილის სანაქებო პატრულსაც საწვავით „ვისოლი“ ამარაგებდა, თუმცა 2-3 წლის წინ ასეთი კურიოზული ამბავი მოხდა, შსს-მ ტენდერიდან რამდენიმე თვეში „ვისოლს“ ხელშეკრულება დაურღვია და „ლუკოილში“ გაიქცა. როგორც ჩანს, ახალთახალმა „ფოლკსვაგენებმა“ და „შკოდებმა“ სააკაშვილის ძმის კომპანიის უხარისხო საწვავს ვერ გაუძლო, თურმე თითქმის ყველა საპატრულო ავტომანქანას ძრავი დაუზიანდა. წყაროს ცნობით, ახალი ავტომანქანის შეძენისას, მითუმეტეს, როცა პარტიაზე საუბარი, მწარმოებელ ფირმასთან ხელშეკრულება იდება სა-

გარანტიო პირობებით. იგივე „ფოლკსვაგენი“ ძრავაზე, სავარაუდოდ, 5-წლიან გარანტიას იძლევა, მაგრამ ამ ავტომანქანამ იმ სტანდარტის ბენზინი და ზეთი უნდა მოიხმაროს, რაც პასპორტშია მითითებული. რამდენი კილომეტრის გარბენის შემდეგ უნდა შეიცვალოს ზეთი და ა.შ. ეს ავტომანქანები კი, როგორც აღვნიშნეთ, რამდენიმე თვეში მწყობრიდან გამოვიდა. მერაბიშვილის უწყებას, ცხადია, დამნაშავეს ძებნა დაუწყია და მისდგომიან ავტომწარმოებელ ფირმას, თუმცა მათგან მოკლე პასუხი მიიღეს, თქვენი საწვავი არ ვარგა და ჩვენთან რა პრეტენზია გაქვთო. იმ პერიოდში თურმე მართლაც შემოდიოდა იტალიური „აპის“ საწვავი, მაგრამ საპატრულო ავტომანქანებისთვის ეს საწვავი რომ ჩაესხათ, ძვირი დაუჯდებათ, მაშინ თვითონ როგორღა „მოტეხავდნენ“ ფულს? ხელისუფლებამ, როგორც ყოველთვის, არც ეს ამბავი გაახმაურა. იოლი გამოსავალიც მოინახა, პატრული „ლუკოილის“ კლიენტს გახდა და ამით დამთავრდა ყველაფერი. არადა, „ვისოლი“ ტენდერის პირობების დარღვევის გამო სოლიდური თანხებით უნდა დაეჯარიმებინათ, მაგრამ პრეზიდენტად წოდებული მიხეილ სააკაშვილი საკუთარ ძმასა და ფავორიტებს ხომ არ დასჯიდა?!

ისე, ნაცხელისუფლებას ენა აქვს გადატყვევებული იმაზე ლაპარაკით, როგორ ზრუნავენ ადგილობრივი წარმოების ალორმინებაზე და ეკონომიკის განვითარებაზე. თუ მართლაც ასეა, მაშინ რატომ არის წლების განმავლო-



მა თევზაძე, რომელიც კეზერაშვილის უახლოესი სამეგობრო წრიდან არის, ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს, რომ მათ საწვავის და შესაბამისად, ფასების ფართო ასორტიმენტი აქვთ, 2,07 ლარიდან 2,27 ლარამდე. საწვავი ევროპიდან, საბერძნეთიდან, ბულგარეთიდან და იტალიიდან შემოგვაქვს და აზერბაიჯანული „სოკარისგანაც“ ვყიდულობთ. აზერბაიჯანული საწვავი „სოკარის“ ბენზინგასამართ სადგურზე 2,05 ლარი ღირს, ჩვენ კი 2,07 ლარად ვყიდით, თუმცა ბატონ თევზაძეს არ დაუკონკრეტებია ამ საწვავის იმპორტს ეწვეიან თუ საქართველოში ყიდულობენ.



იაფი ჯდება. წყაროს არც იმაში ეპარება ეჭვი, რომ თურქმენეთიდან თავად აზერბაიჯანი ახდენს საწვავის იმპორტს და ჩვენზე, როგორც აზერბაიჯანულს, ისე ასაღებს. აზერბაიჯანში ბენზინგა-

ჩვენ ამ ინფორმაციების გადამოწმება სხვა წყაროებთანაც ვცადეთ. როგორც „საერთო გაზეთს“ კარგად ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, ამ მონოპოლისტი ნავთობკომპანიების წარმომადგენლები უსინდისოდ სტყუიან და არავითარი ევროპული საწვავი საქართველოში არ შემოდის. ევროპაში საწვავი ისედაც ძვირი ღირდა, ფინანსური კრიზისისა და ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში არსებული არეულობის შემდეგ მის-

ბაში გაჩერებული ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, გიგანტური საწარმო, რომელიც კომუნისტების პერიოდში მიიღეს დატვირთვით მუშაობდა?! საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენიდან გატარებული ტვირთების წილი ეკუთვნის. ნავთობი ადგილზე რომ გადამამუშავებოდეს, მოსახლეობაც დასაქმდებოდა და გარკვეული რაოდენობის შედარებით იაფფასიანი საწვავიც გარანტირებული გვექნებოდა, მაგრამ ეს ხელისუფლება ასეთ ნაბიჯზე შეგნებულად არ მიდის.

**მანანა სუსნიშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში [www.saertogazeti.net](http://www.saertogazeti.net) შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე **საერთო გაზეთი**

„საერთო გაზეთის“ სტუმარია პარტია „თეთრების“ ლიდერი თამარ შაშიაშვილი:

– 2012 წლისთვის ახალ რეალობად ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა შეიძლება ჩაითვალოს, რა შეცვალა ამ ფაქტორმა ოპოზიციურ სპექტრში ან თუნდაც დანარჩენ საზოგადოებაში?

– ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში გამოჩენით ვაჟკაცური ნაბიჯი გადადგა და როგორც ახრიც არ უნდა გქონდეს, რა პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდ...თუ ოდნავ სინდისი არსებობს შენში, მაშინ ივანიშვილის ამ ნაბიჯს დაარქმევ მხოლოდ ვაჟკაცურ ნაბიჯს და დიდ ქართულ ნაბიჯს. ამ გადაწყვეტილებამ ბიძინა ივანიშვილს საკუთრივ, მხოლოდ ტანჯვა-წამება მოუტანა, ხოლო საქართველოს პოლიტიკური პროცესის არნახულად გამოცოცხლება. იმედი დააბრუნა ქვეყანაში.

ისიც აღსანიშნავია, რომ ხელისუფლება გაასმაგებული და გაათამაგებული სივრცეში უტევს. მოგეხსენებათ, ხშირად მიწვევს იმერეთში ყოფნა და იქ ნანახმა მოლოდინს კიდევ უფრო გადააჭარბა. იმდენად ჰყავს ხალხი ვაკუუმში ხელისუფლებას, რომ შეგეცოცხლება ქართველობა. ძალიან მძიმეა ჩემთვის, რასაც ვამბობ, მაგრამ ღუმელიც არ არის გამოსავალი. იმერეთში (და ასევე სხვა რეგიონებშიც) ბევრს შეხვდები ისეთს, ვისაც წარმოდგენა არა აქვს ბიძინა ივანიშვილზე, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ჯერ კიდევ თვლიან, რუსეთი დავამარცხეთ ომშიო, არ იციან 26 მაისს რა მოხდა და როგორ? ასეთი დაბეჭავებული და დამონებული ჰყავს ხალხი იქაურ მედიას, ჩინოვნიკებს, გუბერნატორს.

რაიონებში ხალხი გახეთს ვეღარ ყიდულობს. მაღაზიებში შეჭქონდათ ადრე, ახლა აკრძალულია. ქუთაისშიც კი ჭირს გაზეთის შოვნა, აღარ არის საუბარი სამეგრელოს რაიონებზე, სადაც შეიძლება საერთოდ ვერ ნახოთ ოპოზიციური გაზეთი.

სრულიად ჩაკლეს ოპოზიციური განწყობები რეგიონებში. ახლახან გურიაში თავისუფალი დემოკრატიის წევრი რომ დაიჭირეს, სხვა არაფერი იყო, თუ არა ე.წ. საჩვენებელი დაჭერა. ვინც გაბედავთ და ოპოზიციურ მუხტს შემოიტანთ რეგიონში-ნარკოტიკები აღმოგაჩნდებათ სამხარეულოში, ან საქათმეში, ან სხვინე... ან თოფი აღმოგაჩნდებათ სადმე გადაძალულებით. ეს ხომ ქვეყანა არ არის?

**შპპითხვას ვუბრუნდება, ბიძინა ივანიშვილის სახით დიდი გამოვლინება ხდება თქვენთვის ირავალი მყოფ და არაამყოფ პოლიტიკურ ჯგუფებს: ნუ ბინდათ, ბიძინა ივანიშვილი აქციით იმპარად, რომორავიცი თხვად ხართ. ნუ-**

**ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ვაჟკაცობა, თუნდაც ჩამონათვალს საკუთარი თამიდან დაიწყება.**

ტონი შეარჩინო საუბრის. ბერძენიშვილმა რომ თქვა: ჩვენ კრისტალები ავგარჩია...ესე იგი, სხვა დანარჩენი ბინტურები ვართო, რა



# ვინ იყნება mesame Zal a?

გამოთქმა ეს? რა კულტურაა ამის განცხადება? იქნებ... პირიქით ხომ არ არის? ჩემთვის საოცრად საინტერესო პიროვნება იყო და დღემდე ასეთად რჩება, მაგრამ ბატონი სესიაშვილი ამბობს: ახლა ჩვენ შევქმნით ძლიერ პოლიტიკურ ძალას, ხოლო დანარჩენები, ვინც შუაში იქნებიან, გაიკრიფებიან, მოკვდებიან... რა განცხადებაა და რას ნიშნავს ეს?

ასევე მინდა ვურჩიო ბატონ ბიძინას: ნუ გახდება ჩვეულებრივი, რიგითი პოლიტიკოსი. უფრო სწორად, საერთოდ, უარი თქვით პოლიტიკოსობაზე და დარჩით სახელმწიფო მოღვაწედ. რადგან სახელმწიფო მოღვაწე ფიქრობს ქვეყანაზე და მის მომავალზე, ხოლო პოლიტიკოსი ფიქრობს არჩევნებზე. სააკაშვილი ვერ გასცდა პოლიტიკოსის ამპლუას და ამიტომაც, იგი მუდმივად ფიქრობს არჩევნებზე. სახელმწიფო მოღვაწე თავისთავად ნიშნავს პოლიტიკოსობას, მაგრამ ასევე მოიცავს ქვეყანაზე, მის მომავალზე ფიქრს.

დღეს საქართველოში ქართველების სისხლი შრება და ამას აკეთებს ხელისუფლება, კონცენტრებით, ზარ-ზეიმით... ვითომ, ავგავდა-აშენდა საქართველო და დაიქცა მთელი მსოფლიო.

ამ გაჭირვებულ ქვეყანაში ჩინოვნიკმა გოროზიამ მარტო მილიონ 900 ათასი დოლარი მარტო მანქანები იყიდა. შეიძლება იქ, სადაც მასწავლებლებს 100 ლარი აქვს ხელფასი, ასეთი ფუფუნების უფლებას აძლევდნენ თავს ზოგიერთები? მეორე მხრივ, ამ ხელი-სუფლებამ იყიდა თანამდებობაზე

მყოფი პირები და ამგვარად გააფრთხილა კიდევ: აქედან გასაღები თუ გახდება, მათხოვრად იქცევი, ამიტომ მონა იყავი და ამ მონობისათვის ფულს გიხდით.

**– ბატონო თემურ, ოპოზიციის ფინანსების გაკონტროლებით რას ესწრაფვის ხელისუფლება და მეორე მხრივ, რა სურს ივანიშვილის კოალიციას?**

– ბიუჯეტში შესული ყოველი ლარი ასრულებს 20 თეთრის საქმეს, ხოლო 80 თეთრი ან კორუფციულია, ან ფიარს ხმარდება, ანუ პრეზიდენტს და მისი ხელისუფლების შენარჩუნებას. ჩვენ ამ პროცესების წინააღმდეგ რომ ვერაფერს ვაკეთებთ, ეს არის საშინელება. მასალები გვაქვს, თუმცა ბრძოლაში ვერ ჩავრთულვართ. ხელისუფლებამ დაიწყო ოპოზიციის კაპიების დათვლა, ხოლო პრეზიდენტი და მისი დამქაშები ხალხის ფულს როგორ უგვანად ხარჯავენ, ამაზე ხმა ვერ ამოვიღებთ. რამდენი გოგონას ცოლვა

არის. ბერძენიშვილმა თქვა, ხელისუფლება და ჩვენ გავინაწილებთ არჩევნებში მიღებულ, როგორც მინიმუმ, 80 %-ო. მოგებული გამოდის ამერიკა. მას აწყობს საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება სააკაშვილისგან განსხვავებით, მხოლოდ მიესალმება სამართლიან არჩევნებს. ოპოზიციას და პოზიციაც ხომ მისია, ანუ რეჟიმი არ იცვლება.

საქართველოში დღეს არჩენაზე არ ჩანს სუფთა ქართული ძალა. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“ ივანიშვილი ნამდვილად ქართული ფიგურაა. თუმცა ისიც ცოცხალია ამ ვითარებაში. ქართული ძალა შესაქმნელი და ამერიკული ძალების გაერთიანება არ გავლავთ არჩევნები.

**– ესე იგი, ალტერნატიულ მმართველებაზე ფიქრობთ და საამისოდ რა პროცესები მიმდინარეობს?**

– გეტყვით, გეტყვით... გაკეთდა მიმართვა, რომ ამ საარჩევნო პირობებში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება არ შეიძლება. „თეთ-

**სურვილი არსებობს, რატომაც არა, დავდგებით ქუჩაში მათთან ერთად. ქუჩა ამართავს და ქუჩა სიყვარულს აძლევს. საბავაშვილს ხალხის ქუჩაში უნდა გამოდეს და ნუ აწყენარებენ, ნუ უშინებენ, რომ არაპირი ქუჩაში არ გამოვა, რადგან ჩვენ არ გამოვლი-ვართო. ვინ გამოიხვამთ თქვენ?**

არავის კონკრეტულად არ ვგულისხმობ. არც თვით „რესპუბლიკელებს“, მაგრამ გეტყვით ერთს: სადაც ისინი პოლიტიკალისში არიან, იქ ჩვენ არ დავდგებით. მაგრამ ვამბობ ერთ რამეს გამოკვეთილად: არასდროს „რესპუბლიკელებს“ ისეთი პოზიტიური სახელმწიფო როლი არ შეუსრულებენ და მთლიან, დღეს თავი დავანებოთ ერთმანეთის კრიტიკას. თუმცა ასევე ვეუბნები: დღეს ბევრი საკითხია გადასახელი და ნუ ჰკონიათ საკუთარი თავი გენიოსები, ხოლო სხვა არაფრის მცოდნე და არაფრის შემძლე.

**– ისიც ფაქტია, დღესათვის არჩევნების თემას რეალური ალტერნატივა არ უჩანს. ამბობენ არჩევნები ორპოლუსიანი იქნებაო, თუმცა შეუძლებელია ერთგვარი ლოგიკის საფუძველზე მესამე სექტორის არსებობაც გამოვრიცხოთ, მით უფრო დარჩენილი ოპოზიციური სპექტრი, ვინც ივანიშვილთან არ მოიაზრება, იქ უნდა ვივყოლოთ და ეს მესამე ძალა რამდენად კოორდინირებულად იმოქმედებს?**

– ვიბრძვი იმისათვის, რომ საქართველოში რაღაც მესამე ძალა კი არა, ქართული ძალა არსებობდეს. სხვათა შორის, სულაც არ არის საჭირო პოლიტიკური ძალა იყოს ეპიცენტრში. არიან ძალიან საინტერესო პიროვნებები, ისეთივე

დაილო და რამდენი ტრადიციული ოჯახი გააცამტვერა, რამდენის ავტორიტეტი დასცა, ეს ხომ ცალკე თემაა. მხედება კაცი და თვალბში ვერ შემოუხედავს, რადგან იცის ოჯახი სააკაშვილის ერთერთი სკანდალის მსხვერპლად ექცა. ასეთი გარყვნილება, ასეთი უხამსობა? გაგიყვები კაცი, რომ მოუსმინო, რას ვეება ხალხი ამ ე.წ. პრეზიდენტზე.

**– ბატონო თემურ, რამდენად შეცვლის ამ ვითარებას არჩევნები**

რების“ და სახალხო კრების პოზიციას იზიარებს კახა კუკავაც. ასე რომ, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროა დიდი დათათბირება. ხოლო ვინც ამაზე უარს ამბობს, ან ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე, ან შეთანხმებულია ამ ხელისუფლებასთან და უკვე პარლამენტში აქვს ადგილები დაჯავშნული და მესამე- აწყობს გაყალბება, რადგან რაღაც მოგებას ნახულობს.

ამერიკული ღირებულება არჩე-



**და პირადად, თქვენ როგორ უყურებთ ხელისუფლების კონსტიტუციური გზით შეცვლას?**

– საქართველო დღეს გაყოფილია. ეკონომიურად იგი რუსეთისაა, რადგან ევლეაფერს რუსები დაეპატრონენ. პოლიტიკურად საქართველო არის ამერიკის. აი, ამ ვითარებაშია ქართველი ხალხი და მე ამაზე მწელება გული. დღეს ორივე ზესახელმწიფოს აწყობს სააკაშვილი, მაგრამ ქართველი ხალხი არც ერთ მათგანს არ აინტერესებს.

აი, ნახეთ ამერიკამ როგორ დააკომპლექტა: ხელისუფლებაში რაც კი პოლიტიკური ძალებია: ნაცმოძრაობა, ქრისტიან-დემოკრატები... ოპოზიციამ: რესპუბლიკელები, ძალიან ღირსეულად იქცევა ალასანია, როცა ცალმხრივ პოზიციას ემიჯნება და მხოლოდ ამერიკულ ვექტორზე არ არის ადგენული. ანუ გამოვიდა, რომ ხუთი პარტიაა ე.წ. დომინანტი. სხვა დანარჩენზე დღეს საუბარიც არ

ნები კი არ არის, არამედ ამერიკული ღირებულებით იმართება ეს ხელისუფლება. ხოლო ქართველ ხალხს უნდა ჰქონდეს ნებელობა და სააკაშვილის რეჟიმისგან გათავისუფლება შეძლოს. ასეთი განწყობა „თეთრებში“, სახალხო კრებაში, ბურჯანაძის პარტიაში თავიდან ბოლომდე.

ზიზღი და გაუტანლობა უნდა დასრულდეს ქვეყანაში, ხოლო რეალობა, თუ არ შეიცვალა, მხოლოდ ივანიშვილის ფაქტორი ვერაფერს შეცვლის.

**არ უნდა გავიხადოთ დოგმად, რომ ქუჩაში არ გამოვალთ... ჩვენ ქუჩაში გამოვალთ, მხოლოდ ქუჩაში გამოვალთ სიყვარული და არა ზიზღით და აზრისივით, რომორც ამ ხალხისუფლებას სჩვევია. ხალხით განიცხადებული უნდა დამთავრდეს და მოვუსმინოთ, თუ გამოვლი-**

ტების, როგორც ბატონი ივანიშვილი და ფიქრი იმაზე, რომ ამ პიროვნებებმა რაღაც ნაბიჯი გადადგან იქნება ძალიან პროდუქტიული. მთლიან, ახლა ნუ დავაკონკრეტებთ, მაგრამ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ ბევრია ასეთი.

„ქართული ძალა“ უნდა შექმნას. ამაზე ვარ ორინტირებული მთელი პარტიული რესურსით. ძალიან საინტერესო მოლაპარაკებები და მოთათბირება მიდის. ეს ძალა არ იქნება ივანიშვილის წინააღმდეგი, თუმცა მის პოლიტიკალისში ვერ იხილავთ. ოღონდ, მას ძალიან კეთილი განწყობა ექნება, თუ ვინმემ ამ მოცემულობაში იცის ივანიშვილის ფასი ჩვენი ქვეყნისათვის, ერთ-ერთი მე ვარ. ხოლო „ქართული ძალა“ თუ შეიქმნება, ის იქნება ივანიშვილის, როგორც პიროვნების, როგორც სულით ზორცამდე ქართველის მხარდაჭერი, გვერდში მდგომი და არა მისი მოწინააღმდეგე.

ნათია ნოდია

ინტერნეტ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში  
[www.saertogazeti.net](http://www.saertogazeti.net)  
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე  
**საერთო გაზეთი**

# მიხეილ სააკაშვილი გიგი უგულავას ვინაა მდგომარეობა მათი უფლებები?

ახალი წელი ხელისუფლებამ ახალი, მაგრამ კარგად ნაცნობი წინასწარჩენილი „შტუკები“ დაიწყო. ზედაპირულ ეკონომიკაში ბევრი რამ საინტერესო მოხდა და ფაქტებმა პირდაპირ მიგვანიშნა, თუ რა პოლიტიკურ ცვლილებებს უნდა ველოდით უახლოეს მომავალში. ეს ცვლილებები პირველ რიგში თვითონ სახელისუფლებო გუნდს შეეხება. მალე ვნახავთ, რომ მოსაზრება უძლეველი და მონოლითური პარტიული მმართველი გუნდის შესახებ ისეთივე ზღაპარია, როგორც ლახიკის მშენებლობა, რომელიც თურმე სოჭის ოლიმპიადას გაუწევს კონკურენციას (ისე, ეს ზღაპარზე მეტია, ანუ ბოლომდე სფეროს განეკუთვნება).

### ვაი, უგულავა, შენი ბრალი!

საქმე თბილისის არჩეულ მერს, გიგი უგულავას ეხება. მისადმი მთლად უფროსის განწყობები რომ მთლად გულიანი ვერ არის, ბოლო დროს ბევრი რამიდან ჩანს. ყველაზე თვალშისაცემი ამბავი კი ძველით ახალწელს ქრისტიან-დემოკრატებმა, საახალწლო გოზინაყივით, ლანგრით მიართვეს იმას, ვისაც ეს სკანდალი ძალიან სჭირდებოდა. საკრებულოს „ოპოზიციონერმა“ დეპუტატმა ვაბა სამუშიამ პრესკონფერენციაზე საზოგადოებას ამცნო, რომ სამარშუტო მიკროავტობუსების ტენდერში გამარჯვებული ოთხი კომპანია, რომელთაც ერთი პატრონი ჰყავთ, უხეშად არღვევს სატენდერო პირობებს. მისი თქმით, კონტრაქტის დარღვევის გამო კომპანიებს, ვარიანის სახით მილიონ 300 ათასი დოლარის გადახდა მოუწევთ.

ისე ავიხედეთ ყველაფერი კარგი, როგორც სამუშიას ვარაუდები ახდა. თითქოს მანამდე ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს დარღვეული არაფერი ჰქონდათ, მერია გამოვიდა და საკრებულოს წევრს მთელი გულით დაეთანხმა. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის აკაკი ჯოხაძის განცხადებით, კომპანიებს თბილისში სამარშუტო ხაზებზე 15 იანვრამდე 3068 ახალი მიკროავტობუსი უნდა შემოეყვანათ. ნებართვის მფლობელ ყველა კომპანიას მილიონად შემოყვანილი ჰყავს 1200 მიკროავტობუსი, ხოლო ყოველდღიურად ხაზზე მუშაობის მხოლოდ 677 (იმობილურ არის ყველა ავტობუსი გატენილ-გამძვრილი და ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ რჩება).

რაკი პირობა ვერ შეასრულეს, კომპანიებს ვარიანა დაეკისრათ და დამატებითი დრო მიეცათ კონტრაქტის ბოლომდე შესრულებისთვის. რა სიზუსტეა, რა კანონმდებლობა! კომპანიებმა პირობის შესრულებას ერთი დღით გადააცილეს და მერიაც მაშინვე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ვარიანა ზუსტად იმდენი გამოვიდა, რაც სამუშიამ ბრძანა, მილიონ 300 ათასი დოლარი. მანამდე რომ ნახევარ საკრებულოს ხმა ჰქონდა წართმეული ტენდერის შედეგების გაბრუნებისთვის, ის რატომ ვერ გაიგო უგულავას ვგუფმა, გაუგებარიაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ცოტა უხერხული ნამდვილად არის. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ ხელისუფლებისთვის უხერხული არაფერია, რაც მათ ინტერესებს ხელს არ უშლის, მაშინ სათქმელიც აღარაფერი ყოფილა და უმჯობესია, მთავარ თემაზე გადავიდეთ.

უცნაურია, სამუშიას ერთი პრესკონფერენციის გამო რატომ დააჯარიმა მერიამ საკუთარი ფაქტობრივი კომპანიები, რომელთა პატრონაჟს ყოველთვის დიად ეწე-

ოდა? საქმეში ჩახედულ ხალხს ამ ინციდენტის ორი ახსნა აქვს. ერთი აცხადებენ, რომ ტენდერში გამარჯვებულმა ხელისუფლების ფავორიტმა შარანგიებმა თვალის მიწოდება უგულავას შეუმჩნეველი არ დარჩენია. მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ უგულავაზე „აჭრილმა“ სააკაშვილმა შარანგიებს უბრძანა, ხელი დაეხმათ არჩეული მერის ფინანსურ უზრუნველყოფაზე. პოლა, მერმაც იმით უნახუნა, რის შესაძლებლობასაც კანონი აძლევ-

სულად კი, „ჩვენი ხმა გიგი უგულავას“ 2010 წლის თებერვალში შეიქმნა. დამფუძნებელი იყო შოუმენი კოტე თოლორაია, რომელიც ირწმუნება, რომ მერიას ჩვენს პროექტებზე არც ერთი თეთრი არ გადაუხდია და მეგობარი კომპანიები გვეხმარებოდნენო. „თბილისის მერია მსგავს რამეს არ აფინანსებს და არც ამ ორგანიზაციის შესახებ მსმენია რამე. ახლა პირველად მესმის“, – ირწმუნება თავის მხრივ, გიგი უგულავა. ცნობილია, რომ მოძრაობა არჩევნების წინ

უგულავა კი არა, დემოკრატია რომ დაეყენებინათ მისთვის გვერდით, საზოგადოებისთვის მაინც მიუღებელი დარჩებოდა. ეს აგრესია ობიექტურად, და არა ჩვენ დასაბოლოებულ, სოციოლოგიურ კვლევებში კარგად ჩანდა და ცნობილი იყო ამერიკული ისტებლიშმენტისთვის. მეორეც, სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებს, და აკეთებს კიდევ, საიმისოდ, რომ მის გარეშე ნაციონალურში ქვა ქვაზე აღარ დარჩეს. არც ერთ ყოფილ თანადგუნელს არ მისცემს იმის შესაძ-

არა, უზომოდ არათავისუფალი სტატუსიც არ გვაწყენდა. მკითხველს შევახსენებთ „საერთო გაზეთის“ ერთ-ერთ სტატიას, სადაც საუბარი იყო ქართულ ტენდერებზე, ანუ როგორ იბრუნებს ხელისუფლება უკან ტენდერებისთვის გამოყოფილ თანხებს. ჩვენს ვარაუდს ეთანხმება ერთ-ერთი ბიზნესმენი, რომელიც ბუნებრივია, გვარსა და სახელს არ ასახელებს. მისი თქმით, სახელმწიფო ტენდერები კომპანიების სასაკლავოდ იქცა: „ძირითადად, ორი სცენარით ვითარდება მოვლენები: სახელმწიფო აცხადებს ტენდერს გარკვეული სამუშაოს შესრულებაზე, ვლინდება გამარჯვებული კომპანია, რომელიც იწყებს სამუშაოების შესრულებას და წარმატებით ასრულებს. შემდეგ კომპანიაში შედიან მაკონტროლებლები, პოლიციის ბატალიონები და მათი დარღვევა, კომპანიას არიცხვენ ვარიანს და ფაქტობრივად უკან იბრუნებენ გადახდილ თანხას. მეორე სცენარით, კომპანიას უგვიანებენ კუთვნილი თანხების გადახდას, სამუშაოს მაინც ამთავრებინებენ, შემდეგ ისევ მაკონტროლებლების საშუალებით კომპანია „აღიარებს“, რომ უხარისხოდ შეასრულა სამუშაოები და თავად ამბობს უარს თანხების მიღებაზე.“

როგორც ჩანს, ეს ამბავი საერთაშორისო რეიტინგის კომპანიებმა არ იცოდნენ, თორემ თავისუფლების რეიტინგს ახლოსაც არ გაგვაკარებდნენ. სამაგიეროდ, ამ ჩამოქვეითებით გაოცებული და აღშფოთებულია ბიზნესმენების გიორგი პერტაია. – ეს კვლევა არაადეკვატურად მერყენება, რადგან 2011 წელს გაცილებით უკეთესი სიტუაცია იყო, ვიდრე წინა წელს. ამ კვლევის მეთოდოლოგია არ ვიცი, მაგრამ მათ ვებგვერდზე ასეთი ფაქტია აღნიშნული, რომ საქართველოში გაცილებით გაუარესებულია მდგომარეობა კორუფციის კუთხით. მე, როგორც საქართველოს მეთაურს, ამას ვერ ვხედავ და არ ვეთანხმები. შესაბამისად, ძალიან მწელობა იმაზე საუბარი, რატომ გადაინაცვლეთ რეიტინგში 29-დან 34-ე ადგილზე. მე ვფიქრობ, საქართველოს მთავრობა ამ კვლევის ავტორებთან აქტიურ თანამშრომლობას დაიწყებს, რათა როგორც მინიმუმ, დაანახოს ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობა. – აცხადებს პერტაია. ამას ჰქვია, ომბუდსმენს რამსები აერია და თვალის დაეკისრო. რას ვერ ხედავს ეს კაცი, ნახევარი საქართველოს ქონება რომ სახლში წაიღო ხუთმა კაცმა?! რას ნიშნავს კვლევის ავტორებთან ხელისუფლების თანამშრომლობა, ქართულმა საზოგადოებამ ესეც კარგად იცის. ერთ-ერთ ტყბილ მილიონს გადაუგდებენ და დამთავრდა, დაბალი, ანუ მაღალი ადგილიც გარანტირებული გვაქვს. სამაგიეროდ, ქართულ ტელევიზიებს მიეცემთ თემა და ილაპარაკებენ წარმატებულ ეკონომიკაზე. რა ეშველება ტენდერებს ქართულად, ანუ ქართულ ბიზნესს, ეს აღარც არის საინტერესო, რადგან ბიზნესმა კარგა ხანია ჩაილურის წყალი დალია და ამ ხელისუფლების ჯიბის შემავსებლად იქცა. ალბათ, აღარც ჩვენ დაინტერესდებოდით, რომ არა უგულავასა და შარანგიების პოლიტიკური ამბავი.

### მანანა გვიძი



და. აქვე ჩვენი წყარო იმასაც ამბობს, რომ ქრისტიან-დემოკრატები არ ელოდებოდნენ მერიისაგან გადაჭრული ზომების მიღებას და სამუშიას პრესკონფერენცია მხოლოდ უგულავა-შარანგიების დაპირისპირების პროვოცირებას ემასახურებოდა.

ალბათ, სიმართლე მაინც მეორე ვარაუდისკენ იხრება, რადგან გუშინ კიდევ ერთი ყურადსაღები ამბავი მოხდა, რომელიც ისევ უგულავას სახელს უკავშირდება.

### რა დასკვნას დავდებთ კონტროლის პალატაზე?

კონტროლის პალატის ახლადგამოცხვარმა პარტიების რისხვამ, ანუ მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელმა ნათია მოგელაძემ განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ შემდეგ, უწყება 2010 წელს, თბილისის მერის არჩევნების წინ შექმნილი მოძრაობის ფინანსურ მონიტორინგს აპირებს. „ჩვენ ვხვდებით სოციალური ქსელების მეშვეობით გავრცელებულ ინფორმაციას და მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შევამოწმოთ მოძრაობის – ჩვენნი ხმა გიგი უგულავას“ ფინანსური საქმიანობა და საჯარო გავხადოთ ყველა დაინტერესებული პირისთვის“, – აცხადებს ქალბატონი მოგელაძე. აი, დემოკრატიის კიდევ ერთი ნიმუში! სოციალური ქსელში რომ ვილაღამ რაღაცა დაიწყო, ისიც არ დარჩენილა რეაგირების გარეშე! უფრო სერიო-

ზად კონცერტებს, სპორტულ შეჯიბრებებს. დაამზადეს მისი ურეკი წარწერით: „მე მიყვარს გიგი“, ჯგუფმა „სეიშენმა“ უგულავას მხარდამჭერი ჰიმნიც ჩაწერა.

უგულავას ზღაპრებს ვინ დაიჯერებს და ვინ – არა, ნაკლებად საინტერესოა. მთავარია ის სურათი, რომელიც ამ ეტაპზე პოლიტიკურ სივრცეში გამოიკვეთა: ბიძინა ივანიშვილთან პარალელურ რეჟიმში, სააკაშვილი ღია შეტევას იწყებს გიგი უგულავას პერსონაზე. თუ „ქართულ ოცნებაში“ ხელჩახაჭიდი კონტროლის პალატამ ვერაფერი ნახა, უგულავას საარჩევნო კამპანიაში დარღვევები გარედანაც ჩანდა, რადგან ყველაფერი უკანონო და ბიუჯეტიდან გადაქაჩული ფულით კეთდებოდა. თუ მონიტორინგს, იმდენს ნახვენ, რომ ათ პარტიას ეყოფა დასასამარებლად. ვნახოთ, რა დასკვნებს დადებს ქალბატონი ნათია მოგელაძე. მანამდე კი ისევ ჩვენი წყაროს ვარაუდებს შემოვთავაზებთ. ივანიშვილის გამოჩენამდე, ამერიკელებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ სააკაშვილს უგულავა-ბოკერიას ტანდემით ჩაანაცვლებდნენ და „ახალი ხელისუფლება“ მათთვის მისაღები, ზომიერი ნაციონალურად დაკომპლექტდებოდა. ამ პროექტს ორმა ფაქტმა შეუშალა ხელი. ჯერ ერთი, საზოგადოებამ ვერაფერი ვერ მიიღო და ვერ ვაითავისა ბოკერიას ირონიულ-დამცინავი პერსონა.

ლებლობას, რომ პრეზიდენტი გვერდით ჩააჩოჩოს და თვითონ დაიკაოს მისი ადგილი.

როგორც ამბობენ, ამერიკული მხარე, ბოკერიას პირით, არაერთ რჩევას და რეკომენდაციას აძლევს პარტიულ სააკაშვილს, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი. საქართველოს პრეზიდენტი აშკარა თვითზოლაციის გზას ადგას, რომელიც ყოველთვის ჩიხით მთავრდება. მთავარია, რამდენად საშიში და ბნელი იქნება ეს ჩიხი საზოგადოებისა და ქვეყნისათვის. ჩვენი წყარო იმასაც ვარაუდობს, რომ უგულავას პერსონის ჩადირვა მხოლოდ ახლა იწყება და მალე უფრო მკვეთრი ნაბიჯების მოწმენი გავხვდებით. კარგია, როცა ორი ნაციონალი ძიძგილაობს, რადგან ასეთ დროს, მესამე მხარე, ანუ ოპოზიცია მოგებული რჩება. მთავარია, რამდენად მასშტაბური და სერიოზული იქნება უგულავას ჩადირვის პროცედურა.

### ჩამოგვალაპროანტანს

ახალი წლის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში საქართველო 29-ე ადგილიდან 34-ზე ჩამოქვეითდა და ზომიერად თავისუფალი ქვეყნების კატეგორიაში მოხდა. საერთაშორისო კომპანიები ქართულ საზოგადოებას თუ ჰკითხავენ არსებული სიტუაციის ამბავს, ვაივებენ, რომ ზომიერად თავისუფალი ქვეყნების კატეგორია

გვესაუბრება „ქართული ოცნების“ რეგიონალური პოლიტიკისა და ეროვნული უმცირესობების მიმართულების ხელმძღვანელი მამუკა არაშვიძე:

— ბატონო მამუკა, ბოლო დროს გაჩნდა უკმაყოფილება, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობაში ქართველი ხალხი აქტიურ მონაწილეობას ვერ იღებს. რას იტყვით ამის შესახებ?

— ამას აქვს თავისი დეკლარირებული მიზნები და ამოცანები. რასაკვირველია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია შექმნილია ისეთი ადამიანების კონსოლიდაციისთვის, რომლებიც დღევანდელი ხელისუფლების ქმედებებით უკმაყოფილონი არიან. ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ადამიანების დიდი წრე არამხოლოდ უკმაყოფილოა, არამედ სამართლიანობის აღდგენას ითხოვს. ისინი იმ დამლუპველი ეკონომიკური თუ სოციალური პოლიტიკის შეცვლასაც ითხოვენ, რასაც ქვეყანა განადგურებისკენ მიჰყავს. დღევანდელი გადმოსახედიდან, ქვეყანაში უამრავი პრობლემაა.



# ocnebas erTi saocari Tvi seba aqvs is maradiulia!

ფექტურად ვმოქმედებთ, სინამდვილეში ძალიან მძიმე და სერიოზული საორგანიზაციო საშუალო მიმდინარეობს. ნუ დაგვაიწყვდება, რომ ხელისუფლება ძალადონეს არ იშურებს, რათა ამ ორგანიზაციამ ვერ იფუნქციონიროს. ამის ნათელი მაგალითებია: ისეთი კანონების მიღება, რაც ფინანსურ დანახარჯებში გზულავს, რაც აფერხებს ორგანიზაციულ საქმიანობას, ოფიციალური მუშაობის მხრიდან სამხედრო ზეწოლა ხორციელდება. ანუ ყოველ ნაბიჯზე წინააღმდეგობები ჩნდება, რომლის გადალახვაც საორგანიზაციო საშუალების პარალელურად გვიწევს. რაც შეეხება საზოგადოებასთან უშუალო მუშაობას — რა თქმა უნდა გვინდა ეს 60 ათასი ადამიანი საშუალო პროცესში ჩართული იყოს, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ეს პროცესი სრულად ვერ ხერხდება. ეს მიზეზები შეიძლება ჩვენშიცაა, მაგრამ, ძირითადად ხელისუფლების მიერაა შექმნილი.

— როგორც საუბრიდან ჩანს, არსებობს ხელისუფლების ფაქტორები, რაც საშუალო პროცესებს აფერხებს. არაფერია აქვს ილუზია, რომ ხელისუფლება მოწყალე გახდება და „ქართული ოცნებას“ პრობლემებს აარიდებს. ამ ფონზე რამდენად შესაძლებელია ოცნების სწორად შენება. ოცნება ნორმალურად დაგეგმვა — ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვით, მაგრამ რამდენად არის საფრთხე, რომ ოცნება საერთოდ ვერ დაიბადოს?

— იცით რაშია საქმე? — ოცნებას ერთი საოცარი თვისება აქვს, ის მარადიულია. შეიძლება რაღაც მომენტში იმედი გაგიცრუვდეთ, მაგრამ გულის კუნჭულში მაინც იფიქროთ, რომ ოდესღაც ოცნება მაინც ასრულდება. შეიძლება ეს იმ ფორმით არ მოხდეს, როგორც გეწადათ, მაგრამ მაინც მოხდება. ქართული საზოგადოების საპროტესტოდ განწყობილ ნაწილს, რომელიც მხარს ვეჭერს, შეიძლება ოცნება ერთი აქტი — უკეთეს ქვეყანაში იცხოვროს, მაგრამ აქამდე

მისასვლელი გზები ყველას სხვადასხვანაირად ესახება. ამდენად, ყველას აზრისთვის ანგარიშის გაწევა, ბუნებრივია, რთულია: მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ — ბავშვი, ხშირად ძალიან რთულად იბადება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პროცესი უნდა გააჩერო. პირიქით, ამ პროცესის გვერდზე მდგომი, მხარდამჭერი უნდა იყო. როდესაც ამბობენ, ბავშვი შეიძლება საერთოდ არ დაიბადოს, ამასაც აქვს ლეგიტიმურობის უფლება, მაგრამ თუ გინდა ოცნება ასდეს, ბავშვის დაბადებას მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყო. ხოლო, როდ-

იყენენ. სწორედ მათი დამსახურებაა, დღეს ამ კაბინეტში რომ გვესაუბრებოთ. იმიტომ, რომ შედგა „ქართული ოცნების“ ერთი ეტაპი, რასაც საზოგადოებრივი მოძრაობის დაარსება და ფუნქციონირების დაწყება ჰქვია. რამდენიმე კომიტეტის მუშაობა იკვეთება. ერთ-ერთს — რეგიონალური პოლიტიკისა და ეროვნული უმცირესობების მიმართულებას, თავად ვხელმძღვანელობ. პარალელურად, რეგიონებში ჩვენი მხარდამჭერების კონსოლიდირებას ვცდილობთ. სხვებიც ძალიან ეფექტურად მუშაობენ, ამზადებენ მნიშვნელოვან ნაშრომებს იმ საჭირობო რეგულაციებზე, რაც ქვეყანაში შექმნილი. საბოლოო ჯამში ესა

ერთი დიდი დოკუმენტი — საქართველოს მომავალი სოციალური ეკონომიკური განვითარების პროგრამა, რაც სამომავლოდ პარტიის, ბლოკის სამოქმედო პროგრამა იქნება. ხალხი ხომ ელოდება პროგრამის გაცნობას — ზუსტად ამაზე მუშაობს ცხრავე მიმართულება.

— ხელმოწერების, იგივე ანაბრების აქტია, მართლაც მისასვლელია, მაგრამ არა საკმარისი. არაადეკვატური ხომ არ არის მხოლოდ ამაზე გაჩერება?

— რასაკვირველია ასეა, მხოლოდ ხელმოწერების აქტია საქმეს

ჩვენ მიჩვეული ვართ 90-იანი წლების აქციებს, როდესაც იყო მცირე, მაგრამ მაინც შედეგი. დღეს სიტუაცია შეცვლილია. ხელისუფლება რეპრესირებულ მანქანას იმიტომ ამუშავებს, რომ აქცია უშედეგო იყოს, ადამიანს აღარ ჰქონდეს სურვილი აქციაზე გამოსვლის. დღეს, სხვა მდგომარეობაა, კულუარული მუშაობით შედეგი რაღაც კონდიციამდე უნდა მივიყვანოთ, შემდეგ უნდა გაკეთდეს აქცია, რათა ეს შედეგი გამართლდეს, აქცია აქციისთვის არ უნდა დარჩეს. ჩვენმა პარტიონერებმა — დასავლეთმა თუ აღმოსავლეთმა ძალიან კარგად იციან რა ხდება საქართველოში, ხშირ შემთხვევაში, ზოგიერთ ქართველ მოქალაქეზე უკეთეს. ისინი ოპოზიციისგან კონსტრუქციულ, გააზრებულ, გამიზნულ მუშაობას ელიან, რაც ქვეყანას არჩევნებამდე მიიყვანს. ეს არა მხოლოდ უცხოეთის, დასავლელი პარტიონერების არამედ ქართველი საზოგადოების ნაწილის დაკეთაცაა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში აქციის ფორმატს არ გამოვიცვლავ. ამასაც თავისი არსებობის უფლება აქვს და გარკვეულ მომენტში აუცილებელიც შეიძლება გახდეს. ჯერჯერობით ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ იმიტომ, რომ ჩვენ ორგანიზაციულად მომზადებული ვართ ამისთვის, აი, ხელისუფლება კი მზად არის.

— თქვენი თქმით ხელისუფლება რეპრესირებული ყველაფერს აკეთებს, რათა ხალხი ქუჩაში არ გამოვიდეს, მაგრამ ოპოზიციის რომ მოველოდებ — არ გაინძრეთ, ქუჩაში არ გამოხვიდეთ — ეს განაუფრო მტად არ აძლიერებს ხელისუფლების მხრიდან რეპრესიებს და თვითნებობას?



საც შუა გზაზე კრიტიკას იწყებ და ცდილობ ამ პროცესს ჩამოშორდე, განმარტოვდე, ეს ცუდია.

— ივანიშვილის წინააღმდეგ ხელისუფლების ფაქტორები მატულობს — ყოველკვირულად ახალ-ახალ კანონებს იღებენ, ხელისუფლება მზადაა მთელი კონსტიტუციაც გადაწერონ. ამ ფონზე საზოგადოების ჩართულობა პროცესში უმნიშვნელოვანესია, ამის ბერკეტები კი შეზღუდულია. სად არის ძალა, რომელიც ამ უსამართლობას დაუპირისპირდება?

— საზოგადოების ჩართულობა ძალიან მაღალი ხარისხისაა. მაგალითად, იური ვაზაგაშვილის ჯგუფმა 300 ათასი ხელმოწერა შეგროვა, ასევე სხვა პოლიტიკურმა და არაპოლიტიკურმა ორგანიზაციებმაც შეაგროვეს ხელმოწერები, სულ 500 ათასი. ეს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, საკუთარი ნებით გააკეთა ხალხმა. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ჩართულობა ამ საქმეში დიდია. ხალხი, ვინც ეს საქმე გააკეთა ხელისუფლებას სატარებელი, პატივსაცემია. ამ ხალხისთვის იმედგაცრუების უფლება ნამდვილად არ გვაქვს, ისინი ჩვენთან ერთად უნდა

ვერ შევლის. მიმდინარეობს რამდენიმე ტიპის მუშაობა — უცხოურ ორგანიზაციებთან, საერთაშორისო თანამეგობრობასთან, სასამართლო სისტემასთან და ა.შ. რასაკვირველია, ეს ადეკვატური არ გეჩვენება იმიტომ, რომ არ დევს ზედაპირზე, არ აქვს ქუჩაში გამოსვლის, მიტინგის ფორმა. ასეთი ტიპის მოქმედება არ მიმდინარეობს, სამაგიეროდ ხდება, სხვა, კერძოდ კულისური ტიპის მუშაობა, რისი შედეგიც ეკა ხვედელიძისთვის მოქალაქეობის აღდგენა იყო. თუმცა, ამის საპასუხოდ უცებ შემოიტანეს ახალი კანონი, რის მიხედვითაც შეუძლიათ ამ დოკუმენტის მიღების უსასრულობად გაჭიმვა. მაგრამ ვერაფერს წარმოიდგენდა, თუ ივანიშვილის გუნდი სატელევიზიო ლიცენზიის მფლობელობას მიადევნებდა. მიმდინარეობს ტელევიზიის შექმნის პროცესი, რასაც ხელს უშლიან, რისი ნათელი მაგალითიცაა საზღვარზე გაფუჭებული აპარატურა. ანუ, ახლა სხვადასხვა დონეზე კულისური ბრძოლა მიდის, რომელსაც ეფექტი აუცილებლად ექნება. ყველაფრის საშუალოზე გამოტანას აზრი არ აქვს.

— არა, ეს არ არის სწორი, ვერცერთი პოლიტიკური ძალა საზოგადოების გარეშე დემოკრატის ვერ ააშენებს. საზოგადოება პოლიტიკური იდეის წარმმართველი ძალაა. პოლიტიკური იდეის მატარებელი შეიძლება იყოს პოლიტიკური ძალა, მაგრამ წარმმართველი საზოგადოებაა. აქედან გამომდინარე, საზოგადოება აუცილებელი კომპონენტი და მთავარი გადამწყვეტი ძალაა. არავითარი სახლში ჯდომა, ეს სწორი არ არის. ზემოთ ვახსენე, ხალხი ქუჩა-ქუჩა დადიოდა და ხელმოწერებს აგროვებდა. ეს აქტივობა რომ არ ყოფილიყო, არც ის მცირე შედეგი არ გვექნებოდა, რაც ახლა გვაქვს. მსოფლიომ, საქართველოს ხელისუფლებამაც დაინახა, რომ მოუხდებოდა რეპრესიებისა, ხალხი თავისას არ იშლის, ანუ ცდილობს ქვეყანაში შექმნილი ვითარება გამოსწოროს. ხალხი, რომელიც ხელმოწერებს აგროვებდა, კარდაკარების პროგრამებში ჩაერთობდა ანუ, ახლა სხვადასხვა დონეზე კულისური ბრძოლა მიდის, რომელსაც ეფექტი აუცილებლად ექნება. ყველაფრის საშუალოზე გამოტანას აზრი არ აქვს.

ინტერნეტ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში  
www.saertogazeti.net  
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე  
**საერთო გაზეთი**



ვაჟა-ფშაველას 25. სასტუმრო „აფხაზეთი“. სამოქალაქო რევოლუციის ამ მისამართზე 2011 წლის აგვისტომდე დაახლოებით, 700 კაცი ირიცხებოდა. დღეს ისინი თავშესაფრის გარეშე დარჩნენ და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსგან დახმარებას ითხოვენ. ყველას ერთი ისტორია აქვს. თითოეული მათგანი საკუთარ გაჭირვებაზე დღეს აღაპარაკდა. 1991 წლის იანვარში ისინი საკუთარ ქვეყანაში დევნილებად იქცნენ, ცხინვალიდან გამოვიდნენ და სასტუმრო „აფხაზეთში“ დასახლდნენ. 21 წლის შემდეგ კი აცხადებენ, რომ სახელმწიფომ ჩვენი გამოყრით მორიდ აიღო ცხინვალი. 1991 წელს სასტუმრო „აფხაზეთში“ მამინდელმა ხელისუფლებამ 275 ოჯახი შეასახლა, დღეს კი მათი რიცხი 140 ოჯახამდე დაყვანილია. რის მიზეზით დაყო ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ეს ოჯახები? რა მოთხოვნები აქვთ დევნილებს მინისტრთან? რატომ შეიტანეს მათ სარჩელი სასამართლოში? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად „საერთო გაზეთი“ დევნილებს გაესაუბრა.

მარინა ვაშაპიძე (ობიექტური მიზეზებიდან გამოძინარე სახელი და გვარი შეცვლილია): ჩვენ ცხინვალიდან 1991 წლის იანვარში გამოვიდით და აგერ უკვე 21 წელი გავიდა, რაც სასტუმრო „აფხაზეთში“ ვცხოვრობთ. აქ ცხოვრების დროს ჩვენ გადავიტანეთ ძალიან ბევრი გაჭირვება, მაგრამ ამ უბედურებას ვუძლებდით, რადგან ცხინვალები ვიყავით, ერთ ოჯახად ვცხოვრობდით, ერთი გასაჭირი გვქონდა და ამ ყველაფერს ერთმანეთს ვატანინებდით. დადგა 1996 წელი, როდესაც სასტუმრო „აფხაზეთში“ შეგნებულად ჩაგვიკეტეს ორივე ჩამოსასვლელი კიბეები და გააჩინეს ხანძარი. იმ დამეს დაიღუპა 7 ადამიანი, აქედან სამი ბავშვი. დაახლოებით 140 ადამიანი კი სხვადასხვა დაზიანებებით მკურნალობას დამწვრობის ცენტრში გადიოდა.

— იცით ვინ ჩაიღინა ეს?

— რა თქმა უნდა, ჩვენ ყველაფერი ვიცით და გვაქვს ინფორმაცია, რომ ეს მამინდელმა სასტუმროს მფლობელებმა გააკეთეს. არ ვიცი, გასახლება უნდოდათ ჩვენი თუ მთლიანად დახოცვა. შემდეგ ჭორი დაყარეს თითქოს გაზის ბალიონი აფეთქდა, მაგრამ იქ არც გაზის ბალიონი და არც ბუნებრივი გაზი იყო. ეს შეგნებულად იყო გაკეთებული. ამის შემდეგ ცხოვრებას განვაგრძობდით ამ სასტუმროში.

— რაიმე ხელშეკრულება თუ არსებობს, იმის დასადასტურებლად, რომ სახელმწიფომ ეს სასტუმრო თქვენ გადმოგცათ საცხოვრებლად?

— ხელშეკრულება როგორ არ არსებობდა, ჩვენ გვქონდა დევნილთა მოწმობები. დღემდე გვაქვს დევნილის ბარათი, რომელშიც მითითებულია, სასტუმრო „აფხაზეთი“, ესა და ეს ნომერი, ესა და ეს მცხოვრები და ამავე დროს ბარათში მითითებულია ოჯახის ნომერი. ოთახები ხომ გვქონდა ცალ-ცალკე, ამავე დროს ოჯახებად ვიყავით დაყოფილი. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსგან იმის მიხედვით ივებოდა თუ რომელ ოჯახში რამდენი სული იყო. როდესაც 2011 წელი მოვიდა, ჩვენდა საუბედუროდ, არც გავგაგებინეს, ისე ჩუმად გაიყიდა სასტუმრო. აგვისტოში შემოვიდნენ და დაიწყეს აღწერები. ეს მოხდა 10 დღეში. შემოვიდნენ და გვითხრეს უნდა გავხიდე აქედანო. თუკი კარგ პირობებს შემოგვთავაზებდნენ და ნორმალურად გავგიყვანდნენ, ჩვენ თანახმა ვიყავით, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. შენობიდან კი არ გამოგვიშვეს, გამოგვყარეს ძალღებობით და არც იმის საშუალება მოგვცეს, ჩვენი ნივთები წამოგვეღო.

— ვინ შეისყიდა შენობა და რა უნდა განთავსდეს ამ შენობაში?

— არ ვიცი, მალავენ. თქვენ, რომ ეს შეიძინა ვიღაცა ლევან კალმანელიძემ, მაგრამ ეს მისი არ არის. თუ ახლა არ შეცვალეს, ჩვენი ინფორმაციით, აქ შენდება „გუდვილი“. საბურთალოს თურმე აკლია სავაჭრო ცენტრები და ახლა გუდვილი უნდა გახსნან. აცხადებენ, თითქოს შენობა იყო ამორტიზებული. ეს არის სიცრუე, რადგან ის იყო ძალიან კარგი შენობა და იყო საცხოვრებლად კარგი პირობები.

— სასტუმრო „აფხაზეთში“ ცხოვრობდა 275 ოჯახი. მთელ თბილისში ყველაზე დიდი, პირველი ჩასახლება იყო და ამათმა 275 ოჯახი დაიყვანეს 140 ოჯახამდე. მოხდა ამ ოჯახების გაერთიანება. ყველანი ვიყავით ცხინვალიდან დევნილები, მაგრამ 5-6 ოჯახი იყვნენ აფხაზეთიდანაც. მათაც იგივე გაუკეთეს რაც ჩვენ. ყველანი ქუჩაში დაგვტოვეს.



# Tbilisis quCebSi mal e gamoCndebian qarTvel i bomJebi da es Cven viqnebi T

— სად ცხოვრობთ ახლა?

— სხვადასხვა ადგილებზე. იმ გაერთიანებულმა ოჯახებმა, ვინც 10 ათასი დოლარი აიღო, გირაოთი კი ვერ იშოვეს ბინები და ახლა ქირით არიან. მას შემდეგ, რაც ეს ფული გათავდა, ხმა-მაღლა ვაცხადებ, თბილისის ქუჩებში გამოჩნდებიან ქართველი ბომბები. ეს ჩვენ ვიქნებით. ჩვენი მთავარი მოთხოვნა იყო მოეცათ ნებისმიერ ადგილას თავშესაფარი და არა ის სამარცხვინო 10 ათასი დოლარი. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ამ თანხით ვერაფერს ვერ შევიძინდით. ჩვენ ვმართავდით აქციებს და ვითხოვდით ქალაქკარეთ მოეცათ თავშესაფარი გლდანის ბოლოში, თემქის ბოლოში, ოღონდ სადმე მოეცათ. თუნდაც რუსთაველი საცხოვრებელი პირობები რომ ყოფილიყო, ჩვენ უარს არ ვიტყვოდით იქ ცხოვრებაზე. ვითხოვდით ან გარეუბნებში მოეცათ თავშესაფარი ან დაგვბრუნებინეთ უკან. მე ვაცხადებდი, რომ დავბრუნდებოდი უკან, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, იქ სიტუაცია აირია, თორემ ნამდვილად უნდა წავსულიყავი და როცა დაწყნარდება სიტუაცია, მე წავალ იქ. ქუჩაში ყოფნას სჯობს ჩემს სახლ-კარში დაბრუნდეს და მე მგონი, არც ის ოსები იტყვიან უარს. სწორედ ამიტომ შევიტანეთ სასამართლოში სარჩელი.

— სანაცვლოდ რა შემოგთავაზეს?

— სანაცვლოდ შემოგვთავაზეს თითო ოჯახზე 10 ათასი დოლარი, მაგრამ მათ ეს ოჯახები გააერთიანეს, 3,4,5 ოჯახი გააერთიანეს და ამ გაერთიანებულ ოჯახს შესთავაზეს 10 ათასი დოლარი. აგრეთვე ალტერნატიული საცხოვრებელი შემოგვთავაზეს რუსთაველი. ცემენტის ქარხანასთან, გარდაბნის ტერიტორიაზე, რომელიც მხოლოდ კარკასია. ჩვენ ჩავედით, ენახეთ ის ტერიტორიები, მაგრამ საშინელება იყო. თვითონ ამ შენობაში ვინც ცხოვრობდნენ, ცემენტის გამო ტუბერკულოზით იყვნენ დაავადებული.



— დაახლოებით რამდენი ოჯახი ცხოვრობდა სასტუმრო „აფხაზეთში“ და რამდენი ოჯახი?

— სარჩელი შევიტანეთ იმიტომ, რომ ძალიან დიდი უკანონობა იყო, როდესაც ოჯახზე 10

— ოჯახებით, ხან სულალობით, ხან ოთახებით. ოჯახში, სადაც 12 სული ცხოვრობს, ერთი 10 ათასი დოლარი. როგორც უნდოდათ, ისე დაარიგეს. ჩამოვიდნენ რუსეთის მოქალაქეები, იტალიის მოქალაქეები და მიიღეს ეს თანხები. სინამდვილეში ისინი წლებია, აქ აღარ ცხოვრობდნენ, მაგრამ, ჰქონდათ ოთახები და ოდესღაც იყვნენ ჩაწერილი. აგრეთვე იყო ასეთი შემთხვევაც, წლების წინ, როდესაც ოთახები გაყიდეს და სხვაგან იყიდეს, მაგრამ ჩაწერილი მაინც აქ იყვნენ და ის თანხები აიღეს.

— არავინ არ აკონტროლებდა, ვინ ცხოვრობდა სასტუმრო „აფხაზეთში“, ვინ არ ცხოვრობდა. ხომ უნდა ყოფილიყო ვიღაც, ვინც აქ ყველაფერს გააკონტროლებდა?

— ასეთი ქაოსი, რაც აქ მოხდა, მე მგონი, არსად არ ყოფილა და არც იქნება. ეს თანხები ისეთმა ხალხმა აიღო, ვისაც ჩვენ საერთოდ არ ვიცნობდით და არც არასდროს გვყავდა ნანახი. არანაირი წინააღმდეგობა მათ არავისგან არ შეხვედრიათ. ვინც იქ ცხოვრობდით, ძირითადად, ისინი ვართ დაზარალებულები. არ გვქონდა არსად თავშე-

საფარი, არ გვქონდა არანაირი სახსრები და ვერსად ვერ შევიძინეთ ბინები, ამის გამო ისევ ჩვენ დავზარალებით.


**ირმა ლამაზიძე:** 1990 წელს გამოვედი ცხინვალიდან. სასტუმრო „აფხაზეთში“ ჩვენ არ შეგვპირდებოდნენ, შეგვასახლეს, თავშესაფარი მოგვცეს. მისამართშიც წერია, ვაჟა-ფშაველას 25, სასტუმრო „აფხაზეთი“. ეს ამტკიცებს იმას, რომ მამინდელმა მთავრობამ ყველანაირი კანონიერი გზით შეგვასახლა. აქ რომ ჩამოვედი, ვიყავი 8 წლის. ჩემი ძმა იყო 6 წლის. ვავიზარდეთ, ჩემმა ძმამ ცოლი მოიყვანა, შვილები ჰყავს. მამაჩემი 35 წლის ასაკში დაიღუპა. ის აფხაზეთში, ცხინვალიში, ყველგან თობდა. ამათ ბებიაჩემი, ჩემი ძმა თავისი ოჯახით გაგვავითრიანეს და მოგვცეს ერთი 10 ათასი დოლარი. თავიდან არ ვიღებდით. მოგვხსენებოდა, ამ ფულით ვერაფერს ვერ იზამ, გირაოთი კი ვერ გავხალ, მაგრამ ქუჩაში რომ ვრჩებოდით, სხვა გზა არ მქონდა. ხელი მოვაწერე ხელშეკრულებას და ახლა ქირით ვცხოვრობ. მინდა მივმართო კობა სუბელიანს და ლტოლვილთა სამინისტროს 10 ათასით რა გავაკეთო? სად წავიდე?

**ნანული საღირაშვილი:** ჩემიანებად და შენიანებად რომ დაყვეს ეს ხალხი, ჩვენ გვითხრან ვისიანები ვართ? აფხაზეთიდან დევნილმა მეთხა: თქვენთან სვანები ცხოვრობდნენო? როგორ შეიძლება ასე? ჩვენ ყველანი ქართველები ვართ.

**ივანე ფხვშაღლაშვილი:** მე ცხინვალის ომი მონაწილე ვარ. ვეტერანი. გამოსახლებიდან მესამე, მეოთხე დღეს რომ მივედი ლტოლვილთა სამინისტროში, გიორგი გოგიტიძემ მითხრა რამდენჯერ უნდა შემოხვიდე, ხომ ვითხარო, თანხას არ გამოლევ, წადი და მიჩვიე. ვართ 12 სული და მომცეს მხოლოდ 10 ათასი დოლარი. რომ ვანახე ომის ვეტერანის საბუთი, მიპასუხა ცხინვალი თქვენი იყო და თქვენ უნდა გებრძოლათო. მე იქ ვიომე, ესენი კიდე აქ კაბინეტში სხედან თბილად, რომ ჰკითხო, რუკაზე, არც იციან აფხაზეთი და ცხინვალი სად არის და ასე დაგვტოვეს 12 სული ქუჩაში.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ უარყო დევნილების მიერ გაგრძელებული ინფორმაცია, თავად დევნილები ბრძოლას განაგრძობენ და სამინისტროსგან ნორმალურ თავშესაფარს, ან იმ რაოდენობის კომპენსაციას ითხოვენ, რომლითაც თავად შეძლებენ საცხოვრებელი ბინის ყიდვას.

**სალომე პაპაშვილი**



ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ უარყო დევნილების მიერ გაგრძელებული ინფორმაცია, თავად დევნილები ბრძოლას განაგრძობენ და სამინისტროსგან ნორმალურ თავშესაფარს, ან იმ რაოდენობის კომპენსაციას ითხოვენ, რომლითაც თავად შეძლებენ საცხოვრებელი ბინის ყიდვას.



ჩვენი სტუმარია ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი, მწერალი ჯემალ ღამბაშიანი.

– ბატონო ჯემალ, 19 წელი გავიდა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან...

– მოგეხსენებათ, ყიზლარში იყო გადასახლებული ზვიად გამსახურდიას. მას სტუდენტობის პერიოდში, ანუ 1966 წლიდან ვიცნობდი. მოხდა ისე, რომ მეც შემოქმედებით მივლინებაში ყიზლარის ზამთრის სამოვრებზე გამაგზავნეს. იქ შევხვდი ზვიადს. ერთ დღეს სოფელ კოხანოვკაში პატარა სუფრაზე მოვხვდით, ჩამოსული იყვნენ ჩვენთან და დაღესტნიდან. თამაშობდა ზვიადმა მე შემოთავაზა. ვიუარე, ამდენი რუსული არ ვიცი-მეთქი. მაგათ რომ გააგებინო, იმდენი კი იცი, ჯემალ, შენ უნდა იყო თამადაო. სხვა გზა არ მქონდა. ეროვნული სულით აღზნებული ბიჭები იყვნენ ჩამოსული ჩრდილო კავკასიიდან და ზვიადს, როგორც დისიდენტს და ეროვნულ მოღვაწეს, მოწონებდა შეჭურვებდნენ. თავიანთ წინამძღოლად ზვიად გამსახურდიას მიჩნდათ. მაშინ მთხოვა – ერთი ბებიაშენის ამბავი მოუყევი ამათო. ბებიაჩემმა ეფროსინე ენუქიძემ 100 წელი იცოცხლა. საოცარი ქალი იყო. ერთხელ რაჭაში ვართ, შევქეფიანდით მეზობლებში მე და მამაჩემი და შინ წასვლა შეგვაგვიანდა. წამოსულა ბებიაჩემი ჩვენს შესახებ ვერაფერს. გზაში შევხვდით ბებიას.

– რა იყო, შე ქალი, არ გეშინია ამ ხნის ქალი შუალამისას რომ დადიხარ-მეთქი? – კვითხე მე. მეშინიაო, – მიპასუხა. სიკვდილის თუ გეშინია ბებია-მეთქი, ასაკში იყო ცხონებული უკეთესი მთავარიანი ღამე იყო და კარგად ჩანდა ბებიაჩემის სახე. ეს კვითხე თუ არა, თვალები საოცრად გაუნათდა და თქვა: სიკვდილის არ მეშინია, რადგან ღვთისაა, სიბნელის კი მეშინია, იმიტომ რომ, სიბნელე ეშმაკისააო.

მოგეყვი ეს ამბავი თუ არა, წამოდგა ზვიადი და უთხრა სტუმრებს: ჩვენ, კავკასიელებმა უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენი ეროვნული სულიერი კულტურის, სულიერი სიმდიდრის გაჩანაგება და მოსაზრა უნდაო, იმ აკადემიების და უნივერსიტეტების მოშლა უნდაო, რომელიც არა მხოლოდ ჯემალის ბებია „დაამთავრა“, არამედ მთელმა კავკასიამ. ამ ინსტიტუტების მოსაზრა და მოშლა არ დაეანებოთ მტრებს, ძმებო.

ჩრდილო კავკასიელებისთვის მუდმივი და აუხლებელი ოცნება იყო დამოუკიდებლობა, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, მაგრამ როგორ დაგვამხეს თავზე ყველაფერი, იცით, ეს თქვენ.

ზვიადს დაწერილიც აქვს, რომ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა დაამხო ევრო-ამერიკულმა კოალიციამ და დღეს



ვინც ზვიადთან ტრი-ალეზდნენ. როგორა-დაც იქცეოდნენ, უნდა იცოდეს ეს ისტორია.

– რამდენადაც მე ვიცი, თქვენ კასპის რაიონის პრეფექტი იყავით. როდის ნახეთ ბოლოს ზვიად გამსახურდიას?

– პუტჩის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს ისე ხშირად ვეღარ ვნახულობდით. მე გროზნოში ჩავდიოდი ხანდახან. ბოლოს მითხრა: რას მირჩევ, დასავლეთ საქართველოში ჩასვლას ვაპირებო. მე ვურჩიე – არ წასულიყო.

– მაშინ დევნილობაში მყოფ უზუნაეს საბჭოს გადაუწყვეტა

ახლა ჩვენ „ქართულ ოცნება-ზე“ ვლაპარაკობთ. ეს ოცნება აუხდინა ზვიად გამსახურდიამ საქართველოს და მერე დაასამარეს ყველაფერი.

ზვიადი ეროვნული ხელისუფალი იყო, რომელმაც მთელი თავისი მოღვაწეობით მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი სსრკ-ს დანგრევას, დღეს რომ ასე ეხმარება დასავლეთი სააკაშვილის ხელისუფლებას, გამსახურდიას მთავრობას რატომ არ ეხმარებოდა? ჩვენ ხომ ძალით არ მოვსულვართ, დემოკრატიული არჩევნებით მოვედით ხელისუფლებაში.

ახლა რომ ცილს გეწამებენ და ამბობენ, ზვიად გამსახურდიას კალუმნა გაყვანილეს საქართველო, მე კასპის რაიონის პრეფექტი ვიყავი, პუტჩის შემდეგ სიმდიდრით სავსე რაიონი დავტოვე, ძროხა, ცხვარი, ღორი, ბანკები სავსე, მოსავალი აღებული, ვინმემ იკითხა

ეს გზა ელოდა ახალ მგზავრს და ეს მგზავრიც გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, იგი ამ ხიფათიან გზას ვერ ასცდებოდა, რადგან საქართველოს განთავისუფლების ერთადერთი გზაა! სხვა გზა არ არსებობს. თუმცა ის თოფი, რითაც ილია ჭავჭავაძე და ზვიად გამსახურდიას მოკლეს, ისევ დატენილია, გზაზე მკვლელები ჩასაფრებულია და კარგად არჩევენ სამიზნეს. განგებამ დაგვიფაროს ახალი მსხვერპლისგან.

– თქვენ რამდენიმეჯერ თქვით საუბარში, რომ ზვიად გამსახურდიას მოკლეს. პრეზიდენტს თავი არ მოუკლავს?

– პირველად მე ვთქვი ამის შესახებ და ახლა ბევრი იმეორებს:

**ზვიად გამსახურდიას საუბარში იცოდა ფერა-კითხვა. თავის მოკვლა რომ გადაწყვიტა, მისი ფანჯარა მიიხსნა და საფარს დაფარა ახალს.**

მან შესანიშნავად იცოდა, მისი თანმხლები პირები ეჭვის ქვეშ რომ დადგებოდნენ, ამიტომ ერთ პატარა სტრიქონს აუცილებლად დაწერდა.

– ანუ ტყუილს ამბობენ გუგუშვილი და მარგველიანი?

– ზოგიერთ ინტერვიუში ისინი ამბობენ – შეიძლება ვინმემ ესროლა, რადგან ჩვენ ჩაბინებული ვიყავითო. ზოგი ამბობს, ერთი გასართობის ხმა გავივარდეთ, სხვები ამბობენ, ტაშტის დავარდინის ხმაო. რაღაც ცდა ჩაუტარებიათ, სტეჩკინს დამანგრეველი ხმა აქვს და დაღწევა იქაურობასო, მაგრამ რა უნდა ჰქონოთ დადღილ-გასავათებულ ხალხს, იქნებ კიდევ ჩაიქნათ დაქანცულებს.

მაგრამ ერთმა მოხუცმა მკითხა ერთხელ: დაცვას მხოლოდ ის ევალება, სხვამ რომ არ მოკლას, თუ ისიც, თავი არ მოიკლასო!?

გადაჭრით ვერაფერს იტყვი, სერიოზული გამოძიება არის საჭირო. არსებობს მრავალი ვერსია და მე ჩემს წიგნში ამას ვწერ, უკვე მე-5 წიგნის წერას შევედუქი ამ საკითხთან დაკავშირებით.

კოკო გამსახურდიას კომისიის მუშაობისას, გამოიკვლია ვერსია, რომ პრეზიდენტს ძვლები რამდენიმე ადგილას ჩამტვრეული ჰქონდა.

– ე.ი. თქვენ გჯერათ ამ ვერსიების?

– არა, მე გადაჭრით არაფრის მტკიცება არ შემიძლია, მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ზვიადი თავს არ მოიკლავდა და ხომ მიტოვებთ ასეთი ფიქრის უფლებას?

დამიბტვიცონ, რომ თავი მოიკლა და დაგიჯერებ. მე ქრისტიანი კაცი ვარ, ვერავის დავადანაშაულებ ამაში, საქმე ისაა, რომ გაურკვეველია, იქ რა მოხდა, თვითონაც არ იცან, ვინც იქ იყვნენ, რა მოხდა სინამდვილეში და ჩვენ საიდან გვეცოდინება?

ზვიადი ზოგისთვის პრეზიდენტი იყო, ჩემთვის მეგობარი. ამიტომაც ძნელია, ყველაფერ ამაზე ლაპარაკი. მაგრამ, უნდა ვითხრა, კოკოს კომისიაში მე მივიტანე დოკუმენტი, რის საფუძველზეც შეიძლება ზვიადის მკვლელობაში ეჭვმიტანილის დაკითხვა.

# erovnul i moZraobis ekl i ani gza el oda axal mgzavrs da es mgzavric gamoCnda biZina ivaniSvil i

თავისუფლად შეიძლება იმის თქმა: რომ არ დაემხოთ ეროვნული მთავრობა, დღეს რა დღეშიც ვართ, ისე არ ვიქნებოდით. ზვიად გამსახურდიას ქვეყნის სათავეში რომ ყოფილიყო, მორალის და ზნეობის ასეთი გარყვანა-განადგურება არ მოხდებოდა, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონიც ჩვენთან იქნებოდა. სხვათა შორის, აფხაზეთის და ცხინვალის მოსახლეობამაც მიიღო 1991 წლის რეფერენდუმში მონაწილეობა, რომელიც, მოგეხსენებათ, საქართველოს დამოუკიდებლობის ხმადაღალი განცხადება იყო საქართველოს მოსახლეობისგან. სხვათა შორის, ამ რეფერენდუმში ელუარდ შევარდნაძეს საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა. შემდეგ კი თქვა: მე მოვიწონე ზვიად გამსახურდიას მთავრობის დამხობაო.

დამხობა კი იყო შეიარაღებული სამხედრო გადატრიალება, რომელსაც დღეს 90-იანი წლების მოვლენებს, ძმთაშვილებს, სამოქალაქო აჯანყებას შეგნებულად ეძახიან. ამ ყველაფერში კი ისეთი ხალხი მონაწილეობდა, არ მინდა ახლა მათი გვარები დავასახელო, ყველა მათგანი ჯაბა იოსელიანს ჰყავს თავის წიგნში მოხსენიებული. იქ ისეთი ხალხის გვარებს ამოიკითხავთ, რომლებიც დღესაც საქართველოს „გვიტავისუფლებენ“ სააკაშვილისგან. ეს ხალხი იდეოლოგიურად ამზადდება მაშინ პუტჩისტებს... ყველაფერს ვწერ ჩემს ახალ წიგნში და იმათზეც ვწერ,

პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნება.

– ბესარიონ გუგუშვილი და უზუნაესი საბჭო ჩაიდა ზუგდიდში, ბესარიონი, სხვათა შორის, უთვლიდა გროზნოში მყოფ ზვიადს, არ ჩამოხვიდლო, მაგრამ მაინც ჩამოვიდა.

– აბსანძეს დაუჯერაო, ამბობენ.

– კი, ასე ამბობენ. – გურამ აბსანძეზე რობიზონ მარგველიანს უთქვამს, მოლაღატა ეს კაციო. თქვენი აზრით, ჰქონდა ამის თქმის უფლება?

– არ ვიცი.

– ხომ არ იცით, რატომ წავიდა რობიზონ მარგველიანი საქართველოდან?

– ვერ გეტყვი, გაოგნებული ვარ.

– რამდენიმე ჯგუფი აცხადებს, რომ ლეგიტიმაციის მქონე უზუნაესი საბჭო მხოლოდ თვითონ არიან, არადა, არსებობს რამდენიმე დაჯგუფება, რომელიც თავს ლეგიტიმურად მიიჩნევს, თქვენი აზრით, რომელი არის ნამდვილი უზუნაესი საბჭო?

– ახლა მე გკითხავთ, შეიძლება ოთხად და ხუთად გახლეჩილი უზუნაესი საბჭო არსებობდეს? სადაც პრეზიდენტის წევრთა უმრავლესობა იქნება, ის იქნება უფლებამოსილი ლეგიტიმაციაზე ილაპარაკოს.

– მაინტერესებს, ის თუ იცით, პრეზიდენტის ცხედარს ექსპერტიზა რატომ არ ჩაუტარდა?

– რატომ არ ეკითხებოთ თვითონ მანანა არჩვაძეს?

– ??

– თუ არა, ბესარიონ გუგუშვილს ჰკითხეთ. ამბობენ, მას და ქალბატონ მანანას შეთანხმება ჰქონდათ, რომ არ ჩაუტარებდნენ გარდაცვლილ პრეზიდენტს ექსპერტიზას.



ჯემალ ღამბაშიანი

შემდეგ სად წავიდა ეს ყველაფერი? „მხედრობის“ რომ გადაუარა გრივალის იქაურობას, მერე მოვიდა დასავლეთი და გამოაცხადა – შევარდნაძემ და მერე სააკაშვილმა საქართველო კრიზისიდან გამოიყვანესო. ეს კრიზისი თვითონ შექმნეს დასავლეთმა, ამერიკამ და მათ ხელის შემწყობმა მოლაღატე ქართველებმა.

**მიმანინა, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილს საქართველო ხელახლა კვამს განსამართიანებელი და განსათავისუფლებელი. იმ ეპალბარდინ გზაზე, რომელსაც ეროვნული გზა ჰქვია, რომელზეც ილია ჭავჭავაძე ბაბია ბაბია და მოკლეს, მერე იმ გზაზე ზვიად გამსახურდიამ ბაბია ილია მოკლეს. ილია მოკლეს, რომელსაც მე-20 საუკუნე 7 წლის დაწყებული იყო, გამსახურდიამ მოკლეს მე-20 საუკუნის დასრულებას 7 წელიწადი რომ აკლდა. არის ამაში რაღაც სიმბოლიზი.**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში [www.saertogazeti.net](http://www.saertogazeti.net) შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე **საერთო გაზეთი**





თითქმის 2 თვეა ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნებისთვის იბრძვის. მით უფრო საპარლამენტო არჩევნებამდე 9 თვეა დარჩენილი და ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობის პრეტენზია აქვს, თუმცა საქართველოს მოქალაქეობა დღემდე არ გააჩნია.

როდის და რა ფორმით აპირებენ ბრძოლის გაგრძელებას ბიზნესმენის ადვოკატები, „საერთო გაზეთს“ ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი ზაქარია ქუცნაშვილი ესაუბრა:

– თბილისის საქალაქო სასამართლომ ბიძინა ივანიშვილის სარჩელი საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის თაობაზე არ დააკმაყოფილა. რას აპირებთ, რა გეგმები გაქვთ?

– ადვოკატებმა ავამუშავეთ სათადარიგო გეგმა, რომლის მიხედვით, უარი განვაცხადეთ რუსეთისა და საფრანგეთის მოქალაქეობაზე. მოგეხსენებათ, საფრანგეთი, მოქალაქეობის შესახებ, ევროპის კონვენციის მონაწილე ქვეყანაა, ამიტომ ის ვერ ჩამოართმევს ბატონ ბიძინას მოქალაქე-



ობას მანამდე, სანამ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას არ მიიღებს. შესაბამისად, 2012 წლის 5 იანვარს საქართველოს ხელისუფლებას მოქალაქეობის მიღების თაობაზე მიემართეთ და მათი მხრიდან ადეკვატურ გადაწყვეტილებას ველოდებით. ჩვენ არ გამოვიყენეთ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის 12 მუხლის მეორე პუნქტი გამონაკლისის წესით მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნის თაობაზე, პირიქით, ავამუშავეთ მე-12 მუხლის პირველი პუნქტი.

# rodis da ra formi T aamuSaveben ivaniSvil is moqal aqeobis aRsadgenad advokatebi sarezervo gegma `g--s?

– რა განსხვავებაა მათ შორის?

– მეორე პუნქტის თანახმად, თუ ადამიანს ქვეყნის წინაშე აქვს დამსახურება, მას გამონაკლისის წესით ენიჭება ორმაგი მოქალაქეობა ანუ მულტიმოქალაქეობა. ხოლო პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის მიღება შესაძლებელია საქართველოში დაბადების შემთხვევაში ან ნატურალიზაციის გზით. ადვოკატებმა ბატონ ბიძინასთვის ნატურალიზაციის საშუალებით მოვითხოვეთ საქართველოს მოქალაქეობა, რადგან ის ყველა იმ მოთხოვნას აკმაყოფილებს, რაც აუცილებელია ამ ფორმით მოქალაქეობის მიღებისთვის.

– რის საფუძველზე დგება ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მიღების აუცილებლობა?

შესაბამისად, ბატონი ბიძინა ყველა იმ პირობას აკმაყოფილებს, რაც აუცილებელია ნატურალიზაციის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისთვის. კერძოდ, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრების. ქართული ენის ცოდნა, საქართველოს ისტორიისა და ზოგადი სამართლის საკითხების ცოდნა, საქართველოში ბიზნესების არსებობა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მიზეზი სააკაშვილი მხოლოდ სამ შემთხვევაშია უფლებამოსილი ბატონ ბიძინას უარი უთხრას საქართველოს მოქალაქეობაზე, ესენია: თუ ის გამოაცხადებს ივანიშვილს საერთაშორისო ტერორისტად, საერთაშორისო ძებნილად, ან ქართული საზოგადოებისთვის საფრთხის მატარებლად. ბიძინა ივანიშვილს საქართველოსთვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია. კაცმა თქვა, არჩევნების გზით ვაპირებ ხელისუფლების შეცვლას, ამიტომ მასზე ვერ იტყვიან, საზოგადოებისთვის საშიში ადამიანია. შესაბამისად, ალბათობა იმისა, რომ მიზეზი სააკაშვილი მოცემული სამი დებულებიდან რომელიმეს გამოიყენებს, ძალიან მცირეა. ხელისუფლება ძალიან კრიტიკულ სიტუაციაშია.

– „საერთო გაზეთისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნეთ, იმ შემთხვევაში თუ ბატონი ბიძინა მოქალაქეობას ვერ დაიბრუნებდა, ადვოკატები ე.წ. გეგმა „ბ“ აამუშავებდით. კონკრეტულად რა იგულისხმება გეგმა „ბ“ში და როდის აპირებთ მის ამოქმედებას?

– ყველაფერი, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ეს იყო ჩვენი სათადარიგო გეგმა „ბ“. ჩვენ აბსოლუტურად ყველა რესურსს გამოვიყენებთ წარმატების მისაღწევად.



– ხელისუფლება თუ არ წამოგკლავ დათმობაზე და ბატონ ბიძინას არ დაუბრუნებს მოქალაქეობას, რას აპირებთ?

– არ დაგიმალავთ, ჩვენ გვაქვს გეგმა „გ“. შეგვიძლია სასამართლოდ მივსვით ინსტრუმენტების სწორად გამოყენების შემთხვევაში ხელისუფლება არ მოვასვენოთ.

– ფრანგული მხარე არ აპირებს ბატონ ბიძინას მოქალაქეობა შეუწყვიტოს, სანამ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას არ მიიღებს. ეს გარემოება ხომ არ შეუშლის ხელს ივანიშვილს მიიღოს მოქალაქეობა?

– არა, რადგან ბიძინა ივანიშვილი აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რასაც მოქალაქეობის შესახებ კანონის 35-ე მუხლი არეგულირებს.

– ეკატერინე ზველედიძე პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებას აპირებს. ამიტომ ადვოკატებმა მოსამართლისგან იმ გადაწყვეტილების დაყოვნებლივ აღსრულება მოითხოვეთ, რომლის თანახმად, ზველედიძეს საქართველოს მოქალაქეობა აღუდგა. შესაძლებელია ამ კუთხით რაიმე წინააღმდეგობა შეგზვედეთ, ანუ მოსამართლემ გააჭიანუროს განაჩენის აღსრულება?

– 27 დეკემბერს ქალბატონ ეკატერინეს ნაწილში წარმატებას მივადვინეთ და მოქალაქეობა აღუდგა. თუმცა დავარწმუნდით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ბუტაფორიული იქნებოდა თუ ის ძალაში არ შევიდოდა, შესაბამისად, გადაწყვეტილების დაყოვნებლივ აღსრულება მოვითხოვეთ. გადაწყვეტილება ძალაში რომ არ შევიდეს, მეორე მხარეს უფლება აქვს განაჩენი 5 თვის მანძილზე გაასაჩივროს სააპელაციო, ხოლო 6 თვის განმავლობაში უზენაეს სასამართლოში.

ანუ საბოლოო განაჩენის აღსრულება ერთ წლამდე გაგრძელდება. ამიტომ მივუხვედით ხელისუფლებას ჩანაფიქრს და საპირისპირო გეგმა ავამოქმედეთ. ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე სასამართლო მოსამართლეს ავალდებულებს გადაწყვეტილება დაყოვნებლივ ძალაში შევიდეს. მიუხედავად იმისა, გაასაჩივრებს თუ არა მეორე მხარე სასამართლოს მიერ მიღებულ განაჩენას.

– რა ვადაში შეუძლია ხელისუფლებას თქვენი მოთხოვნა განაჩენის დაყოვნებლივ აღსრულებასთან დაკავშირებით გაასაჩივროს?

– ორი კვირის განმავლობაში. დროის ათვლა 10 იანვრიდან უკვე დაიწყო. 24 იანვრამდე თუ დაკმაყოფილება ჩვენი განცხადება, დაყოვნებლივ მოქალაქეობის აღდგენის შესახებ, მაშინ ეკატერინე ზველედიძეს ქართული პასპორტი მალე ექნება. სასამართლო ჩაყვანეთ ისეთ მდგომარეობაში, რომ ხელისუფლებამ საზოგადოებას პასუხი უნდა გასცეს – სასამართლო და პრეზიდენტი ერთი ხელისუფლებაა თუ ცალ-ცალკე.

**მირანდა ნაპასტიშვილი**

## ← რა დოკუმენტი იყო?

– ერთ გაზეთში გამოქვეყნებული ელუარდ შევარდნაძის ინტერვიუ, სადაც ამბობს:

„... კაცს, რომელიც ცნობილ ტერორისტად არის აღიარებული, არა მგონია, მხარდამჭერები ჰყავდეს. ტერორისტები კი არსად არავის უყვარს.“

ამ სიტყვებით შევარდნაძემ საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებიც ზვიადს უჭერდნენ მხარს, ტერორისტებად გამოაცხადა.

იმ ხანებში ზვიადის მომხრეები 87 პროცენტი იყო 1991 წლის არჩევნების საფუძველზე. 1992 წელს თითქმის ნახევარი საქართველო ტერორისტად გამოაცხადა შევარდნაძემ.

რატომ ჩავითვალე მე ტერორისტად? დღემდე მაინტერესებს ეს.

ქვეყნის პირველი პირი ვინმეს რომ აბრალებს ტერორისტობას, ეს არაა სანქცია?! ეს დოკუმენტი

კოკოს კომისიაში უნდა მოიძებნოს.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, ოხრადლასარჩენ რუსეთში, მგონი, მეტი დემოკრატიაა, ვიდრე საქართველოში, არადა, იქ რწყილი რომ გაჭყლიტონ, საქართველოს ტელევიზიები ერთ ამბავს ატეხენ, მაგრამ საქართველოში სპილო რომ მოკლან, მიაჩუმდებიან.

– რუსეთი თქვენც კარგა გვარიანად გეჯავრებოდათ და ნაციონალების რაღა გიკვირთ?

– ზვიადი რომ იყო გადასახლებაში კოჩუბეში, იმ ხანებში ავარია მოუხდა რუს ცოლქმარს. გადატრიალდა მათი მანქანა, ქმარი დაიღუპა, ცოლი – გადარჩა. იმ ქალბატონს რომ უთხრეს, დაგეხმარებით და მეუღლე გადასვენეთო, უთქვამს, აქაც ჩვენი მიწაა, რა მნიშვნელობა აქვს, სადაც იქნება, აქ დავა-



საფლაოთო და იქვე დაუსაფლავებიათ სოფლის სასაფლაოზე. გარდაცვლილს მე და ზვიადი არ ვიცნობდით, მაგრამ მერე გავიგეთ, მწერალი ყოფილა. ამ ამბის შესახებ მე მოუყვებია ზვიადს, ის

მიკვირდა, რუსმა ქალბატონმა რომ ქმარი დატოვა, ქართველი ამას არ იზამდა-მეთქი... გავიდა ხანი. ადღომის დღეები იყო. წავიხვეწეთ მე და ზვიადმა და მერე შეუბნება, მიდი, ჩა-

აწყვე კვერცხი, ღვინო და პური, მე გარეთ გელოდები, წამოდი.

გამოვედი. – მე და შენ მწერლები ვართ, აქ ერთი მწერლის მიტოვებული საფლაოა, თითო ჭიქა წაუქვციოთო.

მითხაროთ, კაცთმოძულე, ფაშისტი, რუსთომოძულე იზამდა ამას?

არადა, ასეთი ეპითეტებით „ამკობდნენ“ ზვიადს პუტჩისტები და ბევრი მათი მომხრე.

**ზვიადს არ ეშავა რამბოლან რუსეთში და რუსი ხალხი. მას არ უყვარდა რუსეთის აბრანისული და დამპყრობლური კოლიტიკა, თორემ რუსებს, ზოგადად, უდიდეს პატივს სცემდა.**

ასეთი კაცი აკლია დღეს საქართველოს და მისი სახელის აუგად მოხსენება არ არგებს დღეს ჩვენს ქვეყანას.

**ირანდა კალანდაძე**



# visi ful iT movi dnen nacebi ~ xel isufI ebaSi?

დღეს უკვე ყველასთვის ნათელი გახდა, რომ თუ არა „ქართული ოცნება“ – ეს ცვლილებები კანონში არ შევიდოდა!

„ნაცმოძრაობას“ დღეს ავიწყდება, რომ თავის დროზე მათ ბიზნესმენთა დიდი ნაწილი აფინანსებდა, რომელნიც შემდგომში პარლამენტარებიც გახდნენ. ისმის კითხვა, თუ მაშინ ეს ვინმეს პროტესტს არ იწვევდა, რატომ გახდა ის ასეთი აქტუალური დღეს? ან რატომ არ სჭირდება პარტიას დაფინანსება? ისე იარსებებს რომელიმე მათგანი? მთავარი ერთია, რომ ნებისმიერი მათგანი ფინანსური ხარჯებით რუსურს უნდა იყოს გამჭვირვალე, საიდანაც გამოიწვევდა, თუ ვინ აფინანსებს მათ ან რა თანხით და რაში იხარჯება ეს ფული. ბრძოლას ფინანსების გარეშე ვერცერთი პარტია ვერ მოიგებს, ეს ჭეშმარიტებაა და ის არავის არ უნდა უკვირდეს, პარტიის საწევრო შენატანის თანხა, ცხადია, მიზერულია ნებისმიერ შემთხვევაში, ზოგჯერ სიმბოლურიც.

აიღოთ თუნდაც მაგალითისათვის არჩილ გვეგუა, ის რომ აფინანსებდა „ნაციონალურ მოძრაობას“ და მერე ხელისუფლებაშიც მოვიდა, მაშინ არ იყო ეს პრობლემა? ასე არ მივიდა რჩეულიშვილიც მათთან? ბოლო პერიოდის არჩევნები რატომ ავიწყდებათ, ვისი ფულით მოვიდნენ „ნაცები“ ხელისუფლებაში? ეს ხომ არ იყო ბიზნესის ჩათრევა პოლიტიკაში?

ახლა მინდა, ერთი შეგახსენოთ, როდესაც რჩეულიშვილების ბიზნესი „ცენტრი-პოინტი“ გაკოტრდა, რატომ მოხდა ასე? სამშენებლო ანუ ხალხის ფული არჩევნებში ხომ არ გადაისროლეს „პოლიტიკურად“ ხომ არ დაიხარჯა მათი თანხები?

28 დეკემბრიდან გაჩნდა ეს პრობლემა? რითი იყო გამოწვეული ის, რომ ფორსირებულად მიიღეს კანონში ცვლილებები? იმით ხომ არა, რომ გარკვეული პოლიტიკური მიზნებით მოსული ბიზნესი იფინანსებდა თავის შეზღუდულ შესაძლებლობებში? იმით ხომ არ შეიძლება პირველად, რომ მისი მიზნები ითვალისწინებს პოლიტიკური ვითარების შეცვლის ქვეყანაში?

ეს ყველაფერი გაცხადდა თუ არა, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ახალი კანონი საფუძველზე, კონტროლის პალატას შესთავაზოთ „ქართული ოცნების“ მიმართ, ის გახლავთ არაპოლიტიკური ორგანიზაცია, ანუ საზოგადოებრივი მოძრაობა, ამიტომ ხშირად მას შეეცდომით პოლიტიკურ ჭრილში განიხილავენ. მათ აქვთ გარკვეული მიზნები და დამოკიდებულება თუნდაც არსებული ხელისუფლების მიმართ.

ნის საფუძველზე, კონტროლის პალატას შესთავაზოთ, შესულიყო „ქართული ოცნებაში“ და სურვილი-სამებრ შეემოწმებინა ის ყველანაირად.

რამდენად ჩემთვის ცნობილია, ამ მოძრაობას ნებისმიერი ხარჯებით ნაწილი, ხელფასი იქნება ის თუ სხვა რამ, აბსოლუტურად ლეგალურად აქვს განკარგული. სამშობლო გაცხადდა და ყველაფერი სწორად აქვთ გაკეთებული.

ისიც მინდა დავამატო, რომ ადამიანის პირადი ხელფასი კონსტიტუ-



www.artsid.com

ციით და ზოგადი ადმინისტრაციული კანონით, არის პირადი ინფორმაციისათვის განკუთვნილი, ის არ არის საჯარო მოხელის ხელფასი. ეს არ იყო გაზოგადი გამოსაქვეყნებელი მასალა. ვიმეორებ, თუ კერძო პირს კერძო სამართლის იურიდიული პირი გადაუხდის ხელფასს და მას მსჯელობის საგნად აქცევენ – ეს კანონის დარღვევაა! როგორც ჩანს, ხელისუფლება ყველაფერს სათავისოდ იყენებს, უნდა ჩათვლის რაიმეს, დარღვევად, უნდა არა – მთავარია მას არ შეეხოს! თავად კი სხვის მიმართ კანონდარღვევას არ ცნობს. ყველას მინდა ახსოვდეს – პირადი ინფორმაციის გამჟღავნება პირის თანხმობის გარეშე – კანონდარღვევა!

– ახალი კანონის თანახმად როგორ უნდა განვითარდეს მოვლენები?

– წესით იურიდიულ პირებს ეკრძალებათ ფინანსური დახმარება ვინმესადმი ანუ თუ რომელიმე ბიზნეს-სუბიექტი დააფინანსებს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას – ამ ბიზნეს სუბიექტსაც შეეკმნება პრობ-

ლემები და იმ პოლიტიკურ პარტიასაც, ანუ ის ვერ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. ფიზიკურ პირებს კი დაუწესეს გარკვეული შკალა, მაგალითად წაიკითხავთ ამონარიდს: პარტია უფლებამოსილია სადღესასწაულო ღონისძიებების აღნიშვნის ფარგლებში წლის განმავლობაში გასცეს საწუქრად მცირე ღირებულების მქონე ნივთები საერთო ღირებულებით – 5 000 ლარის!

– ახლა მოდიტ პირიქით განვიხილოთ – თუ პარტია გასცემს თავად საწუქრს – მაშინ რა არის ეს?

– ეს მათი აზრით ამომრჩევლის მოსყიდვაა! ანუ კანონდარღვევა. „ნაცმოძრაობა“ როდესაც დადის რეგიონებში და არიგებს საწუქრებს, ეს მათ ავიწყდებათ. ყველა წინა არჩევნებში მათ ამომრჩევლები ასე დააფინანსეს, მოისყიდეს, დაასაჩუქრეს და იმით გაიმარჯვეს და მეტი არაფერი. შაქრისა და ფქვილის დარიგება მოსყიდვა არ იყო!

– საინტერესოა წელს როგორ ჩაატარებენ არჩევნებს ისინი, არანაირ საწუქრს აღარ გაიმეტებენ „ნაცების“ მომხრეთათვის?

– ეს მართლაც საინტერესოა, ალბათ რაიმე სხვა მეთოდი აქვთ მოფიქრებული, ფორმას შეცვლიან ალბათ. ამაში ვგულისხმობ იმას, რომ თვითმმართველობის ორგანოებს ან სხვა სუბიექტებს დახმარებენ ხალხს და თავისად მიითვლიან – აბა კანონით ყველაფერი მათაც ეკრძალებათ. ამომრჩევლისთვის ხომ ყველაფერი „ნაცმოძრაობის“ დახმარებად ითვლება. მმართველ პარტიას აქვს დიდი რესურსი, ამას მოახერხებენ რამენაირად.

ფაქტობრივად ახალი კანონი მხოლოდ ოპოზიციურ პარტიებს უკრავს ხელ-ფეხს.

კანონში შევიდა ასევე ახალი ნორმა კანონმდებლობისა, „თუ რომელიმე პარტიას ჯერარ გაუხარჯავს შემოწირულობის ნაწილი – უკან უნდა დააბრუნოს. (26 პრემიული I პუნქტი) „თუ თანხების ნაწილი კანონის ამოქმედების დროისათვის არ დაუხარჯავთ, ვალდებული არიან კანონის ამოქმედებიდან 3 კალენდარულ დღეში – ის უკან დააბრუნონ“. ყველამ ხომ კარგად იცის, რისთვის არის ეს თანხები პარტიებისთვის ჩარიცხული – საარჩევნო კამპანიისთვის, რომელშიც არაერთ მილიონს დახარჯავს ხელისუფლება, მაიკოლებს ადგილობრივ რესურსებსაც და გამოიყენებს იმ მედია საშუალებებსაც და თავისთვის მოირგებს, რომელიმე ასე მრავლად ჰყავს ამ ეტაპზე. მართლაც „ნაციონალური“ ტელეარხი აქვთ – ეს ცოტაა? სალაპარაკო გახდა, თუ რატომ ჩაერიცხა „კაკეასის“ სარეკლამო თანხა – ეს სამართლიანია!?

ყველა სახელისუფლებო არხმა უკვე დიდი ხანია საარჩევნო კამპანია დაიწყო, ისინი ხელისუფლების „პიარით“ არიან დაკავებული, ასეთ დროს როგორ უნდა მოიქცეს ოპოზიცია? უყურონ შორიდან ვითარებას?

– ეს ხომ ამომრჩევლის შენიღბულად მოსყიდვა და მეტი არაფერია...

– ცხადია, ასეა, როდესაც მუქარით მიიყვან ამომრჩევლებს საავადმყოფოში თუ რომელიმე ოფისის გახსნაზე ამას ჰქვია, მუქარა, ზეწოლა და მეტი არაფერი!

მართალია, კანონი ყველამ უნდა დაიცვას, მაგრამ თანაბარ პირობებში! წესით, კონტროლის პალატამ უნდა შეამოწმოს ის სუბიექტები, რომელნიც ბიუჯეტიდან იღებენ თანხებს. ამ შემთხვევაში მე ყურადღებას გავამახვილებ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, ისინი კონტროლის მიღმა იყვნენ დარჩენილი იმ მოტივით, რომ სახელმწიფოსგან არ ფინანსდებოდნენ, დღეს კი ისინიც მარწუხის ქვეშ მოექცნენ, მუდმივ კონტროლში იქნებიან!

მთავარ დამდარიანი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში შტატების მასობრივი შექმნა და ახალი კადრებით დაკომპლექტება მიმდინარეობს. როგორც სანდო წყარო გვამცნობს, ახალი მინისტრი ზაზა გოროზია კადრების შეცვლას და ახალი ჩანაცვლების საკითხს თავად კურირებს. როგორც ცნობილია, გოროზია სოფლის მეურნეობის მინისტრად საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გვგელაურმა საზოგადოებას 2011 წლის 20 ოქტომბერს წარუდგინა. სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობა კი სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა გურამ მისაბიშვილმა დაიკავა. მაშინ ზაზა გოროზიას ამ თანამდებობაზე დანიშნა „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებასაც დაუკავშირეს. იმის გამო, რომ ზაზა გოროზია საეგრელოში კარგი რეპუტაციით არ სარგებლობდა, საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, სამეგრელოს მოსახლეობის „საამბობლად“ საქართველოს პრეზიდენტმა ეს მოიფიქრაო.

## sofi is meurneobis saminstrosi masobri vi wmenda daiwyo



ზაზა გოროზიამ სამეგრელოში თავისი შესაძლებლობები ამოწურა და ახლა სოფლის მეურნეობაზე ზრუნვას მიჰყო ხელი. როგორც ამბობენ, ის ამ დარგში კარგად არის „გათვისებული“. ამის მაგალითად შეგვიძლია ერთი ამბა-

ვი გავიხსენოთ: ახლად დანიშნული მინისტრი ზაზა გოროზია და ახლა სოფლის მეურნეობაზე ზრუნვას მიჰყო ხელი. როგორც ამბობენ, ის ამ დარგში კარგად არის „გათვისებული“. ამის მაგალითად შეგვიძლია ერთი ამბა-

მა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს სასოფლო სამუშაოებისთვის განკუთვნილი 30-ლარიანი ვაუჩერის დარიგების და მოხმარების წესები გააცნო. გოროზიამ განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო უახლოეს პერიოდში ძველი ტრაქტორების მფლობელებისთვის ამისტიის გამოცხადებას აპირებს. მისივე თქმით, კოლმეურნეობებიდან დარჩენილ ტრაქტორებს ადამიანები დღემდე ვერ ირეგისტრირებენ, რამაც სამინისტრო მათ დახმარებას გაუწევს. სოფელ კალაურის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულ ნიკოლოზ დონხაძის კითხვაზე, შეეხება თუ არა ამისტია ჩინურ ტრაქტორებსაც, გოროზიამ იკითხა: „ჩინური ტრაქტორი რომელია, ზედ კაცი რომ ზის და უკან რომ გუთანა აბია?“

ცნობისთვის: გოროზიას ბიოგრაფია ასეთია: დაიბადა 1975 წლის 11 თებერვალს მარტვილის რაიონში. დაამთავრა მარტვილის მე-2 საშუალო სკოლა. 1992-1999 წლებში თბილისის სამედიცინო აკადემიაში სწავლობდა. შემდეგ სწავლა ასპირანტურაში ჯანდაცვის მართვისა და ორგანიზაციის სპეციალობით განაგრძო. 2000-2001 წლებში იუსტიციის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტში სტაჟიორად მუშაობდა, ხოლო შემდეგ კოლონიის მთავარ ექიმად გადაიყვანეს. 2001-2002 წლებში სამხედრო საავადმყოფო სამსახური გაიარა. 2003 წელს ცენტრალური საარჩევნო კომისიაში წევრად მუშაობდა. 2003-2005 წლებში იყო თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსის მოადგილე, ხოლო შემდეგ – უფროსი. 2005 წლის ივლისიდან 2011 წლის ოქტომბრამდე კი სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობას იკავებდა.

მთავარ დამდარიანი







# მოგზაურობა სამოხლოში



მკითხველი, ალბათ, ხშირად შესწავლიდა და თავადაც გამხდარა მონაწილე კამათისა, თუ საქართველოში რომელი კუთხე-ქვეყანა სჯობს სილამაზით. პასუხი ერთნაირია: ყველას თავისებური, განუყოფელი ხიბლი აქვს და ერთმანეთზე უმჯობესია. იგივე თქმის ხეობებზეც. მე ხეობებს იმითაც ვაფასებ, სად რამდენი და როგორი საყდარია. აი, ამ შემთხვევაში კი თამამად ვიტყვი, რომ თემის ხეობა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია საქართველოში. და, ვითომ, მხოლოდ საქართველოში?..

თემში, რომელიც თრიალეთის ქედის სისტემაში შემავალი არგვეანისა და ჭვარების მთებიდან იღებს სათავეს, მეტეხიდან დასავლეთით, ბარნაბიანთ-კარსა და სასირეთს შორის უერთდება მტკვარს. აქ სასირეთის ჭალაა. მეორე ასეთივე ჭალა სახელად – სხერტი, თემშიდან აღმოსავლეთით, მეტეხსა და გომს შუა გაშლილია და ზევიდან ნიაბი დაცქერის.

შვენიერ მასობას ავუყვებით თემის ხეობას. აქა-იქ ვიხევენ, წყალსა და ღვინოს ვაჭაშნიკებთ – სად როგორი გემოსი და ჭრისაა, თანაც წარსულს ვიხსენებთ: გვიან შუასაუკუნეებში და XIX საუკუნეშიც ხეობის ქვედა მონაკვეთში გლეხობის (სასირეთის მხარე) და თუხარელების (მეტეხის მხარე) ბატონობდნენ, მათ ზევით – სააკაძე – თარხნიშვილები, მათი განაყოფი საამისშვილები, როსტომიშვილები და სხვები. ამათზე გაცვივებით დიდი შეძლებისა და სახელისიანი იყვნენ ჯავახიშვილ-თორელები. ერისთავთ-ერისთავთ-თორელები XII-XIII საუკუნეებში მოვიდნენ აქ სამცხე-ჯავახეთიდან და თემშივე ერთხანს მხოლოდ ისინი იყვნენ თავადები. არის ეჭვი, რომ სააკაძე-მინცი მათ მოჰყვანენ, მაგრამ ამის თაობაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

გვიანი შუასაუკუნეების სურათი ასე თუ ისე ნათელია და არც XIII საუკუნის ბოლო პერიოდი მთლად ბუნდოვანი, მაგრამ ვინ მკვიდროდა და ბატონობდა აქ უფრო ადრე? ძვ. წ.-ის IV-III საუკუნეთა მიჯნიდან თემის ხეობაში, ისევე როგორც სხვაგან, ფარნავაზმა პატრონად აზონის მიერ მოყვანილი მხედრებიდან რომელიღაცა დაადგინა:

**„მეღვინე, რომელნი აზონისაგან მოერთნენ ფარნავაზს... იგინი განყენა ხეობა და ქუეყანათა შინა... და ეწოდათ მათ სახელად აზნაურნი“.** – ნათქვამია „ქართლის ცხოვრებაში“ ასეთი თემული აზნაური რომ არც ჯავახიშვილი იქნებოდა და არც სააკაძე ეს უდავოა, მაგრამ ასევე არ იქნებოდა იგი გლეხ-ჯიბითა შორეული წინაპარი, რადგან ეს უკანასკნელი შერვაშიძეების ნათესავები ყოფილან. თემშივე ჯერ უშუალოდ შერვაშიძეების ერთი შტო გამოჩენილა 1325 წელს, მერე კი მათ გლეხჯიბით მოჰყოლიან 1473 წელს.

ხეობის აზნაურს თავიდან დიდი სახელი არ ჰქონია. ერთი მცირე საზოგადოების მეთაური ყოფილა და ვახტანგ გორგასლის დროს ემორჩილებოდა „ჯუანშერ სპასპეტს – მკვრობელს შიდა ქართლისას და მფლობელს ყოველთა ერისთავთას“. VIII საუკუნეში შიდა ქართლში უკვე ორი ასეთი ერისთავთ-ერისთავია: წერსე და აღარნასე.

IX საუკუნის ბოლოდან მაინც თემშივე უკვე ჩანს დიდი ერისთავი, არაბებთან ბრძოლაში გამოჩენილი ფაველი, რომლის თავგადასავალს გვიცოცხლებს ჩვენამდე მიღწეული ყველაზე ძველი სამართლებრივი დოკუმენტი: „ნასყიდობის დაწერილი ფავენი“.



# ras gvi amboben naomari Wal ebi

ლისა მღვიმის მონასტრისადმი. ფავენილთა რეზიდენცია, ახლა რომ სოფელი ახალქალაქია, მის ზევით მდებარე ფავენის ყოფილა.

... მაგრამ ფავენისამდე ჯერ კიდევ შორია. ჩვენ ეს-ესა მხოლოდ სასირეთში შემოვლით. სოფელი, დიდი არაა და არც ეკლესია აქვს გამორჩეული. ძველ სასაფლაოზე მდგარი „წმ. გიორგი“ XIX საუკუნის ჩვეულებრივი დარბაზული საყდარია, ავგარამ სანაცვლოდ ზუსტად ესაა ის ადგილი, სოფლის უძველეს წარსულზე რომ მიგვანიშნებს. არქეოლოგიურმა გათხრებმა აქ ჯერ ძვ.წ.-ის XIII-XII საუკუნეების დიდი და საინტერესო ბრინჯაოს განძი აღმოაჩინა, მერე კი ფარნავაზის დროინდელი ქალის მოიქროვლი სამკაულები.

**ჭალა, რომელსაც სასირეთი გადაჭურებს, დიდი შინაური ომის ასპარეზი შეიქმნა 1047 წელს. ბიზანტიელებითა და კახელი მებრძოლებით ძალა-მოცემულმა ლიპარიტ კლდეკარის ერისთავთ-ერისთავმა დამაჯერებლად სძლია საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ს ( მას დაქირავებული ვარანგები-ბიზანტიურ ჯარში მომსახურე სკანდინავიელები ეხმარებოდნენ) და ღიბს იქით გააქცია, ხოლო თავად ქართლის ერისთავთ-ერისთავი შეიქმნა. ძნელი დასადგენია, სად ესახლნენ მაშინ ფავენილები – ისევ აქ, თუ მტკვარს გაღმა, ლიბის ხეობაში?**

დროს ვზოგავთ და ბარნაბიანთკარში, სადაც გვიანი შუასაუკუნეების ორი ეკლესიაა, არ ვჩერდებით, მეტეხისა და ნიაბის ნახვა უნდა მოვასწოროთ და ეგების ზემო ჩოქეთამდეც ავღწვიოთ.

მეტეხი საკმაოდ დიდი სოფელია და ძველთაძველი ისტორია აქვს, რომლის პირველი ფურცლები XX საუკუნის არქეოლოგიამ დაწერა: აქაურმა ყორღანებმა 3600 წლის წინათ დაწვეული უწყვეტი ცხოვრების ციკლი დაადასტურა. V საუკუნიდან ამ ამბის უტყუარი მოწმე სოფლის ცენტრში მდგარი დიდებული ეკლესიაც გამხდარა. ვახუშტი ბატონიშვილი წერს და კვლევითაც დგინდება, რომ ეს „მონასტერი ყოველადწმინდას, გუნბათიანი, დიდი, მეტეხი“ არის გორგასლისაგან კეთილნამენი. თუმცა აქ ერთის დამატებაა აუცილებელი: გორგასლისდროინდელი ეს „მეტეხი“, ისევე როგორც თბილისური „მეტეხი“, სამნაეიანი ბაზილიკა იყო და XIII საუკუნეშია საფუძვლიანად გადაკეთებული. როგორც ამბობენ, თბილისური „მეტეხი“ ხელახლა დემეტრე თავდადებულმა აღაშენაო. აქაური მეტეხის მეთოდ მაშინებელიც დემეტრე მფეხ ხომ არაა?

მეტეხის „ყოველადწმინდა“ XIII საუკუნის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრების ალი-კვალია თავისი გვერდებით, მაგრამ მისი პერანგი გაცილებით ღარიბულია „წულრულაშენთან“, „ფიტარეთთან“, „იკორთასთან“, „პუჯაბთან“, „ქვათახეთთან“ და, თუ გნებავთ, მეზობლად მდგარ „ერთაწმინდასთან“ შედარებით. ეს უთუოდ გვიან შუასაუკუნეებში გაწეული დიდი რესტავრაციის



მეტეხის „ყოველადწმინდა“, მისი რელიეფი და სამრეკლო.

ბრალაა, როცა „მეტეხს“ თითქმის სრულიად ახალი პერანგი ჩააცვეს. ამდროინდელია 12-სარკმლიანი, ქვევლიან ზევით შევიწროებული, უხეში ფორმის გუმბათის ეკლი. თუმცა, სადაც სიმაღლეა, ისიც უნდა ითქვას, რომ ტაძარი მნახველის მეხსიერებაში სწორედ ამ უცნაურობით ეწერება.

მეტეხიდან აღმოსავლეთით, მეორე სოფლისკენ ნიაბისკენ მივეშურებით. სოფლიდან სოფლამდე 3 კილომეტრია, ეკლესიიდან ეკლესიამდე კი გაცილებით მეტი. ნიაბის „წმინდა გიორგი“ ეკლესიის დასავლეთით და სხერტის ჭალას გასცქერის. რამდენადაც სასირეთის ჭალის ომი ჩვენთვის მტკივნეული, იმდენად სხერტის ჭალის ხსენება სიამაყის მომგვრელი. 1609 წელს აქ სახელდახელოდ შეკრებილა 400 რჩეულმა ქართველმა, გიორგი სააკაძის საომარი ტაქტიკის წყალობით, ზუთ-ჯერ მეტი ვირთული თათარი დაამარცხა და თვედორე მღვდლის თავდადება გამარჯვებით დაავიჯინა. თემის ხეობაში მოგზაურობისას ჩვენ მომავალში უფრო ვრცლად ვაიხსენებთ კვლავ მღვდელს, ახლა კი ნიაბს უნდა მივხედოთ.

ნიაბის „წმინდა გიორგი“ და მისი რელიეფები.



ბაა ამოკვეთილი ჩალისფერ ქვასზე: წრის სამ მეთხედზე ღობი და ორი გაქცეული ხარია, წრის ერთ მეთხედზე – გაფითილი რტო, ხოლო წრის შუაგულში – მედალიონში ჩასატული ნათლისმცემელი (?)... სიუჟეტის სიმბოლური ახსნა ჭირს. ამავე ჩრდილოეთ ფასადზე ორგან ე.წ. ბოლნური ტომოკლავა ჯვარია ჩასმული, რომელთაგან ერთი – ჩალისფერ ქვასზე ამოკვეთილი – მეტად მშენიერია. სამი ასეთი ჯვარია გამოსახული გვერდიგვერდ აღმოსავლეთი სარკმლის თავსართზე, რაც გვეკვებს, რომ ტაძარი თავიდან სამების სახელზე იყო აგებული, ხოლო წმინდა გიორგის სახელზე აღდგენის შემდეგ აკურთხეს.

როდის და ვის მიერ აშენდა ტაძარი, ან ვინ და როდის აღადგინა იგი? ამაზე პასუხს საყდრის ორ მონაკვეთში შემორჩენილი ორი წარწერა გვაძლევს. ეკლესიის შიგნით, სამხრეთის კართან ჩატანებულ ქვასზე, რომელიც დროთა განმავლობაში სანთლის ნივთებისგან გაშავებულია, სერგი მაკალათიას, ვერ ვიტყვი რამდენად ზუსტად, ასე ამოუკითხავს ასომთავრული ამოკარული წინადადება: „სახელითა ღვთისა და წმინდისა გიორგისათა მე, ბირთველის ტემან სადიდებლად არსენი ქართლის კათალიკოსისა... აღვაშენე ესე საყდარი...“

საქართველოს სულ სამი არსენ კათალიკოსი ჰყავდა, მაგრამ ნიაბის საყდარი ზუროთმძიდველი ნიშნებით XIII საუკუნის 30-იან წლებში აგებულ ეკლესიას არ ჰგავს, იგი უფრო ადრინდელია. ამიტომ წარწერაში საქმე უნდა გვეკონდეს ან 860-887 წლებში მოღვაწე არსენ I საფარელთან ან ასურელ მამათა ცხოვრების აღმწერ არსენ II-სთან, რომელსაც საკათალიკოსო ტახტი 955-980 წლებში ეკავა.

ტაძრის აღდგენის თარიღი ზუსტად გარკვეული. ჩრდილოეთის ფასადზე არსებული მხადრული წარწერა გვეუბნება, რომ ამ საქმის მთავარი 1682 წელს ყოფილა ჩვენი მკითხველისთვის კარგად ნაცნობი ნიკოლოზ მალაღაძე – სვეტიცხოვლის ქადაგი, რომლის სახელი იმავე სვეტიცხოვლის საქართველოს სარკმლის წარწერაშია მოხსენებული. გამოდის, რომ ნიკოლოზს ჯერ წინარეხის „ბეილემის ღვთისმშობელი“ აღუდგენია (1677 წ.) და მერე ნიაბის საყდარი. აღსანიშნავია ისიც, რომ ნიკოლოზ მალაღაძეს მთავარანგელოზის ეკლესიაც აქვს აგებული 1704 წელს ნინოსთან ახლოს – სასხორში, სადაც მისი და ზვარამიანი განისვენებს.

მეტეხში ვბრუნდებით, სადაც ახალქალაქლები გვხვდებიან სამასწინწლოდ, მაგრამ ახალქალაქამდე როგორმე ზემოთ ჩაჩუბების ძეგლების გადალტყვას უნდა მოვახერხოთ. ოპერატორ სოზარ გულბანის გამოხედვაში მუშაობის ხალისი ჯერ არ გამქრალა და იმედია, შევინებამდე მისთანს მივალწვეთ.

**გელა ქოქიაშვილი**  
ავტორის ფოტოები



# საერთო გაზეთის იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კაკელიძე**  
ტელ.: 2 79 63 91;  
8 790 60 64 69;  
5 93 78 64 69



**ვინ ადგენს გირაოს თანხის ოდენობას და რის მიხედვით?**  
— გირაოს თანხის ოდენობას და მისი შეტანის ვალს ადგენს პროკურორი ჩადენილი დანაშაულის სიმძიმითა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით.

**მიზარებენ მოწმედ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეში**



**შე. არ მსურს გამოცხადება, უხერხული მონეტების გამო: შეიძლება თუ არა, იბულების წესით წარმადგინონ სასამართლოში?**

— სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირი, რომელსაც კანონით დადგენილი შემთხვევაში იძახება სასამართლო, ვალდებულია, გამოცხადდეს უხსტად დანიშნულ დროს და ადგილას. გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი შეიძლება იბულებით მიიყვანონ.

**გემუშაობდი საჯარო დაწესებულებაში დამლაგებლად, ამ ერთი კვირის წინ გამოგიცხადეს, რომ 8 დამლაგებელი გათავისუფლებული ვართ სამსახურიდან. გვეკუთვნის თუ არა კომპენსაცია?**

— ჩვენს შორის გამართული სატელეფონო საუბრით გაირკვა, რომ თქვენ არ ხართ ინფორმირებული სამსახურიდან გათავისუფლების მოტივაციის შესახებ. თქვენ ბრძანეთ, რომ გაგათავისუფლეს იმის გამო, რომ შენობაში შემოვიდა რაღაც შ.პ.ს. ეს მოტივაცია ჩემთვის გაუგებარია. ასევე, თქვენ ბრძანეთ, რომ თავდაპირველად თქვენსა და საჯარო სამსახურის დაწესებულების ხელმძღვანელობას შორის დაიდო 3-თვიანი შრომითი ხელშეკრულება, ხოლო სამი თვის გასვლის შემდეგ, ყოველგვარი ახალი ხელშეკრულების დადების გარეშე, დაინიშნეთ განუსაზღვრელი ვადით. ყოველ შემთხვევაში, ხელმძღვანელობამ ასე გაცნობათ. ვფიქრობ, უნდა გარკვეოთ, რამდენად კანონიერი საფუძველებით განხორციელდა თქვენი სამსახურიდან გათავისუფლება, თუმცა ეს თქვენი გადასაწყვეტია.

**რაც შეეხება კომპენსაციას:**  
1) თუკი შრომითი ხელშეკრულება დამსაქმებლის ინიციატივით წყდება, დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღა-

ურება (დაწესებულებაში, რომელზეც არ ვრცელდება საჯარო სამსახურის მოთხოვნები).

2) დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო (ვფიქრობ, თქვენს შემთხვევაში სწორედ შტატების შემცირება მოხდა. ეს უნდა დააზუსტოთ). სამსახურიდან გათავისუფლებისას საჯარო სამსახურში დასაქმებულს კომპენსაციის სახით ეძლევა ორი თვის თანამდებობრივი სარგო. ვართ ორი და და ერთი მმ. შმობლები 1998 წელს გარდაგვეცვალნენ. მას შემდეგ სამკვიდრო ქონებას ფლობს მმ. ახლა ვაგვიჩნდა სურვილი, სამკვიდრო ქონებიდან წილი დეპმაც მივიღოთ, თუმცა არც მისი განაწილება გსურს. როგორ მოვიქცეთ? შევითქვით თუ არა სარჩელი სასამართლოში?

— თუ თქვენი მმ კეთილი ნებით თვითონ არ მოეცემთ წილს, არ გირჩევთ სასამართლოში სარჩელის შეტანას, რადგან გასულია მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.

**მსურს უარი ვთქვა სამკვიდრო ქონების მიღებაზე მმის სასარგებლოდ. როგორ უნდა გავაკეთოთ ეს სამართლებრივად?**

— შემკვიდრეს (როგორც კანონით, ისე ანდერძით შემკვიდრეს) შეუძლია, უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე. სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა, ისე როგორც სამკვიდროს მიღება, ცალმხრივი გარიგებაა და ექვემდებარება გარიგების მოხდენის საერთო მოთხოვნებს. სამი თვე, რომლის განმავლობაშიც შემკვიდრეს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა შეუძლია, იწყება არა სამკვიდროს გახსნის დღიდან, არამედ იმ დღიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეტყო, რომ ის შემკვიდრედ არის მოწვეული. უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე უნდა გაფორმდეს სანოტარო ორგანოში.

**აქვე დაგამატებ შემიძლება:**  
— არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დათქმით ან ვადით.  
— თუ შემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს ნაწილზე ან დათქვამს რაიმე პირობას, ითვლება, რომ ის უარს ამბობს სამკვიდროზე.

**ვართ ორი მმ და ერთი და. მამის გარდაცვალების შემდეგ ანდერძით თანაბრად უნდა განაწილებულიყო შეიღებულ მისი ქონება. ჩვენი და უარს ამბობს თავის წილზე. როგორ მოხდება მისი კუთვნილი სამკვიდროს განაწილება?**

— სამოქალაქო კოდექსის 1440-ე მუხლის მიხედვით, თუ შემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, მაგრამ არ განუცხადებია, თუ ვის სასარგებლოდ ამბობს უარს, მაშინ მისი წილი შეემატება შემკვიდრეებდ მოწოდებულ კანონით შემკვიდრეთა წილს, ხოლო თუ მთელი სამკვიდრო ანდერძით იყო განაწილებული, მაშინ ანდერძით შემკვიდრეთ წილს და იგი განაწილება მათ შორის მათი წილის პროპორციულად, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

აქედან გამომდინარე, თუ თქვენი და დააკონკრეტებს, რომელი მამის სასარგებლოდ ამბობს თავის წილზე უარს, ამ წილს მიიღებს ეს მმ, ხოლო თუ თქვენი და არ განაცხადებს, ვის სასარგებლოდ ამბობს სამკვიდროზე უარს, მაშინ თქვენ — ორივე მმ თანაბრად გაიყოფთ ღის წილს.

# facebook xal xis azriT

**ქართულ სოფლებში რომ ჩახვალ, რამდენიმე დღე დარჩები და ამ დროს იქაურებთან ურთიერთობაში დაინარჯები მაქსიმალურად, მიხვდები, რომ ამჟამინდელი ქართული დემოკრატია არის მხოლოდ ის, რასაც ტელევიზორში ლაპარაკობენ! რეალური, ყოველდღიური, ადამიანური ყოფა და ის, რასაც ვუყურებთ, ვისმინთ ორი სხვადასხვა პოლუსია.**

**ბიძინა ივანიშვილი რა ხელფასს გადაუხდის თავის თანამშრომლებს, ვისი რა საქმეა? იგი კერძო პირია და არც “ქართული ოცნება” მთლად სახელმწიფო სტრუქტურა. გამიხარდება, თუ ათჯერ მეტს გადაუხდის ყველას, ოღონდ საქმე გამოვიდეს. სხვისი ხელფასით დაინტერესებულ პირებს უურჩევ გამოხსილონ ყურადღება მაღალჩინოსნების ხელფასებზე და პრეზიდენტი, რომლებიც არ შეესაბამება მათ კვალიფიკაციას.**

**ნელ-ნელა ახლოვდება ამ ნაბიჯი გაკრასკული ვესტერნიზებული სამყაროს სრული პიხვები და კრახი. რამდენიც არ უნდა ღებონ და ახლოვდები ცხრის ფარა - ხალხი. ტელევიზორში უკვე ბრეიკინგული პრობაგანდა დაიწყო, ყველა რესურსი ჩართული აქვთ ხალხის გამოყვანაში - სინათლეები, ბრჭყვიალები, კონცერტები, შოუები, და ა.შ. ბუკდებს და ბუკდებს ფულს ფედერალური სარეზერვო სისტემა. თუმცა მაღე დაიწყება ჩაძლვების სერია - 80 წელს გადაცილებული მთავარი გლობალისტები ვითრები - კისინჯერები, ბუენინსკები, სოროსები და ა.შ., რომლებსაც ახლა ყველა საშუალებებით აცოცხლებენ, რომ კიდე ცოტადრო მოიგონ, მინც ადრე თუ გვიან ჩაძლვებამ, ისევე როგორც სხვადასხვა პრეზიდენტები, პატრიარქები, მუსიკოსები და სხვა ნაბიჯები. ))) სრულფასოვანი შექცვლები კი არ არის.**

**ბიძინა ივანიშვილის მომხრე 15 ახლავაზრდას ბეულით ახალი წლის დამით საჩხერეში გამართულ კონცერტზე სამოქალაქო ფორმამი ჩაცმული სპეტარხმლები ფიზიკურად გაუსწორდნენ... ძნლად დასაჯერებელია, რომ სამართალდამცველებს, რომლებიც პერიმეტრს მუდმივად აკონტროლებენ და სპეციალურად ამ კონცერტისთვის ქუთაისიდანაც კი იყვნენ ჩამოსული, არაფერი შეეშინათ. აღსანიშნავია ასევე ყველაზე მეტად ის ფაქტობრომ კონცერტსაკრებულოდან დაწყებული, გუბერნატორით დამთავრებული, ყველა ადგილობრივი ხელისუფალი ესწრებოდა**

**და, ეს ამბავი უშუალოდ, კონცერტის მიმდინარეობის დროს ხდებოდა, ფაქტზე რეაგირება არც ერთი მათგანს არ მოუხდენია. ფაქტია, რომ ეს იყო სადამსჯელო კონცერტი საჩხერეებისათვის, რომლითაც ხელისუფლება ხალხს აფრთხილებს, ივანიშვილს მხარი არ დაუჭიროთ, თორემ თქვენც იგივე დღე დაგადგებათო. როგორც ჩანს, სახალწლო კონცერტისთვისაც გასაგები მიზეზების გამო სპეციალურად შერიჩა საჩხერეც.**

**ქალბატონი ეკა ძალიან კარგად მტყუვლებს, რადგან კარგად აზროვნებს და კარგი განათლებაც აქვს მიღებული იმ ე.წ. “ფეისბუკისგან” განსხვავებით, რომელიც ტელევიზორში მიზანმიმართულად გვატყენან ყოველსადამის. მაგრამ ყველაზე მთავარია, რომ ქალბატონ ეკას ისევე, როგორც მილიანად მის ოჯახს, სწორი სტრატეგია აქვს არჩეული და უყვარს სამშობლო. მისი ინტერესი დროს ერთი რამ გამასხსნდა: ჩვენ სამი ლეგენდარული მეფე გვაყვს: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი და თამარი, რომლის სახელიც მაღლივრმა ქართველებმა არაერთ ადგილს, სოფელსა თუ წყაროს უწოდეს. იმეთა ადამიანი საქართველოს ისტორიაში, რომელზეც ამდენი დადებითი ლეგენდა არსებობდეს. ამის მაგალითად ვარძიაც იმკარებს. თამარზე იმეტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ მისი გენი არ გადაშენებულა და ქალბატონ მამაკაცებზე ნაკლებად არ შეუძლიათ ქვეყნის მართვა.**

**ბატონი ბიძინა აღნიშნავს: “ზოგიერთი ვესაყველეუროს, უფრო სწრაფად რატომ არ მოქმედებოთ.**

**იყავით დინჯად, დაელოდეთ, ყველაფერი კარგად იქნება, - დასძენს იგი. არსებობს ლათინური გამოთქმა: “იჩქარე ნელა”. თავიდან შეიძლება დავაგანბნოს ამ ორმა, ურთიერთგამომრიცხავმა სიტყვამ, მაგრამ ეს ნიშნავს აჩქარებას გონივრულობის ფარგლებში და არა იმ გიჟურ სიჩქარეს, რაც ხელისუფლების ბუღადს ახასიათებს. გარემონტებული აღმაშენებლის გამზირის გახსნას იცე ჩქარობდნენ, რომ ქუჩის სახელწოდებისა და ნომრის აღმნიშვნელი აბრების გაკეთებაც დაეიწყათ. ახლა რომ გაართო, ვერ გაიგებთ, რომელი შენობა აღმაშენებლის რა ნომერია. გარდა იმისა, რომ “იჩქარე ნელა” ფართოფროტის, გიჟური სისწრაფის საპრისპიროა, ბატონ ბიძინას არ სჭირდება მის სწავლება, როდის რის გაკეთება სჭირო. მას და მის გუნდს სჭირდება თითოეული ჩვენგანის თანადგომა. ეს ყოველივე კი მიწასთან განადგურებულ ჩვენს ქვეყნას სჭირდება.**

## შემოგვიერთდით facebook-ზე „საერთო გაზეთი“

### ბროწეულის წვენი უკვე საქვეყნოდ აღიარეს ახალგაზრდობის ელქსირად



ბროწეულის უნიკალურ თვისებებზე ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში იყო ცნობილი, მაგრამ თანამედროვე მედიცინა უფრო მეტი ინფორმაციას ფლობს ბროწეულის სასარგებლო თვისებებზე.

ბროწეულის წვენი ვიტამინების კომპლექსს შეიცავს და მასში ბევრია ორგანული მჟავები, მაგრამ ანტიოქსიდანტების შემადგენლობით ის წითელ ღვინოსაც კი უსწრებს. ბროწეულის სისტემური მიღება არეგულირებს კუჭის წვენის მდგომარეობას და ხვეწს სისხლის შემადგენლობას.

ბროწეული კარგია მძიმე ავადმყოფობაგადატანილი ადამიანისათვის, რადგან იგი აძლიერებს იმუნიტეტს, მას ანტიბიოტიკური და ტკივილგამაფრთხილებელი თვისებებიც გააჩნია, განსაკუთრებით თირკმელების და შარდსასქესო ორგანოების დაავადებების დროს.

განსაკუთრებით სასარგებლოა ბროწეული ორსულებისთვის. იგი ხელს უწყობს ნაყოფის განვითარებას და უზრუნველყოფს ბავშვის ჯანმრთელობას მომავალში.

### რაზა მბაცვალას ქალის გარეგნობა?

სენტ-ენდრიუს უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩაატარეს კვლევა და აღმოაჩინეს, რომ „ქალური“ ჰორმონი – ესტროგენი არა მხოლოდ ქალბატონების ჯანმრთელობაზე არის პასუხისმგებელი, არამედ მის გარეგნობას განსაზღვრავს.



თუ ქალის ორგანიზმში ესტროგენების მაღალი რაოდენობაა, მას აქვს დიდი და სხივიანი თვალები, მრგვალი პირისაზე, ფუმფულა ლოყები, რაც მას, საბოლოო ჯამში, ძალიან ქალურს ხდის.

მეცნიერები ურჩევენ მამაკაცებს – თუ გსურთ გქონდეთ დიდი ოჯახი და გყავდეთ ჯანმრთელი ბავშვები, პირველ რიგში, დააკვირდით ქალის გარეგნობას.

### მეცნიერებმა ნიორის ხილავ ერთი თვისება აღმოაჩინეს



მკვლევარებმა დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ ნიორი გაციების პირველი მტერია და ეფექტურად ებრძვის იმუნიტეტის დამაქვეითებელ ფაქტორებს, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას, მაგრამ ახლახან ცნობილი გახდა, რომ ყველა შემთხვევაში მოთხოვნილი თვისება მხოლოდ მითია და სხვა არაფერი. ის ნივთიერებები, რომლებიც სისხლში ქოლესტერინის დონეს ამცირებს, ნიორში ძალზე ცოტაა და ცხადია, მისი გამოყენება ამ თვალსაზრისით არავითარ ეფექტს არ იძლევა.

### ჯონი ღვინო ითხოვს, რომ სიკვდილის შემდეგ ვისაქცის ახსრში დამარხონ

მსახიობმა თავისი დასაფლავების ექსტრავაგანტური სცენარი დაწერა. შესაძლოა, ამ გადაწყვეტილებამდე ის მისმა გმირმა ჰანტერ ტომპსონმა მიიყვანა, რომელიც ფილმში „სპირტიანი რომის დღიური“, მთავარი პერსონაჟია. ჰანტერ ტომპსონი ფილმში ამბობს: ჩემი სიკვდილის შემდეგ დამწვით, ზარბაზნის ლულაში შემწურეთ და კოშკიდან მისროლეთ.



ჯონი ღვინო თავის გმირზე მეტად ორიგინალური აღმოჩნდა. ჩემი მკვდარი სხეული ვისკის კასრში შეინახეთო, მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. მსახიობი ითხოვს – მისი დაკრძალვის დღეს იმ კასრიდან ახლობლებმა თითო ყლოუბი ვისკი დალიონ.

ფილმი „სპირტიანი რომის დღიური“ რეალურ ისტორიაზე არის აგებული და მასში ჯონი ღვინოს მეგობრის ისტორიაა მოთხრობილი. ღვინო მეგობარს თხოვდა შეუსრულა – კოლორადოში ციხესიმაგრე ააგო, რომლის თავზე დაამატა ზარბაზნის ლულა, და იქიდან 2005 წელს ტომპსონის ფერფლი გაისროლეს.

### გარდაიცვალა 75 წლის დიჯაი



16 ნოემბერს ცნობილი რუსი დიჯაი ვლადიმერ ტურკოვი მეტროსადგურ „დიუბენკოს ქუჩაზე“ ესკალატორზე გარდაიცვალა.

ერთ-ერთი ვერსიით, მისი სიკვდილის მიზეზი დაუყოფლობა გახდა. აგვისტოში დიჯაი და მისი მეგობარი დიმიტრი მოტოციკლიდან გადმოვარდნენ.

„მს ვსპიშკინი“ დიჯაის ფსევდონომი იყო. იგი ელექტრონული მუსიკის სპეციალისტი გახლდათ. დიდი ხანი არ არის, რაც შექმნა ანსამბლი „მს ვსპიშკინი და ნიკიფოროვნი“.

ის დაიბადა 1936 წელს. 90-იან წლებში აქტიურ მუსიკალურ მოღვაწეობას ეწეოდა, 2005 წელს კი გამოსცა ალბომი სახელწოდებით „სექსი“.

ბოლო დროს ის მონაწილეობდა პროექტში „პეტერბურგული ავანგარდი“.

### შვრიის ორცხოვნილი ქოლესტერინის აჩროსს

დიეტოლოგებმა შვრიის ორცხოვნილი ადამიანის ორგანიზმისთვის ერთ-ერთ ყველაზე სასარგებლო საკვებად გამოაცხადეს. შვრიის შემადგენლობაში უხვად არის ისეთი ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმში კუნთოვანი უჯრედების განვითარებას და პასუხისმგებელია ორგანიზმის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.



მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამას წინათ შვრიის კიდევ ერთი თვისება უნდა აღმოაჩინეს. ის ორგანიზმში ქოლესტერინის დონეს ამცირებს და არეგულირებს შაქრის შემცველობას სისხლში.

მომზადდა ანა პადატაპორიამ

### ასტროლოგიური პროგნოზი

**მმრძი** – მთელი თვენი ძალისხმევა მატერიალურ პრობლემების მოსაგვარებლად იქნება მიმართული. თავი შეიკავებ ვალის აღებისგან.

**კპრო** – შეეცდებით, აქტიურად ჩაერთოთ როგორც საოჯახო, ისე სამსახურებრივ საქმეში. თუ კონკრეტულ მიზანს დაისახავთ, არ გაგიჭირდებათ საარსებო საშუალების პოვნა.

**ტშშამბი** – დროს ამ მონაკვეთში სარფიანად წარიმართება თქვენი ურთიერთობები პარტნიორებთან.

**მირჩხიბი** – მოგემატებათ სასიცოცხლო ენერჯია, გამოძლავდებით თქვენი შემოქმედებითი პოტენციალი. ნუ მოახდენთ ვითარების დრამატიზებას, უმჯობესია გაერთოთ.

**ლომი** – თქვენი ერთუბიანობა და შემართება საგრძობლად შემცირდება. ახალი მეგობრები ხელს შეუწყობენ თქვენს ინტელექტუალურ განვითარებას.

**ქალწული** – თამამად შეგიძლიათ დანიშნოთ საჭიანი შეხვედრები და დალოთ ხელშეკრულებები. სულიერ სიმშვიდეს ბუნების წიაღში გასეირნება დაგიბრუნებთ.

**სასწორი** – საქმეებს მოხერხებულად და წინდახედულად წარუძღვებით. წარმატებებს იოლად მიადევნოთ საგაბრო ბიზნესსა და კულტურულ ღონისძიებებში.

**მორიელი** – ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს კვირა სტაბილური იქნება. ამ დღეებში დადებული ხელშეკრულებები სტაბილური და მომგებიანი გამოდგება.

**მშვილდოსანი** – ეს პერიოდი ხელსაყრელი იქნება სახლის კეთილმოწყობისთვის, მით უფრო რომ სწორედ თქვენს სახლში შეიძლება შედგეს არაერთი საინტერესო შეხვედრა.

**თხის რქა** – მოგეცემთ შანსი, განახორციელოთ თქვენი ძველი ოცნება. შესაძლოა, სამსახურიც შემოგთავაზონ. თამამად შეგიძლიათ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება სასიყვარულო ურთიერთობებში.

**მმრწყული** – თქვენი წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად სარფიანად დადებით ხელშეკრულებას.

**თმშამბი** – დაბრკოლებები გელთ პროფესიულ საქმიანობაში, გარშემო მოყვებიც მტრულად იქნებიან თქვენ მიმართ განწყობილი. მაღალია გაუგებრობის ალბათობა, რის გამოც სასურველია, სამომავლოდ გადალოთ ფინანსური ოპერაციები და მნიშვნელოვანი საქმეები.